გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№154 (213) 24-31 იანვარი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

## ლაზი კაცი ლაზიკის შესახებ



როგორც **„თეთრი მოძრაობის“** პრესსამსახური საქინ-ფორმს აცნობებს, ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი ზურაბ ხასია ეხმაურება სიდიდით მეორე ქალაქის – ლაზიკას – მშენებლობის პროექტს და თავის მოსაზრებებს გამოთქვამს:

„ლაზი ვარ, ამაყი ლაზი – გარეგნობით, ცხოვრების წესით, აზროვნებით.

თავს ვალდებულად ვთვლი, ჩემი წინაპრებისა და შთამომავლების წინაშე მართალი ვიყო იმაზე, რაც ჩემ თვალწინ ხდება ჩემს სამშობლოში.

მშენებლობისა და აღმშენებლობის წინააღმდეგ ქვეყნის აბა რომელი მოყვარული კაცი იქნება. ღმერთმა აშენოს და ამრავლოს ქართული ქალაქი და სოფელი, მაგრამ, გააჩნია, სად? რატომ? ვისთვის?

ლაზიკა სად შენდება – ეს პრობლემა ბუნების დამცველებსა და ქალაქმშენებლობის სპეციალისტთა ფართო წრეს დავუტოვოთ.

ლაზიკა რატომ შენდება – ეს ჩვენი პრეზიდენტის სხვათაგან სადაზრმიუწვდომელი გონებისათვის მიგვინდია.

ვისთვის შენდება – აი, ეს კი არის საკითხავი, რომელიც სასწრაფო პასუხს საჭიროებს, ვინაიდან საინფორმაციო საშუალებები აჭრელდა ამ პრობლემაზე მსჯელობით.

დაშლილ-დანგრეულ სახელმწიფოს რომ ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენების არანაირი ეკონომიკური და ადამიანური რესურსი არ გააჩნია, ბავშვიც მიხვდება. ჩვენს ქვეყანაში მშენებლობა თავისი სახლებითა და ხიდებით ბუტაფორიულ სტანდარტებსაც რომ გაჭირვებით აკმაყოფილებს, ესეც ყველამ იცის. მაშ, საიდან ნახევარმილიონიანი ქალაქი? ვის ჩაასახლებენ? რით ააშენებენ?

ძალიან სერიოზული წყაროები გვაუწყებენ, რომ პრეზიდენტს დიდი ფულის ორ წყაროზე უჭირავს თვალი: პირველი გახლავთ ე.წ. „თურქი მესხების“ ჩამოსასახლებლად გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხები; მეორე – სირიიდან და ირანიდან ემიგრაციის მომლოდინე სომეხი ეროვნების მოქალაქეები, რომლებიც სერიოზულად შეავიწროვეს ამჟამინდელ სამშობლოში, მაგრამ ასევე საკმაოდ სერიოზული შესაძლებლობები გააჩნიათ კარგ ადგილებში ჩასასახლებლად. ამას თუ სრულიად სომეხთა ლობის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს დავუმატებთ, ცხადი გახდება, რაც სურს დღევანდელ ხელისუფლებას – ნახევრად გასომხებულ ბათუმსა და ქობულეთს სულ მთლად არაქართული ლაზიკაც მიუმატოს.

ცოდვა გამხელილი ჯობს – აქამდე ბატონი სააკაშვილის მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტი ვიყავი. ბოლომდე არ მემეტებოდა, სანახევროდ ისიც ლაზი მეგონა, გენეტიკურად მაინც. ამ ხნის კაცმა ვერ გავჭვრიტე: კაცი რომ კაცად არ ვარგა, ის არც პრეზიდენტად ვარგა, არც ქართველად ვარგა, არც სომეხად, არც სააკაშვილად, არც ალასანიად, არც მეგრელად, არც ლაზად.

ლაზები ჩვენს სიტყვას ვიტყვით ლაზიკაზეც, ლაზეთზეც და სხვა კიდევ მრავალზე... მალე, სულ მალე!“

საქინფორმი

## პენსიები სააკაშვილის მიერ "აყვავებულ" საქართველოში

ავადსახსენებელი **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ მოსახლეობის პენსიით უზრუნველყოფა, სხვა სოციალური შემწეობები და, საერთოდ, ნებისმიერი სფერო, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობას უკავშირდება, პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა. 2004 წლიდან მოყოლებული, ყოველი არჩევნების წინ, პენსიების მატებას 5 თუ 10 ლარით ყოველთვის ახლდა პროპაგანდა და, რაღა თქმა უნდა, შევარდნაძის მმართველობის პერიოდთან შედარება, როდესაც პენსია ძალიან ცოტა იყო რიგითი მოქალაქისათვის და 14 ლარს შეადგენდა. რა თქმა უნდა, პენსიების ყოველი მომატებისას ხელისუფლება არაფერს ამბობდა ლარის მსყიდველუნარიანობაზე თუნდაც რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით და დუმილით უვლიდა გვერდს მზარდ ინფლაციასაც. რაც მთავარია, ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ პენსიების მიხედვით საქართველო ლიდერი იყო, ევროპაში თუ არა, პოსტსაბჭოთა სივრცეში მაინც.

საქართველოში საკმაოდ მაღალია საპენსიო ზღვარი: 60 წელი – ქალებისთვის, 65 – მამაკაცებისთვის. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2012 წელს პენსია 125 ლარამდე 67 წელს გადაცილებულ ადამიანებს მოემატება, ოღონდ ეს მოხდება არა 2012 წლის პირველი იანვრიდან, არამედ 1-ლი სექტემბრიდან, საპარლამენტო არჩევნებამდე 1 თვით ადრე. ამ 125 ლარში შედის სტაჟისა და დამსახურების მიხედვით დამატებული თანხა და 67 წელს გადაცილებული ადამიანების ნაწილს 25 ლარით გაეზრდება პენსია, ნაწილს – 15 ლარით. ყველა ასაკის პენსიონერი კი 15-ლარიანი სადაზღვევო პოლისით ისარგებლებს.

საქართველოში კერძო საპენსიო სისტემა ჯერჯერობით ჩანასახოვან მდგომარეობაშია. დღეს ქვეყანაში პენსიებს განსაზღვრავს და გასცემს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პენსია პროცენტულად საშუალო ხელფასის 1990 წლის მაჩვენებელს 2-ჯერ ჩამორჩება (1990 წ. – 36.7%; 2010 წ. – 17.5%). საშუალო პენსიის თანხა მსყიდველუნარიანობით ორი ათეული წლის წინანდელი მინიმალური პენსიის დაახლოებით 45%-ით ეკვივალენტურია და, ფაქტობრივად, მხოლოდ სოციალური დახმარების ფუნქციის მქონეა. ამჟამინდელი პენსია ადამიანს ოფიციალური საარსებო მინიმუმის დონეზე არსებობისთვისაც კი თვეში მხოლოდ არასრული ოცი დღის განმავლობაში შეიძლება ეყოს. შესაბამისად, ყოველი თვის ერთი დეკადის განმავლობაში პენსიონერთა ფიზიკური არსებობა მთლიანად მათსავე "მარიფათსა" და ახლობლების დახმარებაზეა დამოკიდებული. დღეს საქართველოში, ყოფილ სსრკ-ის ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე დაბალი საშუალო პენსია და ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკობრივი თამასა არსებობს.

2010 წელს საქართველოში მინიმალური პენსია 55-დან 80 ლარამდე გაიზარდა. 2010 წლის 1-ლი მარტიდან კი, ქალაქის მერის გადაწყვეტილებით, რომელსაც წინ არჩევნები ელოდა, თბილისში მცხოვრებ ყველა კატეგორიის პენსიონერს პენსია 10 ლარით მოემატა.

2011 წელს მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ 15 სექტემბრიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პენსია 100 ლარი გახდებოდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ამბობდა: **"ყველა სოციალური შეღავათი იქნება შენარჩუნებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ათობით, ათასობით პენსიონერს ექნება 100 ლარზე მეტი, ხოლო პენსიის მინიმალური ზღვარი 100 ლარი იქნება. რეფორმა 670 ათასზე მეტ პენსიონერს და 24 ათას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეეხება"**. თუმცა მალე გაირკვა, რომ საპენსიო საჩუქარი შეეხო მხოლოდ ასაკით პენსიონერებსა და პირველი ჯგუფის ინვალიდებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით (**http://www.ssa.gov.ge/**), 2011 წლის 1-ლი სექტემბრის მონაცემებით, ასლარიან პენსიას 663 ათასი ასაკით პენსიონერი და 23 500 მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (პირველი ჯგუფის ინვალიდი) იღებს. ანუ, სულ 686 500 პენსიონერი. ოფიციალური მონაცემებით კი, ქვეყანაში 828 203 პენსიონერია.

სხვა კატეგორიის პენსიონერებისთვის პენსიის ოდენობა უცვლელი დარჩა. პენსიონერთა ეს ნაწილი თავს მოტყუებულად მიიჩნევს და უკმაყოფილებას გამოთქვამს.

არადა, მთავრობის წინასაარჩევნო დაპირებით, 2009 წლის ბოლომდე პენსია 100 დოლარი უნდა ყოფილიყო. ქართველ ექსპერტთა აზრით, **"საშუალო"** პენსიონერის პენსია საშუალო მომხმარებლის ოფიციალური საარსებო მინიმუმის მხოლოდ 70%-ს ფარავს. საარსებო მინიმუმამდე ამ 30%-იანი დეფიციტის შესავსებად თითოეულ პენსიონერს, ერთ წელზე გაანგარიშებით, კიდევ რამდენიმე ასეული ლარი ესაჭიროება. ექსპერტებმა ისიც გამოითვალეს, რომ 2011 წლის 15 სექტემბრიდან 100 ლარამდე გაზრდილი პენსიის რეალური მსყიდველობითი უნარი, 2003 წლის ფასებით, მხოლოდ 42 ლარს შეადგენს.

მაინც რამდენია მინიმალური ან საშუალო პენსია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ლარზე გადაანგარიშებით? სურათი ასეთია:

1. ესტონეთი – 660 ლარი; 2. ყაზახეთი – 585 ლარი; 3. ლატვია – 550 ლარი; 4. ლიტვა – 453 ლარი; 5. რუსეთი – 438 ლარი; 6. აზერბაიჯანი – 303 ლარი; 7. უკრაინა – 232 ლარი; 8. ბელორუსი – 185 ლარი; 9. სომხეთი – 129 ლარი; 10. საქართველო – 100 ლარი; 11. მოლდოვა – 93 ლარი; 12. უზბეკეთი – 82 ლარი; 13. ყირგიზეთი – 72 ლარი; 14. ტაჯიკეთი – 27 ლარი;

აღსანიშნავია, რომ რუსეთში, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები საქართველოსგან ჩამორჩენასა და საბოლოო დაქცევას უწინასწარმეტყველებენ, სახელმწიფო პენსია მიბმულია საარსებო მინიმუმზე და ის საარსებო მინიმუმზე დაბალი არ შეიძლება იყოს. ამასთანავე, ინფლაციის გათვალისწინებით ხდება მისი ინდექსაციაც, **"წარმატებული და მზარდი ეკონომიკის"** საქართველოში კი ჯერჯერობით ამაზე არც ფიქრობენ.

მოქალაქეები ტელეეკრანიდან ხშირად ისმენენ ომახიან განცხადებებს, რომ **"მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების ეკონომიკები ჩამოიშალა, საქართველო კი აღმავლობის გზაზეა"**. ქვეყნის ეკონომიკის წარმატებულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მოქალაქეთა დასაქმების დონე, მათი შემოსავლები და ნამუშევარი სტაჟის მიხედვით დარიცხული პენსია. საქართველო კი უმუშევრობის დონით მოწინავე ქვეყნების რიგშია. ახლა კი ვნახოთ, როგორია პენსიები, როგორც **„ნაციონალებს“** უყვართ ხოლმე თქმა: **"ჩამოშლილი ეკონომიკის"** ქვეყნებში: დანიაში საშუალო პენსია თვეში 2.800 დოლარია, პოლონეთში – 522, აშშ-ში – 1.164, ფინეთში – 1.344 ევრო, უნგრეთში – 410 დოლარი, გერმანიაში – 810 ევრო, ისრაელში – 1.354 დოლარი, შვეიცარიაში – 874, შვედეთში – 833, იაპონიაში – 717, ინგლისში – 700, საფრანგეთში – 700, კანადაში – 667, იტალიაში – 583, ესპანეთში – 850 ევრო. ამ მონაცემების შედარება საქართველოს მოსახლეობის პენსიებთან ნათლად მეტყველებს, რომელი ქვეყნის ეკონომიკას უფრო მიესადაგება ტერმინი **"ჩამოშლილი"**. და კიდევ – ექსპერტთა გაანგარიშებით, იმისათვის, რომ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ერთ სულ მოსახლეზე, ევროპის ამჟამინდელ საშუალო მაჩვენებელს გაუტოლდეს, საჭიროა, ქვეყნის ეკონომიკა დაახლოებით 25 წლის განმავლობაში 10%-ით მაინც იზრდებოდეს.

**P.S. ევროპული ქვეყნების პენსიონერები პენსიებთან ერთად მთელი რიგი სოციალური შეღავათებითაც სარგებლობენ და მათ არავინ არაფერს ამადლის. იქ, რა თქმა უნდა, არავის მოუვა აზრად, პენსიებისა და სოციალური შემწეობის მიღება მმართველი პარტიისადმი პოლიტიკურ ლოიალურობას დაუკავშიროს და არჩევნებზე ხმების მიღების საშუალებად გადააქციოს.**

**ზ.შანიძე**

# თამაზ წივწივაძე: „როგორც სპილო ვერ გრძნობს მის უკანალში შემძვრალ კოღოს, ისე ვერ გრძნობს რუსეთი სააკაშვილის მუქარას“



საქინფორმის სტუმარია ქართველი მწერალი და კრიტიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე, ხელისუფლების მიერ იავარქმნილი გაზეთ **„ლიტერატურული საქართველოს“** მთავარი რედაქტორი, ბატონი **თამაზ წივწივაძე.**

**– ბატონო თამაზ, თქვენ ერთ-ერთი იყავით მათ შორის, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმის საქართველოსთვის დამანგრეველი შედეგები იწინასწარმეტყველეთ. გვახსოვს თქვენი სტატიები: „მიშა ბიძია, დეპოში ხართ უკვე“, „სახურავზე ამძვრალი კაცის ისტორია“ და ბევრი სხვა. პრაქტიკულად, ყველა თქვენი გამონათქვამი გამართლდა. საიდან იცოდით ეს ყველაფერი?**

– ძვირფასო ქალბატონო ბაია, მიხეილ სააკაშვილი პირველად მე რუსთაველის პროსპექტზე ვნახე: კოჭებამდე დამოკლებული შარვალი ეცვა და ზემელიდან ქვემოთ მიფშვიტინებდა! ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ბევრი უფშვიტინე მინახავს, მაგრამ ეგ სულ სხვა იყო – იმავე შარვლიდან გადმოყრილ კოჭებზე ეტყობოდა, სულ მალე საბოლოოდ რომ დაუსტვენდა!.. ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ!.. ხოლო შემდგომ, როცა ბატონი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად გაამწესეს, რაღა დაგიმალოთ და, უკვე კარგად ჩამოყალიბებული გიჟი იყო!..

თუ გახსოვთ, ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს, თავის ნაციონალებთან ერთად, ბოლნისის ქუჩებში უკვე ქვებს ისროდა. ამის ამსახველი კადრები დღესაც ინახება საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე. ხოლო **„ლიტერატურული საქართველოს“** ის ნომერი, სადაც მე საქართველოს მოსახლეობას ვაფრთხილებდი, **„სახურავზე გიჟია“**-მეთქი, დღესაც ინახება საჯარო ბიბლიოთეკის პრესის განყოფილებაში!.. ალბათ, ისიც გახსენდებათ, რომ მე ამ ახალგაზრდა ცრუ-რეფორმატორების გუნდს, ჟვანია-სააკაშვილის რაზმელებს, თავიანთი წარმომავლობის გამო, ქართველ ცუტუნ-დაშნაკებს ვეძახდი! იმჟამინდელ პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს კი პირდაპირ ვეუბნებოდი – ახალგაზრდა რეფორმატორთა ეს ჯგუფი აწ უკვე ქვეყნის უბედურებად იქცა და მან, ვინც ამ უბედურების წარმოქმნას შეუწყო ხელი, უნდა კიდევაც აგვარიდოს იგი თავიდან-მეთქი! მეტიც ვუთხარი – ბატონო ედუარდ, თუ ამ არამზადებს ახლავე არ მოთოკავ, იმ მგელი ტოტიას ბედი არ აგცდებათ, რომელიც მისივე გამოზრდილმა ლეკვებმა შეჭამეს!.. მეტი რაღა უნდა მეთქვა ან კიდევ რაღა მინიშნებები უნდა გამეკეთებინა?! არაფერი ისმინა!.. თუმცა, რასაკვირველია, ქართველი ხალხის ძილ-ბურანიდან გამოყვანის მცდელობა მე ადრეც მქონდა. დედუ! მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი!..

**– თქვენი რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ პოეზიის, მართალი სიტყვის, უამრავი საინტერესო მოსაზრების ასპარეზს აძლევდა ქართველ საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, ხალხს ახსოვს, რა „ზარ-ზეიმით გამოაძევეს“ და როგორც დაარბია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ხელისუფლებამ. ფიქრობთ თუ არა, რომ საზოგადოებამ სათანადოდ ვერ შეაფასა და არ დადგა ქართული მწერლობის გვერდით მაშინ, როდესაც ქართული მწერლობა და ეკლესია არის ის ფენომენი, რომელიც ყოველთვის საქართველოს გადარჩენის სადარაჯოზე იდგა და დგას. წლების განმავლობაში გამომავალი და ქართველთათვის მნიშვნელოვანი „ლიტერატურული საქართველოს“ გამოცემა უნდა აღდგეს. შესაძლოა, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მაინც გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც ამ გაზეთის გამოცემის მნიშვნელობას დააფასებს...**

– არ ვაჭარბებ, **„ლიტერატურულმა საქართველომ“** მართლაც დიდი როლი ითამაშა ამჟამინდელ ხელისუფლებაში მყოფი **„ერისშვილების“** (აქ ამ სიტყვას ვირიშვილების გაგებით ვხმარობ!) გამოაშკარავებაში! ამ გაზეთის გამოცემას ცოტა კიდევ რომ გაეძლო – ფინანსური მხარე მაქვს მხედველობაში – დღევანდელი ავტორიტარული რეჟიმი კარგახნის დაქცეული იქნებოდა. ამ ხელისუფლების შიშით, როცა ცაში ფრინველი ვერ ჩნდებოდა და მიწაზე ჭიანჭველა, ამ დროს **„ლიტერატურული საქართველოს“** ფურცლებიდან მე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ვამუნათებდი – **„მე ისეთ ქართველს რა ვუთხარ, ვინც სომეხი სააკაშვილის ნაცში მიძვრება“**-მეთქი! არც იმას გამოვრიცხავ, ბაია, დადგება დრო, როცა ახალ ხელისუფლებაში მოსული ადამიანები მიხვდებიან, რომ ლიტერატურული გამოცემების, გაზეთ **„ლიტერატურული საქართველოსა“** და ჟურნალების – **„დილის“**, **„მნათობისა“** და **„ცისკრის“** – გარეშე ცხოვრება, უბრალოდ, უხერხულია...

**– რას იტყვით იმ გამონათქვამებზე, რომლებითაც პრეზიდენტმა უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორეს რუსეთის პატრიარქთან ვიზიტი დაახასიათა? სააკაშვილის რეჟიმი პატრიარქს ყოველთვის ებრძოდა, მაგრამ პრეზიდენტი ღიად დაპირისპირებას ერიდებოდა. უკვე ამასაც აღარ ერიდება?**

– სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ეს გამონათქვამები არც მომისმენია და არც წამიკითხავს. ამის მიუხედავად, ვხვდები, თუ რა სიბინძურეს ამოაფრქვევდნენ ეს სალახანები მისი უწმიდესობის მისამართით! ამასთან დაკავშირებით რა უნდა ვთქვა, გარდა იმისა, მამაზეციერს რომ ვთხოვო: შეუნდე, მამაო, ამათ, რამეთუ არ იციან, რასა იქმან!..

**– ხელისუფლების მლიქვნელები და მედროვეები ყველა დროის მთავრობისას არსებობდნენ. არიან ახლაც. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ბევრი ასეთი ადამიანი გაააქტიურა. ივანიშვილის ნდობის მოპოვებით ახალ მთავრობაში გადმობარგებას ბევრი შეეცდება. ზოგიც გულწრფელი იქნება. რას ურჩევდა თამაზ წივწივაძე ბატონ ბიძინას – როგორ უნდა გაარჩიოს გულწრფელი კაცი გამორჩენის მიზნით მასთან მისული ადამიანებისგან?**

– სხვა დროსაც მითქვამს, რომ ჩვენ გაჭირვების ჟამს ბატონი ბიძინა ივანიშვილი ღმერთმა გამოგვიგზავნა საკუთარი დედის – მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომი ქვეყნის გადასარჩენად! ასე რომ, ძვირფასო ბაია, როცა ღმერთი და **„სახედ თვისა გაჩენილი“** ადამიანი ერთ მხარესაა, სატანაც ვერაფერს დაგვაკლებს! მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად სატანად თვით სააკაშვილი იგულისხმება!..

ბიძინა ივანიშვილი ბიზნესიდან მოსული კაცია, ამ სფეროში კი ვერავითარ წარმატებას მიაღწევ, თუკი იმდენიც არ შეგიძლია, ერთმანეთისგან გულწრფელი და არაგულწრფელი ადამიანი გაარჩიო! ამიტომ არა მგონია, ბატონ ბიძინას ამ კუთხით ჩემი რჩევა დასჭირდეს –მითუმეტეს, ჩემნაირი პიროვნებისგან, ვისაც ქალის გულწრფელობის ამოცნობა შეუძლია, კაცისა კი – არა!..

**– ბატონო თამაზ, არ მინდა, ზოგიერთებივით ბიძინა ივანიშვილისადმი დითირამბები და მლიქვნელობა გამოგვივიდეს, მაგრამ არ შემიძლია, არ გკითხოთ. როგორც საზოგადოების უმეტესობა, თქვენც ფიქრობთ, რომ პოლიტიკაში მის შემოსვლას ქვეყნისთვის სიკეთის მოტანა შეუძლია? ადამიანი, რომელიც ქველმოქმედების აფიშირებას არ ახდენს, ის, ალბათ, თავის ქვეყანასაც ასევე უხმაუროდ გაუკეთებს სიკეთეს...**

– ყოველგვარი დითირამბების გარეშე ვაცხადებ: ამ კაცს მარტო სიკეთის მოტანა კი არა, საქართველოს გადარჩენაც შეუძლია!..

**– ბევრი ჩვენი თანამოქალაქე მიიჩნევს, რომ დღევანდელი ხელისუფლების არასწორმა დიპლომატიურმა გამონათქვამებმა და პოლიტიკურმა სვლებმა შეგნებულად გაართულა მეზობელ რუსეთთან ურთიერთობა. საერთაშორისო თანამეგობრობაც კი, ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების აუცილებლობაზე მიუთითებს. რუსეთში პოლიტიკური სიტუაცია აშკარად იცვლება. დაკარგული ტერიტორიების თემიდან გამომდინარე, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება თუ მიგაჩნიათ საჭიროდ?**

– ამ უზარმაზარ ქვეყანასთან ურთიერთობების მოწესრიგება აუცილებელი პირობაა, ქართველმა ხალხმა თავი უსაფრთხოდ რომ იგრძნოს! რუსეთ-სააკაშვილის დაპირისპირებაში მე რუსეთი სპილოს მაგონებს, სააკაშვილი კი იმ კოღოს, რომელმაც რამდენიმე სეზონი სპილოს უკანალში გამოიზამთრა და სიკეთისთვის მადლობა გაზაფხულზე გადაუხადა!.. გახსოვთ, ალბათ, რა პასუხი გასცა მაშინ სპილომ კოღოს – **„მე რა სამადლობელს მიხდი, როცა იქ შენი არც შეძრომა გამიგია და არც გამოძრომაო!“**

ასეა, ძვირფასო, ამხელა სახელმწიფოს სულ ტყუილად უჩხიკინებს უკანალში ჯოხს სააკაშვილი! როგორც სპილო ვერ გრძნობს მის უკანალში შემძვრალ კოღოს, ისე ვერ გრძნობს რუსეთი სააკაშვილის მუქარის სიტყვებს!..

**– ხელისუფლება უპირისპირდება ყველანაირ განსხვავებულ აზრს. მან ქართული სამოციქულო ეკლესიაც კი არ დაინდო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს რუსეთის პატრიარქთან ვიზიტს პრეზიდენტმაც და სახელისუფლებო ტელევიზიების საინფორმაციო საშუალებებმაც „შტურმით“ უპასუხეს. რამდენად მომგებიანია ნებისმიერი ხელისუფალისთვის, თანაც საქართველოში, ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელისადმი ასეთი დაპირისპირება, თუ ეს უკვე აგონიის ბოლო სტადიაა?**

– ესენი არაეკლესიური ხალხია – მეტი საერთო იეღოველებთან აქვთ, ვიდრე მართლმადიდებელ ქრისტიანებთან. მე ვერ დავიჩემებ, ღრმად მორწმუნე ადამიანი ვარ-მეთქი, მაგრამ ამათთან შედარებით საეკლესიო წმინდანად გამოვიყურები! ერთი სიტყვით, დღევანდელი ხელისუფლების ერთად აღებულ ყველა წევრს მისი უწმიდესობის კვერთხის ფასიც კი არ ადევს! ამაოა ამათი მცდელობა. ამ რეჟიმის მიერ ნასროლი ლაფი ქართულ ეკლესიას ვერ შებილწავს! როგორც კამეჩთან მოჭიდავე ხარს, არც ეკლესიასთან მორკინალ ამ ხელისუფლებას შერჩება თავზე რქები! არადა, ესენი, თავზე დიდი რქები რომ ადგათ, მხოლოდ ამით არ არიან საინტერესონი!..

**– ბატონო თამაზ, ხელისუფლების ფავორიტები ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლების მიერ ივანიშვილის მხარდაჭერას მისგან ინტელიგენციის დაფინანსების ფაქტორით ხსნიან და არა იმით, რომ ხელისუფლებამ გაანადგურა ქვეყანა და ხალხს ამიტომ აღარ მოსწონს. პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას ურჩევნია, საზოგადოებას ისეთი სამსახურები ჰქონდეს, რომ ღირსეული ადამიანებიცა და ხალხიც დახმარებას არ საჭიროებდნენ. ხელისუფლებამ, მისი მეხოტბეების გარდა, ქართველი საზოგადოებისა და კულტურის საუკეთესო ნაწილი, ფაქტობრივად, ულუკმაპუროდ დატოვა. იყო თუ არა ასეთ პირობებში ივანიშვილის მატერიალური მხარდაჭერა ქართული კულტურისა და ხელოვნების გადარჩენისთვის გადადგმული ნაბიჯი? საზოგადოების გაღიზიანებული ნაწილი ხელისუფლებას რატომ არ უყენებს იმ პრეტენზიებს, რაც ივანიშვილის მიმართ გაუჩნდა – „მე უფრო მიჭირდა და რატომ არ მეხმარებოდა“?..**

– მოხდა ისე, რომ ერთ დღეს საკუთარი ხელისუფლებისგან განწირული ინტელიგენცია ღმერთისა და ივანიშვილის ამარა აღმოჩნდა! შიმშილით სიკვდილი თითქმის გარდაუვალი იყო! ღმერთმა – სულიერი შემწეობით, ივანიშვილმა კი მატერიალური დახმარებით ეს ხალხი ფიზიკური განადგურებისგან იხსნა! მე კი, როგორც სხვა დროს, ახლაც უპატრონოდ დავრჩი!.. მაგრამ მიხაროდა ის, რომ ჩემს ქვეყანას ივანიშვილმა ჩემზე ათასჯერ აღმატებული პიროვნებები შიმშილით სიკვდილისგან გადაურჩინა! ეს კაცი არც ჩემს **„ლიტერატურულ საქართველოს“** დახმარებია, მაგრამ, სამაგიეროდ, იმდენი კულტურული ძეგლი და იმდენი კულტურული დაწესებულება გადაარჩინა, ჩემი ობოლი და საწყალი გაზეთი იმათთან რა მოსატანია!..

და მაინც, მე უბედნიერეს ადამიანად ვთვლი თავს, რომ დღევანდელი თაობის საქართველოში არსებობს ღვთის კაცი, რომელსაც თავისი ღვთიური საქციელით შეუძლია, სამშობლო გადამირჩინოს!.. მე ასეთ ადამიანს, თუ ჩემი ძალისხმევით ვერაფერს შევეწევი, იმდენს მაინც მოვახერხებ, ფეხები დავბანო!..

**– დაბოლოს, ბატონო თამაზ, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, რას უსურვებდით საქართველოს და ქართველ ხალხს და რას ელით საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნებისაგან“?**

– ქართველი ხალხისგან მხოლოდ გამოღვიძებას და **„დეპოდან გამოსვლას“** ველი! ხოლო საზოგადოებრივ მოძრაობა **„ქართული ოცნებისგან“** იმ დიდი ოცნების აღსრულებას, **„რასაც დღენიადაგ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“...**

**ესაუბრა ბაია ამაშუკელი**

# ნიჭი მკურნალობისა და ტალანტი სულისა...

ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. არც ის დაბადებულა ღვთის განცხადების, ნათლისღების დღეს შემთხვევით, ამ დღეს ხომ, უფლის ნებით, ონკანის ჩვეულებრივი წყალიც კი ნაკურთხია და ისიც, დაბადებისთანავე განიბანა კურთხეული წყლით და მაშინვე დაენათლა ალბათ უფლისგან მამუკა ჩუთლაშვილს ის დიდი სიკეთე, სითბო და ნიჭი უსაზღვრო სიყვარულისა, რითაც კურნავს, ანუგეშებს და ათბობს იმ საზარელი სახელის მქონე სნეულებით შეპყრობილ ბავშვებს, მარტივად კიბო რომ ჰქვია ქართულ ენაზე. მასთან შეხვედრამდე ექიმი-ონკოლოგების მიმართ შეუცნობელი, შემზარავი გრძნობა მქონდა – შიში, უიმედობა, უნუგეშობა, ონკოლოგიური საავადმყოფო – სიცივის, დარდის და ვარამის ადგილად მიმაჩნდა. შემთხვევით არც მე ავსულვარ მის გასაცნობად, აქაც უფლის ნება ერია, ის ხომ ჩემი საყვარელი მოსწავლის, ერისკაცობაში ნუგზარ მილორავას მკურნალი ექიმი იყო, იმ სიცოცხლით და ხალისით სავსე, ყოველმხრივ შემკული ნიჭიერი ბიჭისა, ჩუმად რომ გამიმხილა ბავშვობაში უფლის მხედრობის სურვილი. უფლის ნებით, მამუკა ექიმმა უსაზღვრო ნიჭით, უანგარო, მუხლჩაუხრელი ღვაწლით და ოსტატობით გააძლებინა ნუგზარს – მამაოს კურთხევით – ნიკოლოზს, ჯერ წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღემდე, დღემდე როცა უფალმა ინება მისი ღვთაების მამათა მონასტრის ბერად ხელდასხმა. შემდეგ კი, ბერ ანდრიად წოდებულ, დედით სვანს, მის საყვარელ დღესასწაულამდე, კვირიკობამდე. ასე რომ, უიმედობა და უნუგეშობა საბოლოოდ მან დამაკარგვინა, შიში შემრჩა, მხოლოდ უფლისა.

ონკოლოგიური საავადმყოფოს დირექციამ, ბავშვთა და პალიატიური განყოფილებების მედპერსონალმა დამანახა, რომ აქ ადამიანების სიყვარული სუფევს, აქაურ მარტო თანამშრომლებს კი არა, მგონი კედლებსაც კი უყვართ ბავშვები.

საწყენად ნურავინ მიიღებს, მაგრამ მამუკა რაღაც სხვა მოვლენაა, ყველასგან განსხვავებული, ზრდასრულებისთვის ცოტა უცნაური, ბავშვებისთვის მეტად ახლობელი, სანდო და საყვარელი.

მამუკა ექიმო, დიდი მადლობა უფალს და შენს მშობლებს შენი ამქვეყნად მოვლენისათვის. ბავშვები არასოდეს ცდებიან ადამიანთა შეფასებაში, შენ კი მათი რჩეული ხარ ყოველთვის. ბერი ანდრია ხომ ბოლო ამოსუნთქვამდე იმედით და დიდი სიყვარულით შენ შემოგცქეროდა, აქ საპატრონოდ მის მშობლებს, ახლობლებს და ყველა იმ ბავშვს შენ გიტოვებდა, ვისთვისაც ზრუნვას მისი ლოცვა და შეწევნა გაგიადვილებს.

ჩემო მამუკა, უშეცდომო და უცოდველი არავინ ვართ ამ ქვეყანაზე, სისუსტეები მეტნაკლებად ყველას გვაქვს, უფალი ხომ ცოდვილთა სულების დასახსნელად მოევლინა ხორციელად სამყაროს, თუმცა, შენ მართლაც დღიდან დაბადებისა გამოგარჩია, ადამის ცოდვა შობისთანავე ჩამოგირეცხა, მოგანიჭა ნიჭი მკურნალობისა და ტალანტი სულისა და ხორცის გაყრის უსაშველო ტკივილის დაამებისა ბავშვებისათვის, იმათთვის ვინც სასუფეველში დაუდუმებლად და დაუღალავად უგალობენ, ადიდებენ, მადლობენ უფალს.

მინდა მოგილოცო დაბადების დღე და მოკრძალებით შევევედრო დედაღმრთისმშობელს გაგიღრმავოს შიში და სიყვარული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მისი ნებით დიდხანს გამყოფოს ბავშვების მკურნალად და ნუგეშად, შენ ეს შეუდარებლად კარგად გამოგდის და შეგიძლია.

არ მოუშალოს სიკეთე და წყალობა ყველა იმ ადამიანს, ვისაც საკუთარი ცოდვების დანახვა, სხვათა შენდობა, სიკეთისა და საქმისადმი ერთგულების დანახვა შეუძლია.

მადლიერების გრძნობით,

**მარინა მასწავლებელი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

## ცალკეული სპეციალისტების მიერ ქართველური ენების უგულებელყოფის ცდის – როგორც არამეცნიერული, ანტიეროვნული აქტის – აღკვეთისა და ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად ამ ენების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153)

(ანოტაცია)

ეს ნაშრომი, რომელიც მოიცავს შვიდ ტომს, ერთდროულად არ შექმნილა. იგი ავტორთა მიერ ენათმეცნიერების დარგში თითქმის 30 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგს წარმოადგენს.

უფრო კონკრეტულად, მოცემულ შვიდტომეულს წინ უძღოდა და საფუძვლად უდევს მ. ძაძამიასა და ც. ძაძამიას 2600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 8 მონოგრაფია, რომელთაგან აქამდე გამოქვეყნებული იყო მხოლოდ 30-მდე სტატია და 3 მონოგრაფია 4 წიგნად, ამ უკანასკნელთა შორის კი, – ნაშრომები: **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“** (ზუგდიდი, 1997 წ.) და **„სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი“** (ზუგდიდი-სენაკი, 2003 წ.).

მოცემული შვიდტომეული წარმოადგენს ყველა ამ ნაშრომის ერთგვარ შეჯამებას, მეგრული ენის ლექსიკის შესახებ ახალი, დამატებითი მასალებითურთ, ამჯერად ვლ. ვახანიას თანაავტორობით. ამ ნაშრომებში გამოკვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ერთ-ერთი უმწერლობო ქართველური ენის – მეგრული ენის – ლექსიკა, მისი მონაცემები.

შვიდტომეულსა და მის ფუძემდებლურ ნაშრომებში (მთლიანად ან ამა თუ იმ კუთხით) განხილულია ისეთი გლობალური, პრობლემური და მასთანავე საინტერესო საკითხი, როგორიცაა ენის წარმოშობის საკითხი.

როგორც ცნობილია, ბუნების ქმნილებათა შორის, დედამიწაზე, ადამიანი ერთადერთი სულიერი არსებაა, რომლისთვისაც დანათლულია აზროვნება, მეტყველება და ენა.

ადამიანის მთელი ცხოვრება, მოღვაწეობა დაკავშირებულია აზროვნებასთან და ენასთან.

ენა ადამიანთა უმთავრესი საურთიერთობო საშუალებაა. მის გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების არსებობა.

ენის წარმოშობის საკითხი ყველაზე პრობლემური და საინტერესო საკითხთაგანია. მისი შესწავლით ადამიანი ოდითგანვე იყო დაინტერესებული, რაც დასტურდება ხალხური და რელიგიური გადმოცემებით.

საღვთო წიგნის, – **„ბიბლიის“** – მიხედვით ადამიანები თავდაპირველად ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. ერთხელ ბაბილონის (ეგვიპტე) მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს ცამდე მაღალი გოდოლი (კოშკი) აეგოთ და ღმერთთან ასულიყვნენ. ამ კადნიერებით განაწყენებულმა ღმერთმა მათ ენა აურია. ისინი სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ, ერთმანეთს ვერაფერი გაუგეს და კოშკის მშენებლობაც ჩაიშალა. შემდეგ ეს ხალხი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაიფანტა და ასე გაჩნდა მრავალი ენა. ერთ-ერთი გადმოცემით საგნებს სახელი თვით ღმერთმა დაარქვა, სხვა გადმოცემით კი ადამმა და ევამ დაარქვეს.

ენის წარმოშობის შესახებ პირველი მეცნიერული თეორიები წამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ ძველბერძნულ ანტიკურ პერიოდში, კერძოდ, VI-III საუკუნეებში (ძვ. წ.) სტოელთა და ეპიკურელთა სკოლების წარმომადგენლების მიერ.

ასე, მაგალითად, **ჰერაკლიტე** (დაბად. დაახლ. 544-540 წ. ჩვ. წ.-მდე) თვლიდა, რომ **სიტყვები ბუნების მიერ არის შექმნილი**. მისი მიმდევარი **კრატილი** ამბობდა, რომ **„თითოეულ საგანს ბუნებამ განუკუთვნა განსაკუთრებული სახელი, ისევე, როგორც ყოველ აღსაქმელ საგანს თავისი აღქმა აქვს განკუთვნილი“**. საპირისპირო თვალსაზრისს იცავდა **დემოკრიტე** (დაახლ. 460-370 წ. ჩ. წ-მდე), რომელიც უარყოფდა სიტყვასა და საგანს შორის ბუნებრივი კავშირის არსებობას და თვლიდა, რომ სახელები დადგენილია, ჩვეულების შედეგია.

ენის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში არსებობს მრავალი თეორია. მათ შორის, ძირითადია შემდეგი:

1. **ხელის ენის ანუ ჟესტ-მიმიკის, იგივე კინეტიკური თეორია.** ამ თეორიის მიხედვით ადამიანი პირველად ამეტყველდა ხელების მოძრაობითა და ჟესტ-მიმიკით, მსგავსად ყრუ-მუნჯებისა. აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ წარმოიშვა ბგერითი მეტყველება.

2. **შორისდებულების ანუ წამოძახილების თეორია.** ამ თეორიის მიხედვით ადამიანი სხვადასხვაგვარი ემოციების (ტკივილის, სიხარულის, მწუხარების და სხვ.) შედეგად აღმომხდარი შორისდებულების (ოჰ! უჰ! და სხვ.) მეშვეობით ამეტყველდა.

3. **ხმაბაძვითობის თეორია.** ამ თეორიის მიხედვით ადამიანი ბუნებაში არსებული ბგერებისადმი ხმამიბაძვის საფუძველზე ამეტყველდა. მაგალითად, ადამიანმა გუგულს ეს სახელი უწოდა იმიტომ, რომ მას ხშირად ესმოდა ამ ფრინველის ძახილი გუგუ! გუგუ! და ა. შ. ეს თეორია არ იძლევა უშუალო ახსნას, თუ რატომ ეწოდა იმავე ფრინველს, ვთქვათ, რუსულად **კუკუშკა**, იაპონურად – **ხოტოტოგისუ**, ჩინურად – **დუძიუან**, უკრაინულად **ზოზულია** და ა. შ.

4. **შრომითი წამოძახილების თეორია.** ამ თეორიის მიხედვით ადამიანი ამეტყველდა შრომის პროცესში წამოძახილების საფუძველზე.

5. **მარქსისტული შრომითი თეორია.** ამ თეორიის მიხედვით ადამიანები შრომის პროცესში იძულებული გახდნენ ერთმანეთისთვის რაღაც ეთქვათ. ამან განაპირობა ენის წარმოშობა.

ენის წარმოშობა დაკავშირებულია საგნის (სხვა ობიექტური მონაცემის) სახელდებასთან. ამიტომაც **საგნის სახელდების შესახებ ძველთაგანვე ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით საგნის სახელდება მომხდარია მისი ბუნების საფუძველზე, ხოლო მეორე მათგანის მიხედვით საგანს სახელი დაერქვა ადამიანის ნება-სურვილისა და შემთხვევითობის საფუძველზე.** შემდეგში, პირველმა შეხედულებამ მიიღო **საგნის სახელდების ბუნებითობის თეორიის** სახელწოდება, ხოლო მეორე შეხედულებამ – **საგნის სახელდების შეთანხმების თეორიის სახელწოდება.**

აღნიშნული თეორიების ავტორები და მიმდევრები (მომხრეები) ცდილობდნენ მათთვის საინტერესო (მისაღები) თეორიის დამტკიცებას. ამასთან, მიმართავდნენ სხვა თეორიების უარყოფას. ასე, მაგალითად, **ჟესტ-მიმიკის თეორია** უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ ხელების მოძრაობითა და ჟესტ-მიმიკით ადამიანები ვერ იმეტყველებენ სიბნელეში და შრომის პროცესში. **შორისდებულების ანუ წამოძახილებისა და ხმამიბაძვის თეორიები** უარყოფილ იქნენ იმ მოტივით, რომ შორისდებულები და ხმაბაძვითი სიტყვები ენის პერიფერიულ, უმნიშვნელო ლექსიკას განეკუთვნებიან და ენის ნომინაციაში ისინი მხედველობაში არ უნდა მივიღოთ. ვერ მოიპოვეს საერთო აღიარება **შრომითი წამოძახილებისა და მარქსისტულმა შრომითმა თეორიებმაც.**

მწვავე, მრავალსაუკუნოვანი დავა წარიმართა საგნის სახელდების, მაშასადამე, **ენის წარმოშობის ბუნებითობისა და შეთანხმების თეორიების** მომხრეებს შორის. საგნის სახელდების შეთანხმების თეორიის მომხრეებმა, იმთავითვე, საგნის სახელდების ბუნებითობის თეორიის საპირისპიროდ ასეთი არგუმენტი წამოაყენეს: **საგანს რომ სახელი მისი ბუნების მიხედვით ერქვას, არ გვექნებოდა ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა სახელწოდება სხვადასხვა ენაში, ესე იგი, არ გვექნებოდა სხვადასხვა ენა.** საგნის სახელდების ბუნებითობის თეორიის მომხრეებმა, თავის მხრივ, ასეთი არგუმენტი წამოაყენეს: **საგანს რომ სახელი შეთანხმების (ე. ი. ადამიანის ნება-სურვილის) მიხედვით ერქვას, რატომ არ შეიძლება გადავარქვათ მას იგი ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით; ასე, მაგალითად, ძმას ვუწოდოთ მთა, ღორს – ბულბული, ცხვირს – გემი და ა. შ.** ამ კითხვებზე პასუხი ვერ გაიცა.

ამდენად, **მეტყველებისა და ენის წარმოშობის შესახებ არსებული ვერც ერთი თეორიის მომხრეებმა ვერ შეძლეს მათთვის საინტერესო (მისაღები) თეორიის დამტკიცება, ვინაიდან ვერ მოუხმეს საამისო საბუთებს და ვერ გააბათილეს საწინააღმდეგო თეორიები. შედეგად ამისა, საბოლოო ანგარიშით, ვერც ერთმა თეორიამ ვერ ჰპოვა აღიარება; მეტიც, ყოველი მათგანი, პრაქტიკულად, უარყოფილ იქნა სხვა, საწინააღმდეგო თეორიების მიერ.**

მაგრამ, იმ საფუძველზე, რომ **თანამედროვე ენა, წარმოადგენს პირობით ნიშანთა სისტემას, რომ, მაგალითად, სიტყვა გუგული აღმნიშვნელია ფრინველ გუგულისა, და – არა საკუთრივ გუგული, ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა შეხედულება *ენობრივი ნიშნის პირობითობის შესახებ.***

ენის წარმოშობის საკითხზე, საერთოდ ენის ფენომენზე, თანამედროვე ენათმეცნიერებაში გაბატონებულია ასეთი შეხედულებები:

***„ენის ლექსიკის (სიტყვობრივი მარაგის) უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული, სრულიად შემთხვევითია და ნებისმიერი“.***

***„სიტყვა მხოლოდ პირობით აღნიშნავს საგანთა და მოვლენათა კლასს. მაგ., ის ნივთიერება, რომელსაც ქიმიკოსები $H_2O$-თი გამოხატავენ, ქართულში აღინიშნება „წყალი“ სიტყვით, რუსულში Вода, გერმანულში წასსერ და ა. შ.“.***

***„კავშირი აღსანიშნავს (ცნებასა, კერძოდ, საგანსა) და აღმნიშვნელს (ფონემას, კერძოდ, სიტყვას) შორის პირობითია“; „არავითარი ლოგიკური აუცილებლობა არ არის იმისა, რომ $H_2O$ ქართულში „წყალი“ ფონემათა თანმიმდევრობით აღინიშნებოდეს. ვერავინ ვერ დაამტკიცებს იმას, რომ „წყალი“ უკეთ გამოხატავს $H_2O$-ს, ვიდრე Вода, წასსერ და სხვა“.***

***„ენობრივი ნიშანი ცნების (აღსანიშნისა) და ბგერის (აღმნიშვნელის) ნებისმიერი შეერთება“.***

***„...ენაში მოქმედებს არა იკონურობის, არამედ პირობითობის პრინციპი“, „ენის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს პირობითობა და არა იკონურობა“. „...ენას ნულამდე დაჰყავს იკონურობა“.***

***„...მსგავსება სიტყვასა და საგანს შორის შეინიშნება მხოლოდ ხმამიბაძვით სიტყვებში (ყიყინი, შრიალი, კაკანი, ღმუილი და ა. შ.), მაგრამ ხმაბაძვითი სიტყვები, ჯერ ერთი, ენის პერიფერიულ ლექსიკას განეკუთვნება და, მეორეც, ხმაბაძვით სიტყვასა და საგანს შორის მსგავსება ნაწილობრივია“. „იგივე შეიძლება ითქვას შორისდებულებზე“, მაგრამ „შორისდებულები უფრო მეტად, ვიდრე ხმაბაძვითი სიტყვები, ენის პერიფერიულ ლექსიკას ეკუთვნის და ამიტომ ენის დეფინიციისათვის მათ რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ ექნება“.***

***„თანამედროვე ენაში თავდაპირველი მეტყველების კვალიც კი არ არის დარჩენილი, ამიტომ შეუძლებელია მისი აღდგენა“.***

***„შეუძლებელია ენის ლექსიკის ჩვენს თვალწინ, „როგორც ჯარიკაცებისა აღლუმზე“ (ვანდრიესი) ჩამოტარება და დათვალიერება, მისი მათემატიკურად გამოანგარიშება“.***

**„ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ რაც უფრო ვითარდება ენათმეცნიერება, რაც უფრო ზუსტი მეცნიერება ხდება იგი, მით უფრო ნელდება ინტერესი ენის წარმოშობის საკითხის მიმართ. პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოება 1866 წელს იმასაც აცხადებდა, რომ არ იღებს მოხსენებებს, რომლებიც ენის წარმოშობას და საყოველთაო ენის შექმნას ეხებაო. *საქმე ისაა, რომ ამ სფეროში შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ვარაუდების წამოყენება და ეს იმიტომ, რომ ის პერიოდი, როდესაც პირველყოფილი ადამიანი თანდათანობით ეჩვეოდა დანაწევრებული ბგერების წარმოთქმას, ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია“.***

***„სამწუხაროდ, ენის წარმოშობის პროცესი ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია, რადგანაც იგი ხდებოდა პრეისტორიულ ხანაში, მილიონზე მეტი წლის წინ, როდესაც რა თქმა უნდა არ იყო დამწერლობა და ამიტომ ენის წარმოშობის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ შემონახულა. ამიტომ ჩვენ ამჟამად შეიძლება განვსაზღვროთ მხოლოდ ის პირობები, რომელთა გარეშეც ენა ვერ წარმოიქმნებოდა“.***

გამოკვლევამ დაგვანახა, რომ **ენათმეცნიერებაში დღემდე გაბატონებული ზემოაღნიშნული და ანალოგიური შეხედულებები ენის წარმოშობის საკითხზე, საერთოდ ენის ფენომენის შესახებ, მცდარია, საფუძველს მოკლებულია.**

როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი გვასწავლის, **ბუნებაში უკვალოდ არაფერი იკარგება.** ამიტომაც შეუძლებელია თანამედროვე ენაში არ იყოს დარჩენილი პირველყოფილი მეტყველების კვალი.

ცხადია, **ენა შედგება სიტყვებისაგან, სიტყვები კი – ბგერებისაგან.** ამიტომაც **ენის წარმოშობის საკითხის შესწავლისათვის აუცილებელია სამეტყველო ბგერების და საერთოდ ბგერების რაობის შესწავლა.**

ჩვენი გარემომცველი სამყარო აღსავსეა სხვადასხვაგვარი ბგერებით. მათ, ზოგადად, შეიძლება ვუწოდოთ **ბუნებაში მოცემული ბგერები.**

ბგერების გაღება, გარკვეულ პირობებში, დამახასიათებელია როგორც ცოცხალი, კერძოდ, სულიერი და უსულო, ასევე არაცოცხალი საგნებისათვის. ეს ბგერები ხასიათდებიან მრავალფეროვნებით. ასე, მაგალითად:

ღრიალებენ, ღმუიან, დუდღუნებენ, ბდღვინავენ ლომები, ვეფხვები, დათვები; ღმუიან, ყმუიან, წკავწკავებენ მგლები, ძაღლები, მელა-ტურები; ბღავიან ირმები, ძროხები, კამეჩები; კრიახობენ, კაკანებენ, ჭუხჭუხებენ, ჭიკჭიკებენ, ფსტვენენ, ჟღურტულებენ, ჯღავიან, წივიან, ყრანტალებენ, წიკწიკებენ, მრავალნაირ ხმაზე გალობენ ფრინველები; ყიყინებენ ბაყაყები; სისინებენ ქვეწარმავლები; ბზუიან, ჭრიჭინებენ, წიპწიპებენ, წრიპინებენ მწერები; ჭყავიან, ჭუკჭუკებენ, ფუთფუთებენ, ფრუტუნებენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ სხვანი და სხვანი;

თქრიალით, თქრჩიალით, თუხთუხით, ღრიალით, ქშენით, ქშუილით, ჩხარჩხარით, ჩხრიალით, ჩუხჩუხით, ხრიალით, ხურხურით, წკანწკარით მიედინებიან მდინარეები, ღვარცოფები, ღელეები, ნაკადულები;

მოსწყდება რა მთებს, მის ფერდობებს, გამაყრუებელი ხმაურით ინთქმება ძირს თოვლის ვეება ზვავი;

ბორგავს, ქშუის, ქშინავს, ფსტვინავს, ზუზუნებს, სისინებს, წივის ქარი; ტკაცატკუცით, გრუხუნით, ლაწანით ვარდებიან თავქვე კლდის ნატეხები, ქვა-ღორღი, მიწა, დამეწყრილი თუ ქარის მიერ წაქცეული ხეები;

ბათქით, ზათქით, გრუხუნით, სკდებიან ჭურვები;

რახრახებენ ელმავლის ბორბლები; გუგუნებენ თვითმფრინავისა და სხვათა ძრავები; ჭრიალებენ ურმის ბორბლები;

გრგვინავს, გრუხუნებს, ტკაცუნობს ჭექა-ქუხილი; ბრიალებს, გიზგიზებს ცეცხლი;

გუგუნებს დაფდაფი; მრავალნაირ მელოდიებს აფრქვევენ: ჩონგური, ფანდური, ჭიანური, ლარჭემი, სალამური, ჩანგი, სტვირი, გიტარა, როიალი, ვიოლინო და სხვა. მათი ამღერებაც შეიძლება და აკვნესებაც;

**„მღერის“** მაგნიტოფონის ლენტა, გრამაფონის, პატეფონის ფირფიტა, რადიომიმღების, ტელეხედვის მემბრანა; ჩასძახებ და ამოგძახებს ჭური;

სინთეზური ქსოვილის ნაჭრებს თუ ერთმანეთზე გავახახუნებთ, ტკაცა-ტკუცს გავიგონებთ, სიბნელეში კი ნაკვერცხლებსაც დავინახავთ.

უამრავი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა.

მამანტი ძაძამია
ცირა ძაძამია
ვლადიმერ ვახანია

სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი



მაგრამ **წამყვანი** – სრულიადაც არ ნიშნავს ხელმძღვანელსა და წამმართველს. ამიტომ, ლავრენტი ბერიას მიერ აქცენტი საბჭოთა მთავრობაზე საკმაოდ უხვსიტყვიანი გახლდათ. ამასთან, ეს გახლდათ ზუსტად ის, საითკენაც ქვეყანა მიჰყავდა იოსებ სტალინს. მან ხომ ჯერ კიდევ ჟდანოვის სიცოცხლეში, ამ უკანასკნელის შენიშვნაზე იმის შესახებ, რომ უკვე დიდი ხანია არ გამართულა პარტიის ყრილობა, უპასუხა: **"პარტია?.. პარტია დიდი ხანია გადაიქცა მეხოტბეთა თავყრილობად"**. და მაშინვე, სტალინმა განმარტა, რომ დიდმა სამამულო ომმა გვიჩვენა: საბჭოთა საზოგადოებაში ანტისაბჭოთა ელემენტი, თურმე, იმაზე ბევრად ნაკლები გახლდათ, **"ვიდრე ჩვენ მოგვახსენებდნენ..."** და, მაშინვე, იოსებ სტალინმა ასეთი წინადადება შემოიტანა: **"უნდა მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები, საბჭოთა ხალხის წინაშე, რასაკვირველია"**.

პასუხად მას ყრუ სიჩუმე შეეგება, მას მხარი მხოლოდ ჟდანოვმა და ვოზნესენსკიმ დაუჭირეს (ამ უკანასკნელს ეს ნაბიჯი მაინცადამაინც ძვირად არ უღირდა, რადგან მასობრივ რეპრესიებში მონაწილეობა არ მიუღია). მაშინ სტალინისათვის ბერიასაც რომ დაეჭირა მხარი, მისი ლიკვიდაციის შემდეგ ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ისტორიის ანალებში ვერ მოხვდებოდა.

საჯაროდ მონანიება შეიძლებოდა მხოლოდ ცოცხალ სტალინთან ერთად – ეს საბჭოთა ხალხში ავტორიტეტს აუმაღლებდა როგორც ბელადს, ასევე პარტიას. მისი სიკვდილის შემდეგ მონანიება კი მისი ავტორიტეტის ირიბად შერყევის ტოლფასი იქნებოდა. ნიკიტა ხრუშჩოვმა ყოველივე ეს გააკეთა, მაგრამ კი არ მოინანია, არამედ მთელი ცოდვები **"ტირან"** სტალინს აჰკიდა, მაგრამ სხვა რა მოლოდინი უნდა გვქონოდა ფალსიფიკატორი, ორპირი და ფლიდი პარტოკრატისაგან?

ბერია პარტიისა და ხელისუფლების შეცდომებსა და გადახრებს საქმით ასწორებდა. მაგრამ საზოგადოებრივი ყოფის ორგანიზების პოლიტიკური რეფორმა არ გახლდათ მარტივი პერსპექტიული ამოცანა. აი, ეკონომიკის სფეროში კი ბერიას ინიციატივებმა წამიერად მოიტანეს ხელშესახები შედეგები. იგი ყოველთვის მასშტაბურად აზროვნებდა, მისი მმართველობითი გადაწყვეტილებები ათეულ, ხშირად კი ასეულ მილიონობით სარგებელს აძლევდა სახელმწიფოს. მეორე მხრივ, იგი მოითხოვდა იმაზე ბევრად ნაკლები სახსრების დახარჯვას, ვიდრე ეს საჭირო იყო. და, ამიტომაც იყო, რომ ბერიას ეს თვისებები გამოვლინდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მისი დანიშვნისთანავე.

1953 წლის 21 მარტს ბერია სსრკ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს უგზავნის წერილობით წინადადებას 20 მსხვილი ობიექტის მშენებლობის შეჩერების ან ლიკვიდაციის თაობაზე, რომლებიც **"უახლოესი პერიოდის განმავლობაში არ არიან დიდად საჭირონი საბჭოთა სახალხო მეურნეობისათვის"**. ეს იმით აიხსნებოდა, რომ 50-იანი წლების დასაწყისიდან იოსებ სტალინი გიგანტომანიამ შეიპყრო და რამდენიმე ამბიციურ პროექტს დაუდო სათავე. მაგალითად, 1950 წლის სექტემბერში მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ამუდარია-კრასნოვოდსკის მთავარი საირიგაციო არხის მშენებლობის თაობაზე, რომელიც უნდა მოხმარებოდა დასავლეთ თურქმენეთის, აღმოსავლეთ კასპიისპირეთის, ამუ-დარიას დაბლობების და ყარა-ყუმის უდაბნოს დასავლეთ ნაწილის ყამირი და გაუდაბნოებული ტრამალების მორწყვის საქმეს.

დიდი თურქმენეთის არხის მშენებლობის თავდაპირველი საბალანსო ღირებულება გახლდათ რამდენიმე მილიარდი მანეთი, შემდეგ კი გაირკვა, რომ ამ მართლაც გიგანტური საქმის ბოლომდე მისაყვანად საჭირო იყო 30 მილიარდ მანეთზე ბევრად მეტი. ჰქონდა რა მხედველობაში სწორედ თურქმენეთის დიდი არხის მშენებლობა, ლავრენტი ბერია წერდა:

**"ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა ან ლიკვიდაცია მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ ამ მშენებლობებს სჭირდება დიდძალი მეტალი, საამშენებლო და სხვა ტექნიკური მასალები და საშუალებები, მოწყობილობები, ასევე სამუშაო ძალა... მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ მშენებლობათა სამუშაოების შეჩერება, ან მათი სრული ლიკვიდაცია... რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 49,2 მილიარდ მანეთს..."**

ამ ობიექტებში შედიოდა ვოლგა-ურალის თვითდინებადი არხი, თათრეთის სრუტის ქვეშ გამავალი გვირაბი, რომელიც სახალინის კუნძულს მატერიკთან დააკავშირებდა, სარკინიგზო ხაზი ჩუნი-სალეხარდი-იგარკა, კიროვის სახელობის ქიმიური ქარხანა...

ამასთან, ლავრენტი ბერია ამ ეკონომიკურ წინადადებას უკავშირებს საბჭოთა კავშირში არსებულ შიდაპოლიტიკურ მდგომარეობას. და თანაც როგორს! 17 მარტს იგი წერილობით წინადადებას სთავაზობს სსრკ მინისტრთა საბჭოს:

**"სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფი მთავარი სამეურნეო-საწარმოო სამმართველოები, საამშენებლო სამმართველოები, სამრეწველო საწარმოები მასში შემავალი სპეციალური საამშენებლო ქვედანაყოფებით, სამსახურეობრივი ფართით, დამხმარე სათავსოებით, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით, საპროექტო დაწესებულებებით და მატერიალური რესურსებით უნდა გადაეცეს სხვადასხვა სამინისტროებს..."**

**"სხვადასხვა სამინისტროები"** – ესაა სსრკ მეტალურგიული მრეწველობის, ქვანახშირის მოპოვების, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის, საამშენებლო მასალების, ნავთობის წარმოების, ქიმიური მრეწველობის, გზათა მიმოსვლის, საზღვაო და სამდინარო ფლოტის, ცელიულოზისა და ქაღალდის წარმოების, სოფლის მეურნეობის და დამზადების სამინისტროები.

იმ ობიექტებს შორის კი, რომელიც უნდა გადაეცათ **"სხვადასხვა სამინსტროებისათვის"**, ფიგურირებდნენ: ოქროსა და პლატინის წარმოების მთავარი სამმართველო, ნორილსკის ფერადი და იშვიათი მეტალების დამუშავების კომბინატი, ტრესტები სტალინგრადმშენი და კუიბიშევმშენი, კალინინგრადის ოლქში მდებარე ქარვის დამამუშავებელი კომბინატი... და ა.შ. და ა.შ...

ჰგავს კი ეს ძალაუფლების უზომოდ მოყვარე და ყველაფერს დაუფლების მოსურნე ადამიანის საქციელს, რომელიც (მწერალ ლ. მლეჩინის პასქვილური გამოხტომისა არ იყოს) ცდილობდა, რომ მთელი ქვეყანა შრომა-გასწორებით კოლონიებში შეერეკა?

მინისტრები თევოსიანი, ზასიადკო, პერვუხინი, იუდინი, ბაიბაკოვი, ტიხომიროვი, ბეშევი, შაშკოვი, ორლოვი და კოზლოვი საკუთარ უწყებებს გაამდიდრებენ ვეებერთელა ფასეულობებით, გამოცდილი კადრებით, რესურსებით, მაგრამ... ამასთან, ისინი მიიღებენ დიდ პასუხისმგებლობასაც და იმ გეგმების შესრულების ვალდებულებებსაც, რომელიც 1953 წლამდე სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრა.

და ეს ყველას არ ახარებდა.

ისტორიკოსი იური ჟუკოვი თავის წიგნში: **"სტალინი: ძალაუფლების საიდუმლო"** ბერიას ამ რეფორმებში ხედავს ორმაგ **„გაიძვერულ"** სვლას – თითქოს **"ბერია თავიდან იშორებდა მისთვის სრულიად უსარგებლო საზრუნავსა და პასუხიმგებლობას"**. რა გაეწყობა... ვიღაცას გუბეში ვარსკვლავების დანახვა შეუძლია, ვიღაცა კი გუბეში მხოლოდ მღვრიე წყალს ხედავს.

სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი ბერია კი თავიდან იშორებს შრომა-გასწორების ბანაკების მთავარ სამმართველოსაც, რომელიც იუსტიციის მინისტრ გორშენიოვის დაქვემდებარებაში გადადის. 1953 წლის 28 მარტს სსრკ მინისტრთა საბჭო იღებს დადგენილებას **"სსრკ შსს შრომა-გასწორებითი ბანაკების სსრკ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ"**. შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში რჩებიან მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული რეჟიმის მქონე ბანაკები და ციხეები, სადაც სასჯელს იხდიდნენ **"განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დამნაშავეები, ჯაშუშები, დივერსანტები, ტერორისტები, ტროცკისტები, მემარჯვენეები, მენშევიკები, ესერები, ანარქისტები, ნაციონალისტები, თეთრგვარდიელი ემიგრანტები..."**

ძვირფასო მკითხველო! რაოდენ ბევრი რამაა დაწერილი **"სადისტი"** ბერიას თაობაზე, **რომელიც ვერ ძღებოდა ძალაუფლებით და შრომა-გასწორებითი ბანაკების იმპერია შექმნა საბჭოთა კავშირში"**. ბერიას **"საგამოძიებო საქმეში"** თითქოს არის სერგო გოგლიძის აღიარება იმის თაობაზე, ვითომდა ბერია იძლეოდა ბრძანებას, რომ დასახვრეტად გაყვანილები განაჩენის სისრულეში მოყვანამდე სასტიკად გაელახათ! განა ბერიას ამ ნაბიჯების შემდეგ შეიძლება ადამიანი ერწმუნოს მართლაც ასეთ ნაბოდვარს?

განა სწორედ ლავრენტი ბერიას ინიციატივით არ იქნა მიღებული სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება **"საპასპორტო შეზღუდვებისა და სარეჟიმო ზონების გაუქმების შესახებ"**? 13 მაისს მან სკკპ ცეკას პრეზიდიუმს შემდეგი წერილით მიმართა:

**"ამხ. გ.მ. მალენკოვს**

**<...>**

**ამჟამად, საბჭოთა კავშირში, საპასპორტო შეზღუდვები დაწესებულია 340 სარეჟიმო ქალაქში, ადგილსა და სარკინიგზო კვანძზე, ასევე სასაზღვრო ზოლში 15-დან 200 კილომეტრამდე...**

**ამრიგად, თუ საბჭოთა კავშირის რუქას გადავხედავთ, იგი აჭრელებულია იმ სარეჟიმო ქალაქებითა და ზონებით, სადაც ნასამართლევ ადამიანს ცხოვრების უფლება აღკვეთილი აქვს.**

**არსებული რეჟიმის პირობებში, ადამიანები, ვინც სასჯელი მოიხადეს ჩადენილი დანაშაულისათვის და საზოგადოებას პირნათელები დაუბრუნდნენ, განიცდიან დიდ გაჭირვებას და განწირული არიან შემდგომი ტანჯვა-წამებისათვის..."**

ამ ტექსტს ავტორის ხელმოწერა რომ მოვაშოროთ, დღევანდელი პირწავარდნილი **"დემოკრატი"** ამას იმ პერიოდის ინკოგნიტო ავტორის თვითშემოქმედებად ჩათვლის. ამ წერილს კი ხელს აწერდა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი ლავრენტი პავლეს ძე ბერია, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი პარტიული ორგანოსადმი.

1953 წლის 20 მაისს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე განხილული იქნა ბერიას მიერ წარმოდგენილი საკითხი და მიიღეს დადგენილება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საპასპორტო შეზღუდვების მოხსნის თაობაზე.

ესეც შენი – **"მონსტრი"**, **"სადისტი"**, **"გადაგვარებული"**, **"სისხლისმსმელი"**, **"სატანა"** ბერია!

ამასთან, როცა სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო **"მჭიდროდ მდგომი"** ხალხი გაუსწორდა ბერიას, 1954 წლის 21 იანვარს, სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მთელი შრომა-გასწორებითი ბანაკები სსრკ იუსტიციის სამინისტროდან კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, დღემდე მხოლოდ ბერიას მიეწერება ყოველწლიურად იმ სამასი ადმიანის მსხვერპლად შეწირვა საბჭოთა სისტემისადმი, რომლებიც **"ანტიხალხურ"** საქმიანობაში იყვნენ შემჩნეულები.

მაგრამ ბერიამ კარგად იცოდა ადამიანის სისხლის ფასი და ყოველნაირად ცდილობდა ნაკლებად დაეღვარა იგი მაშინაც კი, როცა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ამის ფატალური აუცილებლობა დგებოდა. ბერია ასევე მომჭირნედ ხარჯავდა სახელმწიფო სახსრებს. იგი კატეგორიულად ვერ ურიგდებოდა გამფლანგველობას და მას შემდეგ, რაც ატომურ მრეწველობაზე, თვით ატომური იარაღის შექმნის ჩათვლით, გაწეული იქნა გარკვეული ხარჯები, ბერია კატეგორიულად მოითხოვდა დარგის ხელმძღვანელებისაგან, რომ ყოფილიყვნენ მაქსიმალურად მომჭირნეები.

იმ **"ქარიშხლიან"** დღეებში საბჭოთა მეატომეებს ზუსტად იმ სახსრებს აძლევდნენ, რამდენსაც ისინი მოითხოვდნენ. ერთი პერიოდი საბჭოთა კავშირში თერმომეტრების დეფიციტიც კი შეიქმნა – ვერცხლისწყალი ატომური პროექტის განხორციელებას სჭირდებოდა. ახლა ბერია მოითხოვდა, რომ ყველანი სახარჯთაღრიცხვო თანხებში ჩატეულიყვნენ. და ბერიას სწორედ ამას წაუყენებს ბრალდებად **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე თვით ზავენიაგინიც კი! **"დემოკრატები"** და **"საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ძალაუფლების კვლევის"** ექსპერტები ბერიას ამგვარ გააქტიურებას მის მიერ იაფი პოლიტიკური ავტორიტეტის მოპოვების სურვილად ნათლავენ, რაც იოლად მიიყვანდა მას ქვეყნის სათავეში!

მაგრამ, ამასთანავე, **"დემოკრატები"** აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ყოველთვის უზარმაზარი მადა გააჩნდა, რაც ბედისწერად ექცა კიდეც საბჭოთა კავშირს. მაგრამ, განა სწორედ ამ **"გაუმაძღრობას"** არ ებრძოდა ბერია, როცა ყველას მომჭირნეობისაკენ მოუწოდებდა?

ლავრენტი ბერიას უკანასკნელი, მაგრამ განუხორციელებელი სურვილი გახლდათ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია.

მას შემდეგ, რაც ლავრენტი პავლეს ძე დააპატიმრეს, მასზე ნაწყენმა, ლვოვის ოლქის შს მთავარი სამმართველოს უფროსად დაქვეითებულმა გენერალმა სტროკაჩმა ბერია დაადანაშაულა შემდეგი სიტყვებით: **"შინაგან საქმეთა მინისტრად დაბრუნების შემდეგ ჩატარებულ პირველივე თათბირზე ბერიამ უთხრა მეშჩიკს: ჩვენ გვჭირდება კარგი თანამშრომლები, და არა ისეთი ხალხი, რომელთაც ტრიბუნიდან მხოლოდ "ლენინ-სტალინ"-ის ბღავილი შეუძლიათ"**.

ტიპიური პარტოკრატმა იგნატიევმა სწორედ ამ ტიპის ხალხით **"გადატენა"** როგორც სსრკ შსს ცენტრალური აპარატი, ასევე პერიფერიული სამსახურები. და ახლა სწორედ ბერიას უნდა გაეწმინდა იგნატიევის მიერ დაბინძურებული **"თავლები"**. მას ისიც კი წაუყენეს ბრალდებად, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მასიურად გამოიძახა საგარეო დაზვერვის ლეგალური რეზიდენტები. მაგრამ მრავალმა მათგანმა არ იცოდა არა თუ იმ სახელმწიფოს ენა, სადაც იგი იმყოფებოდა, არამედ არცერთი საერთაშორისო ენა!

დიახ, მრავალი მათგანი, მართლაც, მათთვის ბნელეთად ქცეული ქვეყნებიდან გამოსაძახებელი და კვალიფიციური ხალხით შესაცვლელები იყო!

**"სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების"** პროექტის შემუშავებაზე მინისტრს ეხმარებოდა გენერალი ბორის ობრუჩნიკოვი. ეს იყო საბჭოთა სპეცსამსახურებში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი, რომელიც უფროსის მოადგილედ მუშაობდა კადრების ხაზით – 1941 წლიდან 1952 წლამდე, 1952 წლის 12 მარტიდან 1953 წლის 3 ივლისამდე – სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროში და 1952 წლის 5 ივლისიდან 1953 წლის მარტამდე – სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში.

1953 წლის 3 ივლისს, როგორც ბერიას კადრის (ორივე მნიშვნელობით) მუშაკმა – ობრუჩნიკოვმა დაკარგა თავისი თანამდებობა, 1954 წლის 5 მარტს კი, სტალინის გარდაცვალების წლისთავზე, იგი 49 წლის ასაკში დაითხოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროდან **"საბჭოთა უშიშროების სისტემის ღირსების შელახვისათვის"** (1955 წელს ჩამოართვეს **"გენერალ-ლეიტენანტის"** სამხედრო წოდება). ბერიას დაპატიმრების შემდეგ ობრუჩნიკოვი განუდგა მას, მაგრამ თავისი საქმე კარგად იცოდა, ამიტომაც, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემაჯამებელი პროექტი საგულდაგულოდ იყო შემუშავებული.

და იგი მართლაც შთამბეჭდავი გახლდათ.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს

### მდინარეები აბაშა და ტეხური

მდინარე ტეხურის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი: **"ამის დასავლეთ დის მდინარე ტეხური, იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამე თუ შემუსრავს ტეხარე ყოფს ხიდსა თუ სხვასა რაისს. გამოსდის მასვე კავკასსა და მიერთვის ისულეთს ჩრდილოდამ რიონს"**. (ბატონიშვილი ვახუშტი, **"აღწერა სამეფოსა საქართველოსა"**, გვ. 777). როგორც ირკვევა, ტეხური ტეხვისგან წარმოშობილია, ეს მისი თავდაპირველი სახელი არ არის. ამავე დროს გამოთქმულია ქართულ ენაზე, შეეცვალა სახელი იმის გამო, რომ შეაწუხა ხალხი მისმა სწრაფმა დინებამ, მის მიერ გამოწვეულმა ნგრევამ. როგორ მოვნახოთ მისი თავდაპირველი სახელი? ამისათვის მივმართოთ ისევ როდოსელის **"არგონავტიკა"**-ს, სადაც წერია: **"ის ხმა მნუსხავი ეფინებოდა მდინარისპირეთს და გაშლილ ჭალას. მათაც შეესმათ. ვინც ტიტანური აიას მხრიდან შორსა ცხოვრობდა კოლხთა შორეულ მხარეში, სადაც მდინარე ლიკეს შესართავია. მქუხარე არაქსს რომ დაშორდება, ეს წმინდა წყალი ფაზისში ჩადის"**. ჩვენი დასკვნით მდინარე არაქსუ აბაშის თავდაპირველი სახელია, ესე იგი მდინარეები არაქსუ და ლიკე ურთიერთპარალელურად და ახლო უნდა მიედინებოდნენ,– აპოლონიოს როდოსელის თქმით. ასეთ მდინარეებს კი წარმოადგენდნენ აბაშა და ტეხური. ეს მდინარეები დაახლოებით თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე პარალელურად მოედინებოდნენ, მათ შორის მანძილი 7-8 კილომეტრს არ აღემატებოდა. ესე იგი, როგორც მიუთითებს როდოსელი, ლიკე ისევე სუფთა და კამკამაა, როგორიც ტეხურის წყალი. ლიკე ოდნავ დასავლეთით უხვევს და შორდება არაქსუს, რომელიც ტოვებს ლიკეს, მიედინება და დამოუკიდებლად შეერთვის რიონს. ასეთ მდინარეებად გვესახება აბაშა-არაქსუ და ტეხური-ლიკე. გარდა ამისა, მდინარე ტეხურის შენაკადებია ლებარდე, ლიჭეხა და ლიკუტალე. ძველი კოლხები, როგორც ჩანს, ჩვენს მიერ შენაკადად წოდებულ ლიკუტალეს ტეხურის ძირითად არტერიად თვლიდნენ და ამ მდინარესაც ლიკეს უწოდებდნენ. ყურადღები ღირსია აგრეთვე ისიც, რომ სამეგრელოს ჩრდილოეთით მთის მიმდებარე სოფლები, რომელთა შორის მოედინება ტეხური, ძველი მეგრული ენის მიხედვით **ლის** თავსართიანი სახელებით გამოითქმის და საეჭვოდ არ მიმაჩნია, რომ ტეხურის თავდაპირველი სახელი ლიკე იყო. ასეთი სოფლებია: ლებარდე, ლესიჭინე, ლეძაძამე, ლეხაინდრე და სხვა. ვფიქრობ, მცდარია ბატონ სიმონ ჯანაშიას და სხვების დასკვნა იმის თაობაზე, რომ მდინარე ლიკე გაიგივებულია მდინარე ჭოროხთან, ან კიდევ მდინარეებთან – ყვირილასთან და ძირულასთან. მიზანშეწონილად მიმაჩნია დაუბრუნდეს თავიანთი თავდაპირველი სახელები მდინარეებს – აბაშას **"არაქსუ"**, ხოლო ტეხურს – **"ლიკე"**.

### 7. ძველი კოლხეთის ნავსადგური სუჯინა, საზღვაო-სამდინარო ფლოტი და სახმელეთო გზები

ძველ კოლხეთში ნაოსნობა მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული.

ამას ერთობ ბუნებრივი პირობები უწყობდა ხელს. კუნძულები ევბეა და სქერია, სადაც პელასგი კოლხები ცხოვრობდნენ, ირგვლივ ზღვით იყო შემოფარგლული. ამ დროისათვის დამახასიათებელი უგზოობა და ტყით დაფარული ტერიტორიები აიძულებდა ადამიანს გამოეყენებინა ზღვა ტრანსპორტირებისათვის, როგორც საუკეთესო საშუალება. ამ კუნძულებს შორის და მის ირგვლივ ნავები დაცურავდნენ. არავინ იცის, რა ზომის და ტევადობის წყალწყვის იყო მაშინდელი ნავები. რა თქმა უნდა, მისი ზომები არც ისე დიდი იქნებოდა. ნავების მოძრაობაში მოსაყვანად ნიჩბებს და იალქნებს იყენებდნენ ალბათ. იალქნიან ნავებს, რომელთაც იმ დროისათვის დიდი სიჩქარე ექნებოდათ, საბრძოლველად იყენებდნენ და ჰყავდათ ალბათ სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ამ მოსაზრებას ადასტურებს აპოლონიოს როდოსელის **"არგონავტიკა"**-ს მეოთხე წიგნში ნახსენები აიეტის ბრძანება. **"აი, რა უთხრა ხალხს აიეტმა, ხოლო კოლხებმა დაუყოვნებლივ გამართეს ყველა საბრძოლო გემი, სწრაფად აღჭურვეს იმავე დღესა, ზღვაში ჩაუშვეს სანაპიროზე გამწკრივებული ურიცხვი გემი, კაცი იტყოდა, გემთა კრებული კი არ გასულა გაშლილ ზღვაშიო, არამედ ფრთამალ ფრთოსანთა გუნდი დაფრინავდაო ჟივილ-ხივილით"**.

ძველ კოლხებს საზღვაო ფლოტში ურიცხვი საბრძოლო გემი ჰყოლიათ. ჰქონიათ **"მამა-პაპათა ძველი კვირბები წერილ-სვეტები და იმ კვირბებზე ნაჩვენები გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა"**. ესე იგი, კოლხი მეზღვაურები დაახლოებით სამი ათას სამასი წლის უკან დაცურავდნენ არა მარტო ეგეოსისა და შავი ზღვის, არამედ ხმელთაშუა ზღვის აუზშიც, ნაოსნობდნენ. იმ დროისათვის მაღალი დონის კვალიფიცირებული მეზღვაურები ყოფილან.

მაღალი კვალიფიკაციის მქონე კოლხებს, იმ დროისათვის დახელოვნებულ მეზღვაურებს, რომელთაც ზღვის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინათ, დედაქალაქი, ანუ ქალაქი-სახელმწიფო ზღვის ნაპირიდან 50 კილომეტრით ჰქონიათ დაცილებული. ზღვასა და დედაქალაქ **"აიაია-ს"** შორის მდებარე ტერიტორია დაუსახლებელი, გამუდმებული ჭაობით და გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ცხოვრება კი, ბუნებრივია, მოითხოვდა დედაქალაქიდან შავ ზღვამდე მოსვლის საშუალებების გადაუდებელ გამონახვას. შავ ზღვაში გასვლის ერთადერთი საშუალება კი იმ დროისათვის იყო მხოლოდ მდინარე რიონი.

ამ ფრიად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს, ესე იგი შავ ზღვაზე გასვლის ოპტიმალური ვარიანტების გამონახვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მდინარე რიონის სანაპიროზე უნდ აეშენებინათ გემების მისადგომი, მგზავრთა ჩასასხდომი და ტვირთების ჩამოსატვირთი მოხერხებული ნაგებობანი. ასეთი ადგილის მონახვა რიონის ნაპირებთან დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, იმდენად, რამდენადაც მდინარე რიონის ყოველი ადიდება ხელოვნურ ნაგებობებს წალეკავდა. ამ მიზეზის გამო იძულებული იყვნენ ნავმისადგომი რიონის ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრზე დაცილებულ შედარებით მაღალ ადგილზე აეგოთ, ამავე დროს ახლო დედაქალაქ **"აიაია"**-სთან. ამრიგად, შეურჩევიათ ყველა ვარიანტზე ოპტიმალური და ხელსაყრელი ადგილი მდინარე **"არაქსუ"**-ზე (აბაშა), რიონიდან რამდენიმე კილომეტრზე, იქ, სადაც დღეს სოფელი სუჯუნაა და აუგიათ იქ ნავმისადგომი. გაუკვალავთ გზა ნავმისადგომიდან კოლხეთის დედაქალაქ **"აიაია"**-მდე, ამ გზის ნაპირებზე კოლხები დასახლებულან და აღმოცენებულან სოფლები: სუჯუნა, ნორიო, წყემი და გეჯეთი. ყველა გზას აქვს დასაწყისი და ბოლო. ამ ახლად გაკვალულ გზას დასაწყისი აუღია დედაქალაქის გალავნის დიდ კარიბჭესთან, საიდანაც წამოსული სამეფო კარის დიდებულნი ან რიგითი მგზავრი გაივლიდა სოფლებს: გეჯეთი, წყემი, ნორიო და ჩავიდოდა სუჯუნამდე, ჩასხდებოდნენ გემებში და მდინარე არაქსუს საშუალებით შეცურდებოდნენ რიონში, რიონის საშუალებით კი თავისუფლად გადიოდნენ შავ ზღვაში.

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ძველი კოლხები ამ დაუსახლებელ და უსახელო ადგილებში თვითონ თხზავდნენ სახელებს საჭიროებისდა მიხედვით.

ამ ჩვეულების მიხედვით ნავსადგურის სახელად შეურჩევიათ შესაბამისი სახელწოდება **"სუჯინა"**. სახელი სუ-ჯინა გადაითარგმნება ქართულად შემდეგნაირად – **"სუ"** არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს წყალს, **"ჯინა"** მეგრულია და ნიშნავს ლოდინს. მაშასადამე **"სუჯინა"** ნიშნავს წყალზე სალოდინოს, ანუ მოსაცდელს, ამ შემთხვევაში – ნავსადგურს. **"სუჯინამ"**, როგორც ნავსადგურმა, ადგილობრივი მართვის კვანძმა და სავაჭრო ცენტრმა, შეინარჩუნა თავისი უპირატესობა. ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეცხრამეტე საუკუნემდე, ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გახსნამდე.

ძველი კოლხეთის სუვერენულ სახელმწიფოს ეკავა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, ტრაპიზონიდან ბიჭვინთამდე და აღმოსავლეთით სურამის უღელტეხილამდე.

**ამბროსი კილასონია**

***(გაგრძელება იქნება)***

# "მტრის გულის მოსაკლავად" (გიორგი ჭალადიდელი – 165)

**წელს დაბადებიდან 165 წელი უსრულდება პოეტს, სახელოვან თანამემამულეს გიორგი ჭალადიდელს.**

**მინდა განსაკუთრებით ახალგაზრდობას შევახსენო ღირსეული წინაპრის ცხოვრების და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ფაქტები და ამით პატივი მივაგო დიდებული შემოქმედის ამაგსა და ხსოვნას.**

ნათქვამია, თუ არაფერი გაბადია ასაკის სიმრავლის გარდა, ფუჭად დაგიხარჯავს წლებიო. გიორგი ჭალადიდელი (ქოჩაქიძე) ის შემოქმედია, რომელმაც სრულიად ახალგაზრდამ, ოცდაორი წლისამ მიიქცია ყურადღება, როგორც ნიჭიერმა მგოსანმა და შემდეგ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ პოეზიაში. ამის საილუსტრაციოდ კმარა ლექსი **"მოგონება"**, რომელიც გამოქვეყნებისთანავე იაკობ გოგებაშვილის **"ბუნების კარში"** შეიტანეს და ერთი საუკუნეა უცვლელად ამშვენებს სასკოლო პროგრამას, რამეთუ გულიდან ამოხეთქილი სტრიქონები სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულით აღანთებდა და კვლავაც მოძღვრავს მოზარდებს:

**"გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,**
**შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,**
**თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა,**
**სამშობლოს რადმე გამოადგება".**

გიორგი ქოჩაქიძე (ჭალადიდელი) დაიბადა 1847 წელს. მამა – მაქსიმე ქოჩაქიძე სამეგრელოს გავლენიანი თავადი იყო და სოფელ ჭალადიდში მამულებს ფლობდა. გამოირჩეოდა გონიერებით, მოხერხებულობით, ფრანგული ენაც იცოდა, სწორედ ამიტომ იყო, რომ სამეგრელოს მთავარმა, დავით დადიანმა, იგი თბილისს მიავლინა საკუთარ წარმომადგენლად და სერიოზულ საქმეებს ანდობდა. მაქსიმე ქოჩაქიძე გარკვეულ ხანს მარტვილის მდივანბეგიც იყო, შემდეგ – სენაკის მაზრის კომისარი (ანუ, პოლიციის უფროსი), მაგრამ, საბოლოოდ, საკუთარ სოფელ ჭალადიდს დაუბრუნდა და ხე-ტყის წარმოებას მიჰყო ხელი.

გიორგის დედა – მართა მოსიძე, ზემო იმერეთიდან, საკმაოდ გავლენიანი და ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ, რომელმაც ოჯახს ექვი შვილი გაუჩინა. ანტონი – სამხედრო მოსამსახურე, ალექსანდრე – იურისტი, მელიტონი და გიორგი. ქალები – ქრისტინე და ნინო, რომელთა გამზრდელი ჭალადიდელი გლეხის ქალი, ზეხა ყურუა ბრძანებულა.

ფიზიკურად გიორგი წარმოსადეგი, მარჯვე და სიცოცხლით სავსე იყო, ეხერხებოდა ბურთაობა და სიმღერა, რაშიც თანდაყოლილ მადლთან ერთად, გარემოც უწყობდა ხელს. მდინარე რიონის დუდუნი. აბიბინებული კოლხეთის ველები და ჭოტის სტვენა, რაც თანდათან აყალიბებდა ყმაწვილის სულიერ სამყაროს: პოეზია, ხელოვნება ხომ ღმერთთან მიახლოებაა და იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!

როცა ყმაწვილი წამოიზარდა და ცოდნის დაუფლების დრო დადგა, გავლენიანმა მამამ ინდომა ნიჭიერი შვილისათვის თბილისში მიეცა განათლება, მაგრამ მაშინ სამეგრელოდან დედაქალაქში და, საერთოდ, სხვაგან, ცოდნის მისაღებად წასვლა დადიანის კარის ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. ცნობილია რამდენიმე პიროვნება, ვისაც ერგო ამ მხრივ მთავრის წყალობა. გიორგის მამამ შესძლო ნებართვის მიღება, საბუთები გაიგზავნა დედაქალაქში, მაგრამ იქიდან თანხმობა ვერ მიიღო, რის შემდეგ გადაწყდა გიორგი ქუთაისის კეთილშობილთა პანსიონში ჩარიცხულიყო, სადაც სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

ნიჭიერმა და პოეტური სულის გიორგიმ წარმატებით დაძლია პირველი ოთხი კლასი, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო 5-6 კლასებში მოისუსტა და გამოსაშვებ გამოცდებზე რუსულ ენასა და ლიტერატურაში ჩაიჭრა, რის გამოც ატესტატი მაშინვე ვერ მიიღო, მაგრამ როგორც კი ჯანმრთელობა გაიუმჯობესა, დარჩენილ საგანში გამოცდა გადააბარა და 1870 წელს პეტერბურგს გაემგზავრა უმაღლესი საინჟინრო განათლების მისაღებად. მაგრამ დაბადების მოწმობის უქონლობის გამო უარი უთხრეს სასწავლებელში მიღებაზე. ბედისწერა ხომ ზოგჯერ გესლიანად ოხუნჯობს და არავის ინდობს! საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, გიორგი სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა, სადაც გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას.

ვიდრე რუსეთში გაემგზავრებოდა, გ. ჭალადიდელი უკვე ცნობილი პოეტი იყო. 1868-69 წლებში გამოქვეყნდა მისი ლექსები, მათ შორის **"იმედი"**, **"ნეტარ არს კაცი"**, **"გამოხმობა"**, **"მოგონება"**, **"კარგი ცოლის პატრონს"**, **"მწერლისადმი"**, **"ჩემო ანა"**, **"დარჩენილი ჩერქეზი"** და სხვები. ხოლო 1870 წელს დაისტამბა **"მერცხალი"**, **"ფაცხა"**, **"ფარვანა"**, **"სიმღერა"**, **"მოხუცისადმი"** და სხვანი.

გ. ჭალადიდელის ნიჭიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თუ მისი ლექსი დაიბეჭდებოდა ერთ რომელიმე გაზეთში, ვთქვათ **"დროებაში"**, მას გადაბეჭდავდა **"სოფლის გაზეთი"**, **"ივერია"**, **"კრებული"**, **"მოამბე"** და სხვა გაზეთები. **"ასე და ამგვარად"** ინტერესით უთმობდნენ ადგილს ჭალადიდელის ხალას პოეზიას.

იონა მეუნარგია იგონებს, თბილისის სემინარიაში არავინ იყო მოსწავლე, რომელმაც კარგად არ იცოდა ჭალადიდელის ლექსი **"ქალაქელი ბიჭი ვარ, საყვარელი მეცა მყავს"**.

1869 წლიდან 1870 წლის მარტამდე დაწერილ ლექსებს მითითებული აქვს შექმნის ადგილი: ჭალადიდი, ქუთაისი, თბილისი.

პროფესორი ა. ხანანაშვილი წერს: **"მისი დებიუტი იშვიათი წარმატებით ჩატარდა, მასში ხედავდნენ ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის ღირსეულ მემკვიდრეს"**.

იქნებ გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ ცხადია, პირველი ნაბიჯები საოცრად წარმატებული იყო და იმედის მომცემი. ნიჭიერი მგოსანი ცხოვრების ქარბუქებმა რუსეთში გადახვეწა, სადაც შექმნა არაერთი მშვენიერი ლექსი, **"საზანდარული"**, **"სიმღერა გადახვეწილისა"**, **"დილა ფინლანდიაში"**, **"ყურძნის კრეფა"**, **"მოლაღური გალიაში"**, **"გორდის მთაზე"**, **"ვუძღვნი ჩემს იანგულს"** და სხვანი. მაგრამ აქტიური შემოქმედებისათვის გიორგიმ ვერ მოიცალა, მით უფრო, რომ 1873 წელს მიიღო პოდპორუჩიკის წოდება და ჩაება სამხედრო სამსახურში, რაც დიდ ენერგიასა და შრომას მოითხოვდა. თუმცა იგი პეტერბურგიდან თანამშრომლობდა ქართულ გამომცემლობებთან თბილისსა და ქუთაისში. პერიოდულად **"ცივ-ცივ ამბებს"** აწვდიდა. მტკიცდება, რომ ნიჭიერი მგოსანი **"სხვა"** ცას ვერ ეთვისებოდა, სხვა მიწას ვერ ეფერებოდა.

გიორგის მალე აწინაურებენ: ბატალიონის მეთაურად გადაჰყავთ. ხოლო 1877 წელს, რუსეთ-თურქეთის ომი რომ დაიწყო, აქტიურად ჩაება სამხედრო ოპერაციებში. ერთხელ ძლივს გადარჩა სიკვდილს.

ომის დამთავრების შემდეგ გიორგის კვლავ აწინაურებენ და ქოჩაქიძე უკვე პოდპოლკოვნიკის სამხედრო ჩინოსანი ხდება, 1891 წელს კი პოლკოვნიკია. ზედიზედ იღებს წმინდა ანას მეორე და ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენებს. ცხადია, პოეზიისათვის ვერა და ვერ იცლის, რის გამოც დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი წუხილით ამბობს: **"ჭალადიდმა თავისი ნიჭი ზარბაზნების კვამლში გაახვია"**.

მიუხედავად სამშობლოდან მოწყვეტისა და მოუცლელობისა, გ. ჭალადიდელს საკუთარ მამულზე, ხალხზე, მათ ჭირ-ვარამზე ფიქრი არ განელებია. ამაზე მიუთითებს მიმოწერები, რომლებიც არქივებში დაცულმა ბარათებმა შემოგვინახეს. კანტიკუნტად დაწერილ ლექსებში ხომ ჩანს და ჩანს:

**"გამაცოცხლე, მანატრე**
**თუნდა საფლავში ვდნებოდე,**
**აყვავებულ სამშობლოს**
**თუ კი მოვესწრებოდე".**

ვერც სიყვარულში გაუმართლა მგოსანს: მისი ახალგაზრდობის გატაცება იყო ცნობილი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაიკო ანასტასია (ანა).

შეყვარებული ჭაბუკი პეტერბურგიდან სისტემატურად უგზავნიდა ბარათებს ანას მეგობარ ქალს – მაკა გურულს, ანასათვის გადასაცემად, მაგრამ მაკა წერილებს რატომღაც მალავდა, რის გამოც ქალიშვილმა გვიან გაიგო ჭაბუკის გატაცების შესახებ, უთანაგრძნო მას, მაგრამ ახლობლები ცუდად ჩაერივნენ საქმეში და მათი შეუღლება ვერ მოხერხდა. გულდაკოდილმა მგოსანმა არა ერთი თბილი სიტყვა უძღვნა თავისი ოცნების ქალს:

**"ვენაცვალე ჩემს ანასა,**
**რა ლამაზი არის პირად,**
**ვინ ჭვრეტს ქალსა ამისთანას".**

ოჯახური ბედნიერება გ. ჭალადიდელმა რუსეთში ეძია. გაიცნო და შეირთო იურისტ სტეფანე ეზერსკის ქალიშვილი ანა (ნიშანდობლივია: მაინცდამაინც ანა), შეეძინა ვაჟი ბორისი, მაგრამ სიმამრის უხასიათობის გამო, ოჯახს ვეღარ შეეგუა გიორგი და მალე განშორდა, რამაც პოეტზე უარყოფითი გავლენა იქონია. გული მოწყურული ჰქონდა, მხოლოდ სიკვდილის წინ, 1897 წელს ჩამოვიდა სამშობლოში.

სულიერი ჭრილობები ხომ გვიან ხორცდება, ან საერთოდ ვერა? ჩამოსვლის მიზეზი ლექსების კრებულის გამოცემა იყო, რომლის ტვირთიც მისმა დიდმა წინაპარმა ითავა. აი, რას წერს მგოსანი ამასთან დაკავშირებით:

**" – თქვენი ბარათი მივიღე და დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემი ლექსის გამოცემა გისურვებიათ. მართალი რომ მოგახსენოთ, იმათ გამოცემის თაობაზე ცალკე წიგნად მე არასდროს არ მიფიქრია. თუ ხანდახან მიწერია, ეს მხოლოდ ჩემი გრძნობების დასაკმაყოფილებლად".**

თითქოს გონების ნისლი მოსცილდა და ჭალადიდელმა დაიწყო შემოქმედებითი საქმიანობა. საქართველოში დაბრუნებულმა დაწერა **"საოჯახო ფიქრები"**, **"ალბომში"**, **"ცაცინათელა"** და სხვა. შეეცადა დაეწესებინა სანაოსნო მიმოსვლა ფოთი-ჭალადიდი-ორპირი, მაგრამ სურვილის შესრულება ვერ დასცალდა, რადგან ჯანმრთელობამ უმტყუნა, მგოსანი 1898 წლის 10 აპრილს, მოულოდნელად, 51 წლის ასაკში გარდაიცვალა, ისე, რომ წიგნის გამოცემას ვერ მოესწრო. დადუმდა გული პოეტისა.

სამწუხარო ამბავი ქართველ საზოგადოებას **"ცნობის ფურცელმა"**, **"ივერიამ"** და **"კვალმა"** აუწყა. 25 აპრილს მგოსნის ნეშტი მინსკიდან ფოთში ჩამოასვენეს, სადაც ცნობილმა მოღვაწემ ი. ფანცხავამ თბილი სიტყვები წარმოსთქვა. 26 აპრილს პოეტის ცხედარი სოფელ ჭალადიდის ეკლესიის წმინდა მიწას მიაბარეს.

შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა ნ. ნიკოლაძემ, ნ. დადიანმა, დ. ერისთავმა, თ. სახოკიამ, ი. ნაჭყებიამ და სხვებმა საქები სიტყვები მიუძღვნეს ჭალადიდელს, მათ შორის – ნიკო დადიანმა და დიმიტრი ერისთავმა – ლექსებიც კი.

**ვერ გავიგონებთ ახალ ჰანგებს,**
**მაგრამ ძველებსა ხომ ხალხი მღერის?**
**მღერის ყანაში, მღერის ლხინის დროს,**
**სადიდებელად მგოსნის სახელის.**

ლექსების გარდა მგოსანს დაწერილი აქვს პოემა **"ალავერდი"** და **"უბედურნი"**, მცირე ზომის მოთხრობები, სცენები, დრამატული თხზულებები, სადაც უგალობს პოეტის დანიშნულებას, პატივს მიაგებს ადამიანის კეთილშობილურ თვისებებს! პოეტის ენა ზოგჯერ დაუხვეწავია: მას ხომ ქართულად არ უსწავლია! სამსახურსაც რუსეთში ეწეოდა.

მგოსნის პირველი კრებული 1913 წელს, ქუთაისში გამოიცა, მეორე – 1940 წელს, ხოლო მესამე, ჭალადიდელის 100 წლისთავის იუბილის დღეებში – 1947 წელს. ხოლო ბოლო, 1956 წელს, რომელიც წინა კრებულებთან შედარებით, სრულყოფილია.

**"აბა, მთვარე, ჩემო მთვარე,**
**გაანათე ჩვენი მხარე,**
**მტრისა გულის მოსაკლავად,**
**საქართველო შეიყვარე!"**

ასე უყვარდა სამშობლო გიორგი ჭალადიდელს.

**ბორის დავითაია, ქ. სენაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამწლიანი პატიმრობა დაპირებისთვის

პოლიტიკური მიზნით რაიმე ქონების, ფულის თუ დაპირების მიღებისთვის ამომრჩეველს სამწლიანი პატიმრობა დაემუქრება. ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში მოსვლით **"ჩასვრილ-ჩაბინძურებულმა"** პარლამენტმა მიიღო **„სისხლის სამართლის კოდექსში"** ცვლილება, რომელსაც პრეზიდენტმაც მოაწერა ხელი და ძალაში შევიდა. ახალი რეგულაციით, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით ისჯება როგორც ამომრჩევლის მოსყიდვა, არამედ დაპირებების მიღებაც. კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, ამომრჩევლის მოსყიდვა ნიშნავს პოლიტიკური მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზებას, დაპირებას, გადაცემას... აღნიშნული ქმედებისთვის იურიდიული პირი (გარდა პარტიისა, რომელსაც არ ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა) ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ჯარიმით.

კანონში განმარტებულია, რომ ამომრჩევლის მოსყიდვად არ ჩაითვლება, თუ მას მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარებს – მაისურებს, კეპებს, ქუდებს, დროშებს და სხვა მსგავს ნივთებს, სუვენირებს გადასცემენ. ასევე, პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პოლიტიკური და საარჩევნო დაპირებისთვის, რომელიც უკავშირდება საბიუჯეტო სახსრების სამომავლო განაწილებას და სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლო განხორციელებას. ჟურნალისტებმა ექსპერტებს სთხოვეს ამ ფაქტის კომენტირება.

**კახა კახიშვილი** (იურისტი):

– სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ახალი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას პოლიტიკური მექრთამეობისთვის. ამ მუხლის დისპოზიცია საკმაოდ ვრცელია. დაუცველია აბსოლუტურად ყველა ქმედება, რომელიც ითვალისწინებს პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის რაიმე ურთიერთობას, მათ შორის – ფინანსურს. ამავე დროს, ნოვაციაა, რომ თუ ამომრჩეველი ან მოქალაქე მიიღებს უკანონო დაფინანსებას პარტიისგან, ისიც ისჯება სისხლის სამართლებრივი წესით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი კანონში **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ"** და საარჩევნო კოდექსში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ეს რეგლამენტირებული ქმედება იმდენად ცხადად არის გაწერილი, ფაქტობრივად, პარტიებს აღარ რჩებათ სამართლებრივი გზა ნორმალურ, კონკურენტულ გარემოში საარჩევნო კამპანიის ჩატარებისა და პარტიული განვითარების ღონისძიებების დასახვისა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ყველაფერი გადაიზრდება **„შავი ფულის"** მოძრაობაში პარტიების საქმიანობისას. ამ მუხლების წყალობით ძალიან ბევრ ადამიანს ვნახავთ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულს, რაც ნამდვილად არ შეუწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას.

**– რა უნდა იცოდეს ამომრჩეველმა, რომ მისი ქმედება არ იქნეს აღქმული როგორც დანაშაულებრივი ქმედება?**

– ძალიან ფართო ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა კანონი და სწორედ ეს არის საქმე. კონკრეტულად რომ ყოფილიყო რამე ქმედებების აკრძალვა, გასაგები იქნებოდა, მაგრამ ახლა, სიმართლე რომ გითხრათ, ამ ვითარებაში ამომრჩევლისთვის შესაძლოა უკეთესიც იყოს პარტიასთან საერთოდ არ ჰქონდეს ფინანსური შეხება. ამას ისახავს მიზნად ეს კანონი. სავარაუდოდ, ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, სახელისუფლებო არხები პარტიების ამ ქმედებების ამსახველ ძალიან ბევრ **„მძაფრსიუჟეტიან"** დოკუმენტურ ფილმს შემოგვთავაზებენ. ძალიან ბევრ ქვეყანაში არჩევნების დროს პარტიას სჭირდება ფული წინაარჩევნო კამპანიისთვის. გარდა ამისა, არჩევნების გარდა თავად პარტიასაც სჭირდება ფული იმისთვის, რომ შეინახოს ოფისი, რეგიონებში ჰქონდეს თავისი წარმომადგენლობა და ა.შ. ეს ისეთი ხარჯია, რომელიც მთელ მსოფლიოშია მიღებული. ამ პირობებში პოლიტიკური პარტიებისთვის ფაქტობრივად დაფინანსების აკრძალვა, მაშინ როდესაც ბევრ სახელისუფლებო არხზე რეკლამის ფასი წუთში 40 ათას ლარს აღწევს, ძნელი გამოსაცნობი არ არის, რას უნდა ნიშნავდეს. სწორედ იმისთვის არის ეს ცვლილებები, რომ პარტიები სამართლებრივი სივრციდან არასამართლებრივ სივრცეში გადაიყვანონ, დაიწყოს **„შავი ფულის"** მოძრაობა, შემდეგ – გამოძიება, ფილმების შექმნა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ვითარების იმგვარად წარმოდგენა, თითქოს საქართველოში ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია **„შავი ფულით"** ფინანსდება.

**– ცვლილებებში ლაპარაკია იმაზე, რომ ამომრჩეველმა პოლიტიკური პარტიისგან დაპირებაც კი არ უნდა მიიღოს.**

– ბუნებრივია, ყველა პარტია რაღაცას ჰპირდება ამომრჩეველს და ეს ნორმალურიც არის. ამომრჩეველს ეუბნებიან, რას შეცვლიან ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ცვლილების თავდაპირველ ვარიანტში გათვალისწინებული იყო, რომ ნებისმიერი დაპირება დასჯადი ქმედება იქნებოდა, მაგრამ შემდეგ ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დავაყენეთ ეს საკითხი პარლამენტში და განმარტეს, რომ დასჯადი იქნება პოლიტიკური პარტიის დაპირება, რომელიც არჩევნებამდე რაიმე ქმედებას გულისხმობს.

**– თუმცა დაპირება, დაპირების მიღება ეს ხომ აბსტრაქტული ცნებებია. როგორ უნდა ვამტკიცო რომ ან არ მიმიცია ან არ მიმიღია რამე დაპირება?**

– ერთი მხრივ, ხელისუფლებამ მისცა ყველა საჯარო მოხელეს უფლება, მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში, მათ შორის – გამგებლებსაც, რომლებიც გაუგებარია, როგორ მოხვდნენ პოლიტიკური თანამდებობის პირთა ნუსხაში, მაშინ როდესაც ჩვენი კანონი თვითმმართველობის შესახებ განმარტავს, რომ გამგებელი არის ჩვეულებრივი მენეჯერი, რომელსაც ირჩევს საკრებულო კონკურსის წესით. ამავე დროს, ჩვეულებრივ ამომრჩეველს უზღუდავენ როგორც სიტყვის გამოხატვის, ასევე პოლიტიკური აქტივობის უფლებებს, რაც უხეში დარღვევაა როგორც საქართველოს კონსტიტუციის, ისე საერთაშორისო ნორმებისა. როგორ შეიძლება ადამიანს აუკრძალო პარტიასთან ურთიერთობა, მისი აგიტაცია ან პირიქით, პარტიას აუკრძალო თავისი საქმიანობის აგიტაცია. კანონში ნათლად უნდა იყოს გაწერილი ის, რაც ადამიანმა ან პარტიამ გააკეთოს. არ შეიძლება, მხოლოდ მაკონტროლებელსა და გამომძიებელს დაუტოვო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და გარკვევა იმისა, თუ სად გადის ზღვარი დანაშაულსა და უდანაშაულობას შორის.

**ჩვენი კომენტარი:** ***სწორედ ამგვარი დრაკონული კანონი გააპროტესტა რუსეთის ხელისუფლებამ*** (რასაც ნაცების ქირქილი და ცინიკური შეფასებები მოჰყვა) ***და ამერიკის ელჩმა*** (რის შემდეგაც დამფრთხალმა ნაცებმა წამსვე ალოკეს საკუთარი გადანაფურთხები და ყველა პროცედურული წესის დარღვევით, კულუარებში, ყველასთან შეუთანხმებლად ჩაასწორეს ეს მართლაც დრაკონული კანონი და შედარებით ნორმალური სახე მისცეს)!

***აქედან გამომდინარე, სულაც არ გვჭირდება იმაზე საუბარი, თუ რას შეგვპირდება ივანიშვილი, რომელიც სიტყვის კაცადაა ყველას მიერ აღიარებული. მთავარია ვისაუბროთ იმაზე, თუ რას დაგვპირდნენ სააკაშვილი და მისი ნაციონალები (დაწყებული 100-დოლარიანი პენსიებით და დამთავრებული სამართლიანი მართლმსაჯულებით, როდისმე მაინც ობიექტური არჩევნების ჩატარებით, თუ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებით, რასაც ახალი ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა და სხვა). ამით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც ავიცილებთ თავიდან! ახლა ნაციონალებს მხოლოდ ერთი კანონის მიღება დარჩათ, რომელიც არჩევნებში მოგების ყველა გზას მოუჭრის ივანიშვილს – მასთან გამოლაპარაკებისა და მისალმების მსურველ ყოველ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა!***

***არ გაგიკვირდეთ, თუ უზომოდ დამფრთხალი სააკაშვილი და ნაცები მართლაც მიიღებენ ამდაგვარ სულელურ კანონს!***

**P.S.** მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც ბატონი ბიძინა ივანიშვილი იჩენს დიდ გამჭრიახობას თანამებრძოლთა შერჩევის საქმეში. ამიტომ მივმართავთ მას: უმწიკვლო, ჭკვიანი და პატრიოტი ადამიანები დღეს საქართველოშიც უხვად არიან და მის ფარგლებს გარეთაც. თქვენს გარშემო კი, არც თუ იშვიათად, თავს იყრიან პოლიტიკოსები, რომელთაც ერთი კონცეფციაც კი არ შეუქმნის ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და არსებული სიძნელეების დაძლევის თაობაზე და მხოლოდ მაღალი თანამდებობების დაკავებას ესწრაფვიან. არა მგონია, რომ მათთან ალიანსირება დიდად წაგადგეთ ერისათვის უაღრესად სასარგებლო ჩანაფიქრის რეალიზებაში, ბატონო ბიძინა!

ამიტომ, თუ შესაბამისად, დრო და სურვილი გექნებათ, იქნებ გაეცნოთ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ, ჯერ კიდევ 2000 წელს, შექმნილ ფუნდამენტურ ნაშრომს **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა"**, რომელშიც პუნქტობრივადაა გაწერილი საქართველოს სასიცოცხლო დარგების რეანიმირებისა და შემდგომი აღორძინების გზები და რაც კატეგორიულად იქნა იგნორირებული ჯერ ედუარდ შევარდნაძის, შემდეგ კი მისი **"შვილობილის"** მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ, რადგან, როგორც თქვენც უკვე დარწმუნდით, ღირსეული პოლიტიკური კონკურენტის გამოჩენა მათში ყოველთვის პანიკურ შიშსა და ძრწოლვას იწვევდა და იწვევს!

წინ დიდი ბრძოლა გველის, ბატონო ბიძინა, და აუცილებელია, რომ ამ ბრძოლაში გვერდით ამოიყენოთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე და უმწიკვლო რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსები!

**გაზეთი "ილორი"**

# საქართველოს საერთაშორისო რეიტინგების პარადოქსები

ხელისუფლებას ძალიან უყვარს თავის მოწონება საქართველოს საერთაშორისო რეიტინგებით და მათი პოლიტიკური მიზნებით გამოყენება. ორიოდე კვირის წინ მორიგი საავადმყოფოს გახსნის ცერემონიაზე მიხეილ სააკაშვილმა ჩვეულებას არ უღალატა და განაცხადა: **„მაშინ როცა მთელი მსოფლიოს რეიტინგები ქვემოთ ჩავიდა, საქართველოს რეიტინგები ზემოთ ადის"**.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ სასურველი რეიტინგების **„გამოყვანაზე"** ხელისუფლება იმაზე არანაკლებ ფულს ხარჯავს, ვიდრე ლობისტური კომპანიების მომსახურებაზე ევროპასა და ამერიკაში. ნათქვამია, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო. დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ანათებს თუ არა ქართული ფული მსოფლიო ბანკის, **Freedom House-s, Heritage Foundation-is Fitch Ratings**-ის და სხვა ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების დერეფნებს, რომელთა მიერ გამოქვეყნებული რეიტინგებითაც ხალხს საქართველო წარმატებულ ქვეყნად ეჩვენება, მაგრამ საქართველოს 2011 წლის თუნდაც რამდენიმე რეიტინგის გაცნობა კრიტიკულად მოაზროვნე ჩვენს მოქალაქეს, სულ ცოტა, კითხვებს მაინც გაუჩენს რეიტინგების შემდგენელთა მიმართ.

**The Heritage Foundation**-ს 2011 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო მე-20 ადგილზეა. ის უსწრებს ბელგიას, ესპანეთსა და ნორვეგიას და, ასე გასინჯეთ, აზიის **„ეკონომიკურ ვეფხვს"**, სამხრეთ კორეასაც კი (?!). მკითხველს თვითონ შეუძლია იმსჯელოს ამ სარეიტინგო სიის ობიექტურობაზე.

2011 წელს ცნობილმა სარეიტინგო სააგენტომ **Fitch**-მა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი სტაბილურიდან **(B)** პოზიტიურამდე **(B+)** გაზარდა და ეს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციითა და პოლიტიკური რისკების შემცირებით დაასაბუთა. **Fitch**-ის მიხედვით, 2011 წელს საქართველოს მშპ-ის 5 პროცენტით ზრდა 2012 წელს 6 პროცენტით ზრდით შეიცვლება. თუმცა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ **Fitch**-ის რეიტინგი საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებულ მონაცემებს ეყრდნობა. მკითხველისათვის, ალბათ, უინტერესო არ იქნება **Fitch**-ს რეიტინგზე ანალიტიკოსთა კომენტარები. აი, ერთ-ერთი მათგანი: **„2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობის შემცირებისა და დერეგულაციის მომხრე სააკაშვილმა ლიბერალური რეფორმების მთელი რიგი გაატარა, რომელმაც 4.6 მილიონიან ქვეყანაში ზრდის და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება გამოიწვია"**. ეს კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, თუ ჯერ კიდევ რა დიდი ვარდისფერი სათვალით უყურებს მსოფლიო საქართველოში მიმდინარე პროცესებს და რა აქტიურად მუშაობს ხელისუფლება ამ მოვლენების სასურველ ჭრილში წარმოსაჩენად.

საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას შედარებით მოკრძალებულ და რეალისტურ შეფასებას აძლევს მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის (**World Economic Forum** (**www.weforum.org/gcr**) 2011 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის სარეიტინგო სია, სადაც საქართველო 142 ქვეყანას შორის 88-ე ადგილზეა.

აგვისტოს ომის შემდეგ განცდილი სამხედრო დანაკარგები, როგორც ჩანს, საკმაოდ სწრაფად იქნა ანაზღაურებული მოკავშირეების დახმარებით, მიუხედავად იმისა, რომ ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს არავინ აწვდიდა იარაღს. **http://www.globalfirepower.com**-ის, მონაცემებით, სამხედრო სიძლიერით 55 ქვეყანას შორის საქართველო 50-ე ადგილზეა. თუმცა ამ ორგანიზაციას რატომღაც არ გამოუკვლევია ჩვენი უახლოესი მეზობლების, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო პოტენციალი.

ავტორიტეტული **Freedom House**, რომლის წარმომადგენლებიც საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ **„ვარდების რევოლუციის"** მომზადებაში, 2011 წლის ანგარიშში მსოფლიოში პრესის თავისუფლებაზე საქართველოს შესახებ ისეთ რაღაცებს წერს, რომ ბევრ აქაურ ჟურნალისტს თუ არაჟურნალისტს თმა ყალყზე დაუდგება. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული თავისუფლებების კუთხით **Freedom House** საქართველოს კვლავ **„ნაწილობრივ თავისუფალ"** ქვეყნად აფასებს, მის მიერ გამოქვეყნებულ პრესის თავისუფლების სარეიტინგო სიაში საქართველოს მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ **„ჟურნალისტებზე ფიზიკური და ლეგალური ზეწოლის, მათი შეურაცხყოფის, აგრეთვე, ოფიციალური ცენზურის კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი მიღწევებია"**. ამის შედეგად საქართველომ პრესის თავისუფლების გლობალურ რეიტინგში 128-ე დან 118-ე ადგილზე გადაინაცვლა, თითქოს არ ყოფილიყოს 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის გაშუქებისას ხელისუფლების მიერ ჟურნალისტების მასობრივი ფიზიკური თუ მორალური შეურაცხყოფა, საქმიანობაში ხელის შეშლა, პრესის გავრცელებისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნა ჟურნალ-გაზეთების ჯიხურების მასობრივი აღებით და თითქოს არ არსებობდეს ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული სამი **„ნაციონალური"** ტელეარხი.

**„ნაციონალური"** ხელისუფლება და მისი მომხრენი, რომლებიც ქვეყნის ისტორიას 2003 წლის ნოემბრიდან ითვლიან, ირწმუნებიან, რომ საქართველო არათუ სახელმწიფოდ შედგა, არამედ მოწინავე და სხვებისათვის მისაბაძ დემოკრატიად ჩამოყალიბდა. არადა, ავტორიტეტული ორგანიზაცია მშვიდობის ფონდის (**www.foreingnpolicy.com**) მიერ გამოქვეყნებულ არშემდგარი სახელმწიფოების ინდექსში 177 ქვეყნიდან საქართველო 86.4 ქულით 47-ე ადგილზეა ლაოსსა და სირიას შორის და მოხვედრილია იმ ზონაში, რომელიც ინდექსში მონიშნულია, როგორც **„გამაფრთხილებელი"**.

გავლენიანი ბრიტანული ჟურნალი **The Economist**-ი, რომელიც სახელმწიფოების დემოკრატიის ინდექსს ყოველწლიურად აქვეყნებს, საქართველოს კვლავ **„ჰიბრიდული რეჟიმის"**, ანუ ფასადური დემოკრატიის ქვეყნად მიიჩნევს. 2011 წელს გამოკვლეულ 167 ქვეყანას შორის, დემოკრატიის კუთხით საქართველო 102-ე ადგილზეა (2010 წელს – 103-ე ადგილი) და მას შესამჩნევად უსწრებს უკრაინა (79-ე ადგილი). გამოკვლევაში დემოკრატიის დონე ფასდება შემდეგი პარამეტრებით: საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, მთავრობის საქმიანობა, პოლიტიკური მონაწილეობა, პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო თავისუფლებები.

ვინ მოთვლის, რამდენი რამ შეკეთდა და აშენდა (სხვა საკითხია ხარისხი) თბილისში **„ვარდების რევოლუციის"** შემდეგ. ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ თბილისის აეროპორტი საუკეთესოა ევროპაში, რომ თბილისი ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქალაქია მსოფლიოში და ა.შ. ცნობილი კონსალტინგურ-კვლევითი ორგანიზაცია **Mercer**-ის (**www.mercer.com**) მიერ გამოქვეყნებული ევროპული ქალაქების 2011 წლის სარეიტინგო სიაში კი, ცხოვრების ხარისხითა და დონით, მათ შორის პირადი უსაფრთხოების კუთხით, თბილისს ევროპის ქალაქებს შორის ყველაზე უარესი მაჩვენებელი აქვს და სიაში ბოლო, 215-ე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთში პოზიტიური წარმოდგენა საქართველოზე მაინც იცვლება.

2010-2011 წლების კორუფციის კუთხით საქართველოს შეფასებებში უკვე პირველად ჩნდება ტერმინი **„ელიტური კორუფცია"** და საქართველოს ხელისუფლების პროგრესი კორუფციასთან ბრძოლაში ნაკლებად ოპტიმისტურად არის შეფასებული. მაგალითად, **Transparency international** (საერთაშორისო გამჭვირვალობის) ბოლო სარეიტინგო სიაში 178 ქვეყანას შორის საქართველოს მხოლოდ 68-ე ადგილი უკავია და კორუფციასთან მებრძოლი ქვეყნების შეფასების 10-ქულიან სისტემაში მოკრძალებული 3.8 ქულა აქვს...

**ზ. შანიძე**

# უნდა ითქვას სიმართლე

პეტრე იბერი და მისი წინამორბედი სწავლულები თავიანთ შრომებს წერდნენ იმ ენაზე, რა ენაზეც შეიქმნა ჩვენი, კაცობრიობის ისტორიაში უპირველესი დამწერლობანი: მხედრული და ასომთავრული, ხოლო რომელ ენაზე შეიქმნა აღნიშნული დამწერლობანი წარმოდგენილი მაქვს ჩემს წიგნში **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“** და სხვა გამოუქვეყნებელ ნაშრომებში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, მრავალჯერ მივმართე კომპეტენტურ სამეცნიერო დაწესებულებებს და სახელისუფლებო ორგანოებსაც, ობიექტურად შეეფასებინდათ ჩემი მიგნებები და გაეკეთებინათ არგუმენტირებული დასკვნები, დღემდე დუმან და ჯიუტად გრძელდება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებელებში სიცრუის სწავლება, რაზეც, ალბათ, სოლიდური თანხა იხარჯება.

რატომ ხდება სიმართლის იგნორირება?

იმიტომ, რომ სიცრუეზე აგებულ მეცნიერებას საძირკველი ეცლება, ამას ხელს უწყობს გარე ძალებიც, რადგან ცრუ მეცნიერებაზე დამყარებული სახელმწიფო დასანგრევადაა განწირული და, სწორედ, ეს აწყობთ მათ. მთელი ერის ტრაგედია ის არის, რომ ოფიციალურ სამეცნიერო დაწესებულებეში ვერ აღმოჩნდა რაინდული სულის მეცნიერი, რომელიც ჩემს მიერ აღმოჩენილ ჭეშმარიტებას გლობალური მასშტაბით განიხილავდა და აღიარებდა, მიუხედავად იმისა, ვერავითარი უარმყოფელი არგუმენტი ვერ იპოვეს.

დღემდე ვერ აღმოჩნდა საქართველოში რაინდული სულისა და მეცნიერული სინდისის მატარებელი კომპეტენტური პიროვნება, გარდა პროფ. ნანა შენგელიასი, რომელიც ოფიციალურად აღიარებდა ახალგაზრდა მეცნიერის გია კვაშილავას მიერ მეგრულ-ლაზურ ენაზე გაშიფრულ **„ფესტოსის დისკოს“** სწორად გაშიფრვის ჭეშმარიტებას, რომლის გაშიფრვაზე ერთი საუკუნის განმავლობაში ტვინს იჭყლეტდა მსოფლიოს მრავალი წამყვანი მეცნიერი, მაგრამ ყველა ენაზე აბსურდი გამოდიოდა, ხოლო მეგრულ-ლაზურ ენაზე ბრწყინვალედ გაიშიფრა და მშვენიერი საგალობელი გამოდგა ქალღმერთ ნანაზე. ამასთან დაკავშირებით ბ-ნი გია კვაშილავა 2008 წლის ოქტომბერში ლონდონში იყო მიწვეული სამთავრობო მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებიდან მოწვეული მრავალი მეცნიერი ესწრებოდა და მათ ერთხმად აღიარეს ბ-ნ გია კვაშილავას მიერ შემუშავებული გაშიფრვის ღრმა მეცნიერული მეთოდი და მიღებული შედეგის აბსოლუტური ჭეშმარიტება, ხოლო ჩვენი მეცნიერები კი ვერ შეელიენ არამ ლუკმას და, მიუხედავად იმისა, ღრმად სჯერათ მთელი მსოფლიოს წინაშე მდგარი ურთულესი გამოცანის გადაჭრის აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, სამარცხვინო დუმილს არჩევენ. რატომ?

იმიტომ, რომ დღევანდელ უსუსურ პოლიტიკას დამორჩილებულმა და მრავალი საუკუნის განმავლობაში მსგავსი იდეოლოგიის მატარებელმა, უგნური პოლიტიკით მართულმა **„მეცნიერებმა“** ჭეშმარიტების დამალვას და სიცრუის, ნებსით თუ უნებლიედ, ჭეშმარიტებად წარმოჩენას შეალიეს მთელი თავიანთი კოლოსალური ენერგია და არამ ლუკმას ჩაფრენილთ უჭირთ ამ ლუკმის დათმობა. უფრო სწორად, განსწავლულ, მაგრამ ვიწრო დოგმატურ ჩარჩოებში ჩაკეტილ, გარკვეულ **„მეცნიერებათა“** ჯგუფისათვის, ალბათ, დაქვეითებული იყო და არის გლობალური სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი და ვინც დასაბამიერ წარსულში პოულობს ჩვენი ერის მეგრულ (იბერიულ) ფესვებს და მარადიულ საკაცობრიო ფასეულობებს, მოღალატეს უძახიან; რადგან ჩვენი ერის უდიადეს, ზოგად ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებათა შექმნის, საიდუმლობების შენახვისა და გახსნის შესაძლებლობა განგებისაგან ე.წ. მეგრულ ენას დაეკისრა, ამ ღირებულებათა შექმნაში, ალბათ, ქართის ტომის როლის უგულვებელყოფას და დაკნინებას ხედავენ, მაშინ, როცა ეს ღირებულებები შექმნილია ჩვენი საერთო წინაპართა მხოლოდ ერთიანობის ხანაში, ერთი სალიტერატურო ენის ფლობის პირობებში და შემდგომში ქართებად წოდებულ იბერებს საკმაო წვლილი აქვს შეტანილი საერთო ეროვნული მონაპოვარის შექმნაში და მისი როლის იგნორირება არ ხდება, ოღონდ, მაშინ ეწოდებოდა იბერია და იბერიული და არა საქართველო და ქართული.

მთელი ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ ყალბის მქნელთა გავლენის ქვეშ მოექცა და შეცდომაში შევიდა ზოგი ღვაწლმოსილი მეცნიერიც, რადგანაც თვისტომის როლისა და დიდების წარმოჩენის სურვილი ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის შინაგან ბუნებაშია. მაგრამ სიყალბის ჭეშმარიტებად წარმოჩენა და განვრცობა და ამით წინაპართა როლის დაკნინება საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებათა შექმნაში, ჰეგემონობის მოპოვების შემდეგ, პირდაპირ, საკუთარი ფეხების მოჭრაა მუხლებთან და არ იძლევა ადამიანის და, საერთოდ, საზოგადოების აზროვნების დონის ამაღლების საფუძველს. ამან შეიძლება მხოლოდ დროებითი კმაყოფილება გამოიწვიოს, რაც პირდაპირი გზაა შემგუებლობისაკენ და, საბოლოოდ, ერის სულიერი ნგრევის საფუძველია, რამაც დღეს ჩვენს სინამდვილეში აშკარად იჩინა თავი, რადგან იმ საკაცობრიო მონაპოვართა ეროვნულ მონაპოვრად წარმოჩენა, რაზეც გავამახვილეთ ზემოთ ყურადღება ქართული ენით ვერ ხერხდება.

იოანე პეტრიწი იმიტომაა დიდი პიროვნება, რომ ის საკუთარი ტომობრივი სულიერი ძალებით ცდილობდა მშობლიური ტომის აზროვნების განვითარებას და ამაღლებას. ამის წინააღმდეგ ვინ ნორმალური წავა, მაგრამ **არსსე როფის** მთლიანობაში.

რა არის ჩემი ესოდენ უკმაყოფილების მიზეზი? მაგალითები მრავალია, მაგრამ, ამჯერად, ერთ მარტივ ექსპერიმენტზე შევჩერდები, რომელიც ამ სტატიის დაწერამდე ერთი კვირის წინათ ჩავატარე.

მრავალი მეცნიერი და სწავლული გავაცანი ქვემოთ წარმოდგენილ ტექსტებს წყაროების მითითების გარეშე. სპეციალისტებმა, რა თქმა უნდა, ამოიცნეს რომელი ლიტერატურული, თუ სხვა ისტორიული ძეგლებიდან იყო ამოღებული ეს ტექსტები და თარიღიც მიუთითეს მათი შექმნისა ისე, როგორც უსწავლიათ. ხოლო არასპეციალისტებმა, რომლებიც კარგად ფლობენ ჩვენს სალიტერატურო ენას, ყველაზე უძველესად მიღებული ძეგლები უფრო გვიანდელ ხანაში დაწერილად მიიჩნიეს, რადგან ისინი უფრო გასაგები აღმოჩნდა მათთვის, ვიდრე ყველაზე გვიან დაწერილი ტექსტი.

აქ წარმოვადგენთ იმ ტექსტებს, ჯერ წყაროების მითითების გარეშე, რომ გულწრფელმა, მაგრამ დაინტერესებულმა მკითხველმა თვითონ გააკეთოს თავის თავზე ექსპერიმენტი, რომელ ტექსტს მიიჩნევს ადრე დაწერილად და რომელს უფრო გვიანდელად.

**„ჩვენ ქრისტეანენი ვართ და მისთჳსცა მოვსწყდებით, და მოვკუდებით, რომლისა მიმართ ნათელი ვიღეთ“. მაშინ უღმრთოოთა მათ მშობელთა მათთა განუხეთქნეს თავნი მათნი და განტჳნნეს იგინი. გუელთა და იქედნეთა, ასპიტთა და მხეცთა იციან წყალობაჲ შვილთაჲ, ხოლო ამათ უშჯულოთა არა ყვეს წყალობაჲ შვილთა მათთათჳს. და ექმნა მათ ადგილი იგი სამარხი და სამარტჳლო წმინდათა მათ ნაწილთა მათთა. მაშინ აღესრულა სიტყვაჲ იგი სახარებისაჲ: „მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ და მამამან შვილი, და აღდგნენ მამადედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდნენ მათ“.**

„შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორეჲსითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია – მომსხმელი ამისა სეფისაჲ და მამა –დედაჲ იოსიაჲსი ამენ“.

„და იჯმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან. და, ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისაჲთა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჲთა აუწყეს და წინა მიეგებნეს მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა სადიასპანოითა ცხენითა მონაჲ თჳსი, ვითარ[მ]ცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქვან ცურტავ“.

„ვინაჲ აწ ესე ჩემი ორფეოს ამათ ყოველთა სულითთა ბრძენი ქრისტესთა მათ მიმართ ოდესმე ვნებითთა ჩუენთჳს თავსდებათა, ოდესმე ღმრთეებითთა ზესთა მამადობათა, და ოდესმე ნამხნთა სულთ მაცხოვნებელთა, ვინაჲ თანა მოუქმს და ერთ დღე ჰყოფს გონებითთა ამათ გოდებთა, და კიდურთა მათთა მიუხებს ღმრთისა სიტყუასა ნათელთად.

მოსესი რაჲ და მოსეანთაჲ მათ რამეთუ ყოველნივე ყოვლობითურთ თჳს შორის მოუქმნიან წინამეტყუნი განგებითისა ამის ღმერთ-კაცობისათჳს, და მერმისა მისცა საყდართა წარმოობისათჳს და ძუელისა მის დღეთაგან ოჲ მე განჩენისათჳს, რამეთუ<<ცეცხლი წინაშე მისსა აღეტყინოსო და გარემოს მისსა ქარ-სეტყუაჲ ფრიად მფროჲ“>>.

**„სახელითა ღრმთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდისა გრიგოლისითა მე, გლახაკმან ელია ბოლნელი მღვდელმოძღუარად ღირს ვიქმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისასა. და ამას საყდარსა ღამისთევაჲ არა დებულიყო კურასძალთა. მე დავდევ და ზედაშე ღამისმთეველთათჳს საგალობელად ღმრთისა...“**

<u>პირველ ტექსტში</u> არაფერია გაუგებარი: აქ ქრისტეს მოწამენი ამბობენ რომ **<<ჩვენ ქრისტიანები ვართ და მისთვის გავწყდებით და მოვკვდებით, რომლისგანაც განათდითო>>**. მაშინ წარმართმა უღმრთო მშობლებმა გაუხეთქეს მათ თავი და ტვინი გამოასხმევინეს. გველთა და იქედნეთ, ასპიტთა და მხეცთ იციან შვილთა შეწყალება, ხოლო ამ ურჯულოებმა არ შეიწყალეს თავიანთი შვილები და ის ადგილი გახდა მათი წმინდა ნაწილების სამარხი. მაშინ აღესრულა სიტყვა სახარებისა: **„ძმამ ძმა გაიმეტოს სასიკვდილოდ და მამამ შვილი და დედ-მამანი ადგნენ თავიანთი შვილთა წინააღმდეგ მოსაკლავად“.**

<u>მეორე ტექსტში</u> არასპეციალისტისთვისაც არაფერია გაუგებარი. აქ ვედრებაა დაწერილი უფლისადმი: **„ქრისტეს შემწეობითა და წმინდა თეოდორეს დახმარებით შეიწყალე აბაჲ (რაღაც თანამდებობაა) ანტონი და ამ იატაკის („სეფის“) მომსხმელი იოსია და დედმამა მისი. ამენ“.**

<u>მესამე ტექსტში</u> მხოლოდ ერთი სიტყვაა გაუგებარი: **„იჯმნა“** ტექსტი ასეთია: სპარსეთიდან წამოსულმა პიტიახშმა, როგორც მოაღწია ქართლის საზღვარს ჰერეთში, განიზრახა ეცნობებინა მას დაბრუნება და როგორც შემოვიდა დაბა ცურტავში, სადესპანო ცხენებით გაგზავნა მაცნე, რომ როგორც ერთგულს მოგებებოდნენ აზნაურები, მათი ძენი და მსახურნი.

<u>მეოთხე ტექსტში</u>, როგორც ჩანს ბიბლიური მოსეზე და მოსეს მიმდევრობაზეა საუბარი მაგრამ, როგორც ძველი ქართული ენის არასპეციალისტმა ბევრი რამ ვერ გავიგე. ეს ტექსტი, ჩვენი აზრით, ნათარგმია ჯერ კიდევ განუვითარებელი ქართლურ ენაზე იოანე პეტრიწის მიერ ან მას შემდეგ.

<u>მეხუთე ტექსტში</u> თითქმის ყველაფერი გასაგებია ჩემთვის: **„მამა ღმერთის, ძისა და სულიწმინდის სახელით და წმინდა ღვთოსმშობლისა და წმინდა გრიგოლის შემწობით მე გლახაკი ელია ბოლნელი გავხდი ღირსი წმინდა გრიგოლის საყდარში მღვდელთმოძღვრებისა. ამ საყდარს ღამისთევა წესად არ იყო დადგენილი. და მე დავაწესე მთელი კვირის განმავლობაში ღამისთევა და ზედაშე (შესაწირი ღვინო) ღამისმთეველთათვის“.**

აღარ მგონია ეს ტექსტები დაწერილი იყოს იმ ხანაში, როგორც ამას რიგი მეცნიერები მიიჩნევენ.

პირველი და მესამე ტექსტი ამოღებულია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი **„ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატიიდან“**, თბ. 1946 წ. მესამე ტექსტი (გვ.35) ამოღებულია იაკობ ცურტაველის **„წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“**-დან, რომელიც მიჩნეულია პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლად და, რადგან მისი პერსონაჟები მე-5 საუკუნეში მცხოვრები ისტორიული პირები არიან, ამ ძეგლის დაწერის თარიღად მე-5 საუკუნეა მიჩნეული. კ. გამსახურდიას ტრილოგია **„დავით აღმაშენებელი“**-ს პერსონაჟები მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები ისტორიული პირებია, მაგრამ ის დაიწერა მე-20 საუკუნეში. ე.ი. ისტორიული პირების ცხოვრების პერიოდით ვერ განისაზღვრება თხზულების დაწერის თარიღი. ექვთიმე თაყაიშვილი ხაზს უსვამს, რომ ეს ძეგლი შეიძლება მე-5 საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ არა ქართლურ დიალექტზე, არამედ იბერიული ენის რომელიღაც ხანმეტურ დიალექტზე და თარგმნილია გვიან (იხ. იქვე, ჟ-ლი <u>**მნათობი**</u>, 1948წ. №8, ან ჟ-ლი <u>**აია**</u> 2001, №9-10).

ჩვენი აზრით, ის თარგმნილია, თუ თარგმანია, არა უადრეს მე-12 საუკუნისა, ხოლო თუ დედანია, დაწერილია არა უადრეს მე-12 საუკუნისა.

რაც შეეხება პირველ ტექსტს (იხ. გვ.73), **„ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“** მიჩნეულია IX საუკუნის ძეგლად, მაგრამ ეს ძეგლი ცნობილია ერთადერთი X საუკუნის ხელნაწერით, რომელიც აღმოჩნდა ათონის ქართველთა მონასტერში და დაწერილია არანაკლებ გასაგები ენით, ვიდრე **„შუშანიკის წამება“** და გამყალბებელს შეეძლო დაეწერა მე-12 საუკუნეში და დაეთარიღებინა მე-9 საუკუნით. ასე, რომ ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისი არ არის ძეგლში მითითებული თარიღი. ასე, მაგალითად, ძვ.წ. აღ-ით მე-8 საუკუნეში ფინიკიურ ენაზე დაწერილად მიჩნეული ძეგლი, ლაბორატორიული შესწავლით, აღმოჩნდა შუა საუკუნეებში დაწერილი ფალსიფიკატორის მიერ. ენაზე საუკეთესო მემატიანე არ არსებობს დედამიწაზე, ამიტომ ამბობს ცნობილი მეცნიერი ა. კონდრატიევი: **„ენის მონაცემები შესაძლებლობას აძლევს ისტორიკოსს ჩაწვდეს დროის ისეთ სიღმეში, როცა წერითი ხელოვნება ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვერავითარი ნივთიერი მტკიცებები ვერ შემოინახა, – აქ ენის ლექსიკას შეუძლია არქეოლოგის ბარი და უძველესი ქრონისტების ცნობები შეცვალოს“.**

**მეოთხე ტექსტი** ეკუთვნის XI-XII საუკუნის მოღვაწეს, ცნობილ ფილოსოფოს (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები, II გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის მიერ, თბ. 1937, გვ.209), რომელიც თავის თავზე იღებდა ქართული ენის განვითარებას, რომლის ენა უფრო ძნელად გასაგებია, ვიდრე მაგ., „შუშანიკის წამება“, ან წარწერები მე-5 საუკუნის ყოფილ ლაზთა მონასტერზე (იერუსალიმის ბეთლემის უდაბნოში) (მე-2 ტექსტი) და მე-5 საუკუნის ბოლნისის მონასტერზე (მე-4 ტექსტი).

თუ კოლხეთის აკადემიაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და წარწერები იერუსალიმის ლაზთა მონაზტერსა და ბოლნისის მონასტერზე მე-5 საუკუნიდანვე იყო შესრულებული, რატომ ვერ მტკიცდება მხედრული და ასომთავრული დამწერლობების ქართული ენის ბაზაზე წარმოშობა და შექმნა? რატომ მტკიცდება მათი წარმოშობა ე.წ. მეგრულ ენის ბაზაზე? რატომაა მეგრული და არა ქართული ასონიშანთა სახელდებანი? თუ ჩემი მიგნებები საეჭვოა, რატომ არ იძლევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ენათმეცნიერების ინსტიტუტი უარმყოფელ და არგუმენტირებულ წერილობით დასკვნებს ამასთან დაკავშირებით? სად გაქრა და რატომ გაქრა პეტრე იბერის **„მიზეზთა წიგნი“**, რომელიც იოანე პეტრიწს ხელთ ეპყრა? თუ პეტრიწის წიგნმა მოაღწია დღემდე რა მოუვიდა იმ დროს არსებულ პეტრე იბერის წიგნს, თუ ის ე.წ. მეგრულ ენაზე არ იყო დაწერილი?

ქართების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, რატომ დაიყო ყოფილი იბერიის სამეფო, ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ, ქართლის სამეფოდ და ტაო-კლარჯეთის საკურაპალატოდ, მთლად ნათელი არ არის, მაგრამ, ეტყობა, მუდამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართებს ერჩივნათ ცალკე, დამოუკიდებლად არსებობა და თავისი ნებით დათმეს, ალბათ, ქართლს გარდა, დანარჩენი იბერია, რადგან თეოდოს II-ისა და ბაგრატ II-ის მეფობის დროს ეგრის-აფხაზეთის სამეფო და ქართლის სამეფო კეთილნათესაურად იყვნენ განწყობილი ერთმანეთის მიმართ, მაგრამ აშკარაა, ეგრის აფხაზეთის სამეფო ვერ ეგუებოდა ერთი მოდგმის იბერთა მემკვიდრეების სამეფოებად დაშლას და, დაშლილი იბერიის დინასტიური გზით გაერთიანების მიზნით, 978 წელს ეგრის-აფხაზეთის მეფემ, საქართველოს ისტორიაში უმწეოდ წოდებულმა, უსინათლო, მაგრამ გონიერმა და შორსმჭვრეტელმა თეოდოს II-მ, რომლის სამეფოში შედიოდა კახეთ-ჰერეთი, დღევანდელი შიდა ქართლი მცხეთითურთ და მთელი დასავლეთი იბერია (კოლხეთი), ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხა თავისი დისშვილი – ბაგრატ III, ქართლის მეფის ბაგრატ II-ის შვილიშვილი (იხ. ანზორ შონია, ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა, თბ. 2003, გვ. 179), მაგრამ ცნობილია, რომ ბაგრატ III-მ ოცდაათწლიანი მშვიდობიანი ბრძოლით ვერ მოახერხა მემკვიდრეობით კუთვნილი ქართლის სამეფოს შემოერთება და ამ პრობლემის გადაჭრისათვის, მიუხედავად იმისა, მამამისმა გურგენ II-მ ანდერძით დაუტოვა ქართლის სამეფო თავის შვილს – ბაგრატ III-ს, სისხლისღვრა დასჭირდა; წინ აღუდგნენ ვიღაც სუმბატი და გურგენი, მაგრამ 1008 წელს ძალის გამოყენებით შემოიერთა ქართლი, ხოლო ტაო-კლარჯეთის კურაპალატმა, ბაგრატ III-ის **„მამობილად“** წოდებულმა დავით III კურაპალატმა ანდერძით დაუტოვა თავისი საკურაპალატო ბიზანიტიას, რომლის შემოერთება დავით აღმაშენებლამდე ვერ მოახერხეს ქართველმა მეფეებმა. ამიტომ იწოდებოდა გაერთიანებული საქარათველო **„აფხაზეთად XI-XII საუკუნეებში და არც თუ იშვიათად XIII საუკუნეშიც“** (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, აფხაზეთის განმარტება).

**კუკური ფიფია,**
**“ფაზისის” აკადემიის აკადემიკოსი**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიზბარ ჯაველიძე: „ახალი საავადმყოფოები ამერიკელი სამხედროების ჰოსპიტალიზებისთვის მზადდება!“



საქინფორმის სტუმარია – აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თურქოლოგი, ბატონი **ელიზბარ ჯაველიძე.**

**– ბატონო ელიზბარ, გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის სამხედრო გემები ირანის სანაპიროს მიადგნენ. ამერიკას მოკავშირეები მხარდაჭერას ჰპირდებიან. რუსეთის ძველი ბაზების ადგილზე, ფაქტობრივად, ამერიკის ბაზები განთავსდება და საქართველო პოლიგონად იქცევა...**

– უპირველესად, ქართველ საზოგადოებასა და ხალხს მინდა, მივულოცო შობა-ახალი წელი. დიდი ილიასი არ იყოს, **„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“** სამწუხაროდ, არც ამჟამინდელი საქართველოს ყოფით ვარ ბედნიერი და არც მომავლის დიდი იმედი მაქვს. ოპტიმისტი კაცი ვარ, მაგრამ რეალობას რომ ვუყურებ ამ ბოლო დროს, ძალზე შავი და ბნელი პერსპექტივა გველის. ყოველივე ეს არის ჩვენი უსუსური ხელისუფლების გადამკიდე. უფრო სწორად, ესენი არიან დაქირავებულნი სხვა ძალების მიერ და პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის ქმედება ანგრევს და აცამტვერებს საქართველოს. საქართველოს სწორედ ის ანგრევს, რაც **„სააკაშვილის ტახტს“** აძლიერებს.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოს როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ გაჩანაგებაზეა დაფუძნებული. პირველად მეგონა, რომ, როგორც სჩვევია, გაეღვიძა და ლაზიკის აშენება **„მოელანდა“,** ნახევარმილიონიანი ქალაქი და სხვა, მაგრამ მერე არნო ხიდირბეგიშვილის წერილი წავიკითხე. იქ ძალზე საინტერესო ანალიზია მოცემული და გამახსენდა, რომ ეს ღრმა სანაპიროა ყულევთან და ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ცდილობდნენ იქ წყალქვეშა ნავების სადგომის მოწყობას. ჩანს, ამერიკა არ იშურებს იმ დაბეჭდილ დოლარებს, რომელთა მიღმაც არც ოქროა და არც არაფერი. ფაქტობრივად, გარდასულ პრეზიდენტთა სურათებით დამშვენებული ქაღალდია. მხოლოდ ის ამაგრებს, რომ მთელი მსოფლიო სისტემა და სავალუტო ფონდი ფინანსურ ოპერაციებს ამ დოლარით ახორციელებს. ჩანს, ლაზიკა ამერიკის სამხედრო პერსონალის მომსახურე ქალაქი უნდა გახდეს. 500 000 კაცი მთელ სამეგრელოში არ არსებობს. იქ ჩასასახლებლად და გასავსებად მთელი სამეგრელო უნდა მივიდეს. ეს სრულებით არ აინტერესებთ. ამათი პოლიტიკა ამერიკელებითა და ეთნიკურად უცხოტომელებით საქართველოს გავსებაა. უცხოტომელი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდი, მაგრამ დიდ მასად შემოსული უცხოტომელები ქართულ გენეტიკურ კვალს კლავს და ეთნიკურ ავტოქტონურ ერს ანადგურებს. სააკაშვილის არგამეტების მიზეზი, ყველა გაყალბებული არჩევნების **„დემოკრატიულად აღიარება“,** ამერიკისგანაც მისი **„დემოკრატიის შუქურად“** აღიარება, ქალბატონი კლინტონის მიერ, რუსეთში ჩატარებული არჩევნების ერთხმად გაყალბებულად გამოცხადება, იქაურ დარღვევებზე და მომიტინგეთა დარბევებზე საუბარი, უარესზე, როდესაც 26 მაისის სასაკლაოზე ჩაკლეს ქართველები, მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი აპროტესტებდა, რომ სააკაშვილი არ გახლავთ ის მთავარსარდალი, რომელსაც აღლუმის ჩაბარების უფლება აქვს... სასაკლაო აშშ-ის ელჩ ბასის მითითებით არ მოაწყვეს?

**– ეგვიპტის პრეზიდენტს მთავარ ბრალდებად მიტინგის დროს მომიტინგეთა დახოცვა არ წაუყენეს?**

– სწორედ ეს არის ორმაგი იანუსის სტანდარტი. დღეს, სამწუხაროდ, არც ოპოზიციონერები და არც არავინ სამართლიან აუგს ამერიკაზე არ ამბობენ. იმედი აქვთ ამერიკის, რადგან, ფაქტობრივად, ჩვენ ამერიკის კოლონიად ვიქეცით და პარლამენტშიც ვინც უნდათ, ის შეჰყავთ.

**– ბატონო ელიზბარ, კლინტონი ახსენეთ. წელს ამერიკის საგარეო პრიორიტეტად სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა გამოცხადდა. ინგლისის პრემიერის განცხადებით კი, ის ქვეყნები, ვინც ასეთი უმცირესობების უფლებებს არ დაიცავს, საგარეო დახმარებების გარეშე დარჩება...**

– ეს იმას ნიშნავს, რომ ხდება მორალური წარყვნა და ჩვენი საზოგადოებისა და ხალხის ზნეობრივი გახრწნა სურთ. ამერიკა ჩვენს სულში აფათურებს ხელს და ქართული ბუნების, მენტალიტეტისა და ხასიათის გადაგვარება სურს. როდესაც გერმანიაში ვიყავი, ორმა თუ სამმა ამერიკელმა, რომელთაც გეის ტიპის ადამიანი აეკიდა, ამ ადამიანს სცემეს და ხეზე მიაბეს. ბილ კლინტონი მაშინ პრეზიდენტი იყო და ერთი ამბავი ატეხა – როგორ შეიძლება ასეთი რაღაცებიო, მაშინ, როცა ნატოს ჯარები კლინტონის მითითებით ბომბავდნენ სერბეთს. ხალხი ამოხოცეს. რადიო და ტელევიზიაც დაბომბეს. ბოდიშის ნაცვლად კი მილოშევიჩს უთხრეს საყვედური – დიქტატორი მილოშევიჩი სამ წყებაში ამუშავებდა ადამიანებსო. აღდგომა დღეს ჩამოგდებულ ბომბებს ეწერა **„გილოცავთ აღდგომას!“** ეს თურმე **„დემოკრატია და კაცთმოყვარეობა“** ყოფილა... თქვენც, ყველა წესიერ ქართველსა და ქალს აღიზიანებს ის უზნეობა, რაც საქართველოში ხდება. მამათქვენი ხშირად ამბობს და მეც გავიმეორებ: **„რაც კი კახპები გვყავდა, ყველა ტელევიზორში გამოყარეს“.** და დღეს საქართველოს პრობლემა თურმე **„ქალწულობის პრობლემა“** ყოფილა... მაშინ, როდესაც ქართული ეროვნული ცნობიერება, კულტურა და ყველაფერი თავზე გვენგრევა.

**– რუსეთის ძველი ბაზების ადგილზე, როგორც ამბობენ, ნატოს ბაზები ეწყობა და იქ აღარავის უშვებენ. ეს ბაზები განლაგებულია ჯვრის მონასტერთან, არმაზის თავზე და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ – ფაქტობრივად, ჩვენს მთავარ სიწმინდეებთან. ბაზები „შემთხვევით“ ზუსტად ჩვენს სიწმინდეებთან არის განლაგებული და საპასუხო დაბომბვის პირობებში შესაძლოა, განადგურდეს სერბეთის მართლმადიდებლური სიწმინდეების მსგავსად...**

– ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთმა ამერიკას სპარსეთზე მიმავალი გზები გადაუკეტა. ერთადერთი გზა საქართველოღა დარჩა. ამიტომ არის, რომ მარნეულის აეროდრომი მთლიანად გასაიდუმლოებულია. ეს არის ამერიკის ასაფრენი ბაზა და, რაც ყველაზე შეამაძრწუნებელია, ყოველდღიურად ზარ-ზეიმით გახსნილი ეს 20-25-ადგილიანი საავადმყოფოები ამერიკელი სამხედროების ჰოსპიტალიზებისთვის მზადდება. სააკაშვილი კი მარნეულში გამოდის და ამბობს – ხალხს აგიშენეთო. იმ ძვირადღირებულ საავადმყოფოს რომელი ქართველი კაცი შესწვდება?! თავად და თავისი ოჯახის წევრები შეიძლება შეიყვანოს. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვხდებით პლაცდარმი და ირანმა **„შაჰ-აბაზები“ – „პირველი და მეორე“,** შემთხვევით არ გაუშვა, რომელიც 250 კილომეტრში ანგრევს ყველაფერს. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმაც თქვა, რომ **„ჩვენ შესაძლოა, ამერიკას ვერ მივწვდეთ, მაგრამ იმ ქვეყნებს, რომლებიც მათ მხარს დაუჭერენ და მათ ბაზად იქცევიან, მივწვდებით“...**

**– ანუ პირდაპირ ჩვენ?**

– დიახ, პირდაპირ დარტყმის ობიექტი ვხდებით. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტერიტორია გაცემულია მთლიანად. რომ აღარაფერი ვთქვათ აჭარაზე. ის საქართველო უკვე აღარ არის. 18 000 თურქი და 6 000 სომხური ოჯახია ჩასახლებული აჭარაში. ესენი ლაღობენ და ხარობენ, რომ აღმოსავლური არქიტექტურით **„დამშვენებული“** ბათუმი, რომელიც პატარა და მარგალიტივით მშვენიერი ქალაქი იყო, რაღაც კიჩის ნიმუში გახდა. ნახეთ, ან აქ, ან ბათუმში რა ძეგლებს დგამენ, როცა დავით აღმაშენებელი გააქვთ ქალაქიდან...

**– სააკაშვილი ბათუმელებს არ სწყალობს. ახლა ივნისში თურმე ელტონ ჯონის კონცერტის გამართვას გეგმავს, რომლის კონცერტსაც, ალბათ, უამრავი გეი სტუმარი და მასპინძელი დაეწრება და აქამდე ვერაფრით ჩატარებულ უმცირესობების აღლუმს ამ ფორმით აღნიშნავს...**

– დიახ. ალბათ, ამას აპირებს. მთელი უბედურება კი მაინც ის იქნება, რომ, თუ ეს ომი (ირან-ამერიკის. – ბ.ა.) გარდაუვლად დაიწყება, ჩათვალეთ, რომ საქართველო აღარ იქნება. ამათ დიდი ფული აქვთ – მილიარდერები არიან. ამასწინათ მარნეულში გამოდიოდა და ლაქლაქებდა – ჩვენ არც შუქი გვაქვს, არც გაზი და არც ნავთობი, მაგრამ, ასევე, არ გვაქვს კორუფციაო. თურმე საქართველოში კორუფცია არ ყოფილა! ეტყობა, ახლომხედველია და ვერ ხედავს. მიმოიხედოს მის ირგვლივ, რა დღეში არიან, ეს **„ცალი კალოშით“** ჩამოსული ადამიანები როგორ გამდიდრდნენ.

**– ბატონო ელიზბარ, როგორც ცნობილია, თქვენ მიხეილ სააკაშვილს ენათესავებით. სააკაშვილი იმდენ ტყუილს გაიძახის, სანათესაოში გვარად მიუნჰაუზენი ხომ არ გყოლიათ ვინმე?**

– ჩვენს გვარეულობაში არავინ ურევია მიუნჰაუზენის გვარის. რაც ამას სჭირს, ეს უკვე ავადმყოფობაა. კაცი ჭკუაზეა გადასული. ნახეთ, რა თქვა? – **„ახლა იტყვიან, რომ წინასწარ გადავწყვიტეთ. ჩვენ კი მოულოდნელად, ერთ საათში გადავწყვიტეთ მარნეულში ჩამოსვლა“...** ე.ი. მოულოდნელად ჩავიდა მარნეულში და ამ ყვითელი ავტობუსებით იქ ხალხი რომ ჩადიოდა. ის არ იცის?! სამწუხაროდ, ქართველი ერი, ეს ტრადიციული სულიერი ორგანიზმი, რომელზეც 26 წლის მიხაკო წერეთელმა დაწერა **„გენი და კაცობრიობა“,** დაიმცრო.

**– სხვაგვარად არ შეიძლება. ჩვენი გენი აუცილებლად გამოიღვიძებს. ასე ვერ გაგრძელდება...**

– ამის მოთმენა, რასაც დღეს ვუყურებთ და რაც ხდება, აღარ შეიძლება. მართალია, ძირითადად, **„კრიკუნები და შემძახებლები“,** თანაც, უმეტესწილად, ბავშვები მოჰყავთ.

**– ბატონო ელიზბარ, კალიგულას დაჰქონდა ასე ტრიბუნა და ტაშისდამკვრელი ბიჭები დაჰყავდა თან...**

– ახლა რა წიგნსაც გაჩუქებ, იქ სააკაშვილის კალიგულასთან ოცი პარალელი მაქვს მოყვანილი. ერთ-ერთზე ჯდება.

**– არა მარტო კალიგულასთან, ბოკასთანაც ბევრი აქვს საერთო, გახმაურებული „კანიბალიზმის“ კუთხით...**

– ეს უკვე მოდერნიზებული ტირანის სახეა. პლატონი ტირანების დახასიათებისას ამბობს, რომ იქ არის ადამიანის ხორცი, გაზავებული ნანადირევთან. იმას რომ შეჭამენ, მგლის ფუნქციას იძენენ, მგლებად იქცევიან და სისხლს რომ იგემებენ, ველარ ეშვებიან. აი, ეს არის ტირანის ბუნება და დღეს სწორედ ამას ვხედავთ. იმიტომ, რომ შერჩა ერთი, მეორე, მესამე... როგორც მის წინაპარსაც შერჩა ყველაფერი. მსოფლიო კი არ სჯის ამისთვის, პირიქით – აცხადებს, რომ ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს **„პირველი რეფორმატორი და დემოკრატიის შუქურაა“.** თუ დროზე არ გამოვფხიზლდით და ეს კაცი არ მოვიშორეთ... მაგრამ მოშორება ისე არ უნდა მოხდეს – **„ოღონდ შევარდნაძე წავიდეს და ვინც უნდა, მოვიდესო“** – რომ ვიძახდით. ახლა სააკაშვილი რომ წავიდეს და რესპუბლიკელები მოვიდნენ, უარესს იზამენ. სააკაშვილი უკვე შიშველი გიჟია, მაგრამ ესენი მიზანმიმართულად ჯერ კიდევ როდის იძახდნენ, აფხაზეთი დამოუკიდებლად უნდა გამოცხადდესო.

**– იქამდე მივედით, რა შეკითხვის დასმასაც ვაპირებდი – როგორ აფასებთ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის შემოსვლას?**

– პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის შემოსვლას ძალზე დადებითად ვაფასებ. აღვნიშნე კიდეც, რომ დადებით მოვლენად აღვიქვი ეს კაცი, რომელმაც თქვა: **„მოვედი იმისთვის, რომ საქართველო ხელიდან მეცლებოდა და თუ სამშობლო გეკარგება, აღარაფერს ფასი აღარ აქვს და აღარც ცხოვრებას“...** მე არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის მოსვლას არ მივსალმებივარ. შევარდნაძეზე ვთქვი – ეს სისხლის ბილიკებით მოდის და ასეთი ბილიკებით ივლის-მეთქი. სააკაშვილის ბუნება კი ვიცოდი. ცხონებული მუხრან მაჭავარიანი და ბოჭორიშვილი მეუბნებოდნენ – **„ახალგაზრდა კაცია, შენი გაზრდილია და იქნებ ვაცალოთო“...**

**– ბატონო ელიზბარ, ბოლოს და ბოლოს, ვისი გაზრდილია სააკაშვილი?**

– მუხრანს ვეუბნებოდი – ჩემი გაზრდილი რომაა და ვიცი, რასაც წარმოადგენს, იმიტომ არ მინდა-მეთქი.

**– „გამზრდელის“ დარად, თქვენ არ მოგიბრუნდნენ, ბატონო ელიზბარ..**

– გამზრდელი არა, უბრალოდ, ჩემ თვალწინ იზრდებოდა. მაგას აბაშიძეებისა და წერეთლების სახით კარგი გამზრდელები ჰყავდა, მაგრამ ვერ გაზარდეს, რადგან, ხომ გსმენია: **„მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“...** მე ძალიან ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის მიმართ, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც მან გვერდით დაიყენა, **„ქართული ოცნების“** განმახორციელებლები არ არიან. ალასანიასთან პიროვნულად არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ისიც იმავე ამერიკის პროექტია და, ალბათ, ისიც ამერიკის კარნახით მოიქცევა. ამერიკა კი ჩვენ სიკეთეს არასოდეს მოგვწევს. ეს ყველამ უნდა იცოდეს! ხოლო თუ ძალით ყურებს დავიხშობთ და თვალებს დავიბრმავებთ, ამით არაფერი შეიცვლება. ბასი როცა აცხადებს – ამერიკამ საქართველოს სამი მილიარდი გადმოგირიცხათო, მაგ თანხიდან საქართველოს ერთი ცენტიც არ მიუღია. ყველაფერი რაღაც უმსგავსო შენობებზე დაიხარჯა. **„ეკონომიკური თვთმკვლელის აღიარება“** წაკითხული გექნებათ და იქ ყველაფერი ნათლად არის ახსნილი.

**– სვანეთში კაშხალის მშენებლობას აპირებენ და თურქეთში ელექტროსადგურის ასაშენებლად მტკვარს კალაპოტი უნდა შეუცვალონ, რის გამოც თბილისში მტკვარი საერთოდ აღარ შემოედინება... როგორ წარმოგიდგენიათ თბილისი მტკვრის გარეშე?**

– ესეც ხომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკაა. არც ამათ და არც ამერიკას სურს, დედამიწაზე ქართველი ცხოვრობდეს. თურქეთის ბუნებას მე ვერავინ მასწავლის. რამდენიმე ტომი მაქვს ნათარგმნი მათ ისტორიასა და ბუნებაზე. არასდროს დაუშვიათ, რომ აჭარა მათი არ არის. ამინდის პროგნოზის გადმოცემისას, როგორც ჩვენ ვამთავრებთ სოხუმით, თურქები აჭარის ამინდის პროგნოზით ასრულებენ. ერთმა თურქმა პოლიტიკოსმა და ბიზნესმენმა მითხრა – აჭარა ძალიან იაფად ვიყიდეთო. ამ კაშხალების მშენებლობა ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს. სვანეთსა და ლეჩხუმს წალეკავს და არა მარტო მათ. ამ კაშხალებს რეგიონული კატასტროფის გამოწვევაც შეუძლია. ერთი მაინც რომ დაინგრეს, თბილისსაც წალეკავს და, მგონი, ბაქომდეც ჩავიდნენ. ამათ არ უნდათ საქართველო. არ სურთ, ჯავახეთი საქართველო რომ იყოს და იქ დღესაც სომხური დროშა ფრიალებს. ჩვენ არავის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ტოლერანტები მხოლოდ ჩვენ უნდა ვიყოთ? სომხები რატომ არ არიან ჩვენ მიმართ ტოლერანტები? არც ბაქოში და არც სომხეთში ორი პროცენტი არ არის უცხოტომელი. **„ტოლერანტობა“** ბიოლოგიური ტერმინია, როდესაც ორგანიზმში ავადმყოფობა, ბაცილები იჭრება და ორგანიზმი მათ ათვინიერებს, ხოლო როდესაც ვერ ათვინიერებს, ადამიანს კიბო ემართება. ჩვენ სწორედ კიბო გვჭირს, რომელიც ჩვენს ორგანიზმსა და სულიერებას ხრავს. ამიტომაც უტევენ მართლმადიდებლობასა და უწმიდესს თავისუფლების ინსტიტუტის ჭაობში გაზრდილი ყმაწვილები, რომლებიც ვითომ ეკლესიაში დარბიან და სანთლებს ანთებენ. არსებობენ პირფერი ადამიანები, მაგრამ ესენი ფარისევლები არიან. ასეთ ფარისევლებს მე პირისპირ მოსული მტერი მირჩევნია.

**– ბატონო ელიზბარ, ამბობენ, რომ შობის წინ ჩაფიქრებული სურვილი სრულდება. თუ შეიძლება თქვენი სურვილის ხმამაღლა გაცხადება?**

– 73 წლის კაცი ვარ. ჩემი პირადი ცხოვრება უკვე დასრულდა. დაძინებისას და გაღვიძებისას ერთადერთი სურვილი მაქვს – გაერთიანებული, დამოუკიდებელი და ზნეობრივად გამართული საქართველო ვნახო. ვინც ამ მიზნისთვის იბრძოლებს, ყველას კარის დარაჯად და ფეხის დამბანად დავუდგები. ის ადამიანი კი, ვინც ამის საწინააღმდეგოდ იბრძოლებს, მარტო ჩემი კი არა, საქართველოს დაუძინებელი მტერია.

**– ღმერთმა გისმინოთ, ბატონო ელიზბარ. ნუ ვიქნებით პესიმისტები. ხალხში დიდია რწმენა, რომ ბიძინა ივანიშვილს შესწევს უნარი, ისეთი ადამიანები დაიყენოს გვერდით, ვინც ქვეყნის სასიკეთოდ იმოქმედებს; შეძლებს, საქართველოს მტერ-მოყვარე კარგად გაარჩიოს, ამით კი საქართველო გაიყვანოს სამშვიდობოს. ქართულ მიწაზე გაზრდილ კაცს საქართველოსთვის კარგის მეტი არაფერი უნდა სურდეს..**

– ღმერთმა ქნას. სწორედ ქართულ მიწაზე რომაა გაზრდილი, შვიდი წელი თავის მიწაზე რომ ცხოვრობდა და პარიზსა და უცხოეთში არ წავიდა საცხოვრებლად, ამიტომ მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი ბოლო იმედია. ღმერთმა არა ქნას, ეს იმედიც გაცრუვდეს. ეს თუ მოხდა, საქართველო აღარ იარსებებს. ამიტომ უფლის რწმენა მაქვს და მიხარია ამ ბოლო დროს. თანაც, კარგი ოჯახი ჰყავს. ეს ოჯახი ხშირად დადის პატრიარქთან და მისი გავლენა დადებითად იმოქმედებს. სიმდიდრე ცალკე რამ არის. სულიერი სიმდიდრე კი სულ სხვაა. სულ ვლოცულობ, რომ ეს იმედი გამართლდეს. სხვა შემთხვევაში დაღუპულია საქართველოს საქმე.

**ესაუბრა ბაია ამაშუკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი"

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე პეტრეს თანადგომით, მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.**



*„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში "ამბროსი აღმსარებლის" სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი".*

საბჭოს წევრების ერთმა ნაწილმა პროტესტი გამოთქვა (ნ. თალაკვაძე, ქრ. კარანაძე) ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაზე და ჩათვალეს რომ ეს არის საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების უხეში დარღვევა.

მალე ლეონიდეს წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა საკათალიკოსო სასამართლოს წევრთა ნაწილმა (ვ. კარბელაშვილი, ივ. ბერიშვილი, ანტ. თოთიბაძე, გ. გორდეზიანი).

ვითარება უფრო დაიძაბა, როცა ჩამოყალიბდა **„განახლების ჯგუფი"**. ისინი ბრალს სდებდნენ ლეონიდეს კირიონის წინააღმდეგ ჟურნალ **„ახალი სიტყვის"** გამოცემის ხელშეწყობაში. ვინმე რატიშვილის მფარველობაში, რომელიც კირიონის მომხრეებს **„კინტოებს"** უწოდებდა, რომ ლეონიდემ გაწმინდა ოპოზიციისაგან საკათალიკოსო საბჭო.

ჭყონდიდის მიტროპოლიტი ამ დაპირისპირებაში არ ჩართულა. იგი თვლიდა, რომ მთავარი იყო შიდა საეკლესიო სიმშვიდის შენარჩუნებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის ფეხდაფეხ მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქციონირების გამყარება. რადგან დასუსტებულ ეკლესიას ბოლშევიკური წარღვნა ემუქრებოდა. თავად ყოველ ღონეს ხმარობდა მასზე დაქვემდებარებული სამწყსოს საქმიანობის გამართვისთვის.

მოსახლეობის თხოვნით სოფლებში ხსნიდა ეკლესიებს. ცდილობდა შესუსტებულიყო რუსი და თურქი მოღვაწეების გავლენა. 1918 წლის 26 დეკემბერს ამბროსიმ კვლავ წერილით მიმართა საკათოლიკოსო საბჭოს და ითხოვა სოხუმის ეპარქიაზე გადარიცხული თანხების კანონიერების გარკვევა.

საკათალიკოსო საბჭოს სპეციალური მისიით სოხუმში ნ. თალაკვაძის მივლინება გადაწყვიტა. მაგრამ მან უარი თქვა წასვლაზე იმ მიზეზით, რომ არსებობდა საშიშროება აფხაზეთში დენიკინის რაზმების შემოჭრისა.

გრძნობდა რა მდგომარეობის სირთულეს, მაგრამ სოხუმში ჩასვლის აუცილებლობას, ამბროსიმ თავად იტვირთა საპასუხისმგებლო მისია და წერილობით მიმართა საკათალიკოსო საბჭოს „თუ თქვენ სასურველად მიგაჩნიათ ჩემი საქმეში გარევა და თუ ეს არ გამოიწვევს რაიმე უხერხულობას, მაშინ მე თვითონ სხვის დაუხმარებლად ვიტვირთებ საქმის მოწესრიგებას".

საკათალიკოსო კომისიამ მიიღო მიტროპოლიტ ამბროსის შეთავაზება. მან კი ჩვეული ერთგულებით დაიწყო საქმიანობა. სოხუმში მოლაპარაკება გამართა ყველა იმ პირთან, ვისთანაც საჭირო იყო საქმიანი დიალოგი. მათ შორის აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარესთან, სოხუმის ქართველობასთან, რუს ეპისკოპოს სერგის შესთავაზა შეხვედრა.

ჩატარებული საქმიანობის შესახებ მიტროპოლიტმა ბარათით აცნობა საკათალიკოსო საბჭოს.

აფხაზეთის კომისარიატმა მიღო სპეციალური დეკრეტი მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ. რომელიც 7 პუნქტისაგან შედგებოდა.

1. ქ. სოხუმში მდებარე საკათედრო ტაძარი, კრებულის სახლთან ერთად მღვდელმთავრის სახლი და ყოფილი სასწავლო საბჭოს შენობა აღიარებული იქნა ავტონომიური აფხაზეთის ეროვნულ საკუთრებად.

სხვა მუხლები განსაზღვრავდნენ დამატებით რა გადასცემოდა საეკლესიო მმართველობას და ვინ გაუწევდა კონტროლს გადაწყვეტილების შესრულებას.

თბილისში ვითარება ეკლესიის შიგნით დაძაბული იყო. პატრიარქი ლეონიდე ჯერ არ იყო ნაკურთხი. გადაწყდა 19 თებერვალს მოწყობილიყო კურთხევის ცერემონიალი. თუმცა მოწინააღმდეგენი უკანონოდ თვლიდნენ მის არჩევას. ასეთ დროს განსაკუთრებული როლი ითამაშა მღვდელმთავრების ამბროსისა და ნაზარის განცხადებამ, რომელსაც მხარს უჭერდა პიროსი. ისინი ლეონიდეს კურთხევას მოითხოვდნენ. არგუმენტად მოყავდათ, რომ ქართულ ეკლესიას დაპირისპირება და დაყოფა საბოლოოდ გაანადგურებდა.

23 თებერვალს, თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე დილის 10 საათზე მცხეთის სადგურში მატარებლით ჩავიდა. იქ სიტყვა ბრძანა საკათალიკოსო საბჭოს წევრმა ივ. რატიშვილმა.

შემდეგ კურთხევა გაიმართა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში.

## აფხაზეთის საეპისკოპოსოს სათავეში

1919 წლის სექტემბერში საქართველოს საპატრიარქოსთან დაუკითხავად აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველად დაინიშნა არქიმანდრიტი იოანე. იგი ადრე მუშაობდა აფხაზეთში, იყო ნიჭიერი ადამიანი.

საქართველოს კათოლიკოსმა როგორც კი გაიგო იოანეს დანიშვნის შესახებ. ემხვარს სოხუმში წერილი აახლა **„სიამოვნებით გაცნობებთ, მოწყალეო ბატონო, რომ საკათალიკოსო საბჭომ თანახმად თქვენი შუამდგომლობისა ამა თვის 11-ში ცხუმ-ბედიის ეპარქიის დროებითი გამგებლობა მიანდო ჭყონდიდის მიტროპოლიტს მაღალყოვლადუსამღვდელოეს ამბროსის"**. ამავე დროს ჭყონდიდის მიტროპოლიტს აცნობა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო სოხუმში და ამის შესახებ შეატყობინა საქართველოს მთავრობას, ნოე ჟორდანიას.

მიტროპოლიტი ჩავიდა თუ არა სოხუმში მაშინვე შეუდგა საეკლესიო ქონების აღწერას. არქიმანდრიტი იოანე გვერდით დაიყენა. არ გაურიყავს, მას მიანდო სარევიზიო სამუშაოები და ერთი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ დანიშნა საეპარქიო კრება. ყოველივე ამის შესახებ კათალიკოს-პატრიარქს შეატყობინა.

გაწეულ იქნა მძიმე შრომა საეპარქიო დაწესებულებების წესრიგში მოსაყვანად. შედგა აქტები. ჩატარდა დელეგატთა არჩევნები.

1919 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი აცნობებს თბილისში ნოე ჟორდანიას **„7 ოქტომბერს არის დანიშნული ცხუმ-ბედიის ეპარქიას საერთო კრება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს აფხაზეთის ეკლესიის ბედი... საჭიროა ამ კრებას რაც შეიძლება მეტი ჩვენი მომხრე დაესწროს, ამიტომ შორეული ადგილებიდან საჭიროა დელეგატთა მოწვევა"**. ამისთვის ემხვარი ას ათას მანეთის დახმარებას ითხოვდა.

კრებაზე დასასწრებად თბილისიდან ჩამოვიდა დელეგაცია კ. ცინცაძის ხელმძღვანელობით.

კრებამ მოისმინა აფხაზეთის კომისარიატის მოხსენება. მოუსმინეს გამომსვლელებს და მიიღეს დადგენილება, რომელიც ამბროსის უშუალო მითითებით დაიწერა.

1. აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდება აღდგენა საქართველოს საკათალიკოსო თვითმდგომი ეპარქიისა. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სახელწოდებით.

2. ეპარქიის სათავეში დგას დამოუკიდებელი ეპისკოპოსი, რომელსაც კათედრა და რეზიდენცია აქვს სოხუმში.

3. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში შედის განურჩევლად ეროვნებისა, ყველა სამრევლო, სამონასტრო, საეკლესიო დაწესებულება, მდინარეებს: ენგურსა და მეხადირს შორის.

დადგენილებაში ჩამოთვლილი იყო კიდევ რამოდენიმე მუხლი.

კრებამ ეპარქიის ხელმძღვანელად აირჩია მიტროპოლიტი ამბროსი.

მიღწეულით კმაყოფილმა კალისტრატე ცინცაძემ დეპეშა აფრინა თბილისში პატრიარქის სახელზე. აუწყა აფხაზეთის ეპარქიის ჩამოყალიბება და ეპისკოპოსად ამბროსის არჩევა.

საპასუხო წერილში პატრიარქი წერს: **„აფხაზეთ-სამურზაყანოს მორწმუნე ერს და სამღვდელოებას!**

**დედა ეკლესიასთან შემოერთებით და მღვდელმთავრის საუცხოვო არჩევნებით, აფხაზეთის საეკლესიო კრების წევრებმა ოქროს ასოებით ჩაიწერეს თავი სამშობლოს მატიანეში. ლოცვა-კურთხევა შემოერთებულ ჩემს სულიერ ძეთა და ასულთ, ხოლო შენ ტკბილი სალამი და ძმური მილოცვა თავისუფალი აფხაზეთის ღირსეულო მწყემსმთავარო"**.

ამბროსი გრძნობდა ჩასატარებელი იყო გადაუდებელი ორგანიზაციული ღონისძიებები. გაეგრძელებინა ეკლესია-ტაძრების მონახულება, მრევლთან შეხვედრები. ეპისკოპოსს აინტერესებდა ყველა წვრილმანი. რა უშლიდა და რა უწყობდა ხელს მართლმადიდებელ მრევლს სულიერი რწმენის განმტკიცებაში.

გადაწყდა აფხაზეთში საქართველოს პატრიარქის მოწვევა, რომ მისი უწმიდესობის ადგილზე ჩასვლით კიდევ ერთხელ დადასტურებულიყო, გახლეჩილი ხალხების გაერთიანება და სიმტკიცე.

გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ 1919 წლის 17 ღვინობისთვეს ლეონიდე სოხუმში ჩაბრძანდა თანმხლები პირებით.

ფოთიდან გემით სოხუმს მიმავალი საკათალიკოსო საბჭოს წევრები ხედავდნენ მთების ფერდობზე კოხტად შეფენილ სახლებს. რომელთა კარ-მიდამო შემოდგომის ბარაქით იყო დამშვენებული.

ოქროსფერი მოდებოდა არემარეს.

ნარნარით ქროდა ზღვაური, ზღვის ტალღები ნაზად ლოკავდა ხრეშოვან ნაპირს.

სოხუმის სანაპიროს მიადგა თუ არა გემი, საპატიო სტუმრებს დახვდნენ მიტროპოლიტი ამბროსი, დეკანოზი კ. ცინცაძე, ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. გრიგოლია, აუარება ხალხი, სამღვდელოებასთან ერთად.

ნავსადგურში გაიმართა მოკლე მიტინგი. სტუმრებს სიტყვით მიმართა მიტროპოლიტმა ამბროსიმ, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ა. გრიგოლიამ. ქალთა საზოგადოების სახელით ანჩაბაძემ.

საკათალიკოსო ტაძრამდე მიმავალ პატრიარქს მადლიერი ხალხი მიაცილებდა. ტაძართან სტუმრებს დახვდა ქართველი და ბერძენი სამღვდელოება. სიტყვა კვლავ ამბროსიმ წარმოთქვა.

გადახდილი იქნა პარაკლისი, რომლის შემდეგ ლეონიდემ შთამბეჭდავი სიტყვა ბრძანა.

მეორე დღეს უწმინდესმა და უნეტარესმა ტაძარში ილოცა.

კვირას, მიტროპოლიტ ამბროსისთან ერთად წირვა ჩაატარა. თანამწირველები იყვნენ ქართველი, ბერძენი და რუსი მღვდლები. წირვა სამ ენაზე მიმდინარეობდა.

მომდევნო დღეები პატრიარქმა ადგილობრივი ქართული გარნიზონი მოინახულა. შემდგომ ახალი ათონის მონასტერს ეწვია, სადაც პარაკლისი გადაიხადა.

ბოლოს მიტროპოლიტის რეზიდენციაში გაიმართა კრება, სადაც მოისმინეს ეპარქიის მოწყობა-მოწესრიგების, ხარჯ-აღრიცხვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

საოცრად კმაყოფილი დაბრუნდა ლეონიდე თბილისში. მოიწვია საკათალიკოსო საბჭოს სხდომა და დაამტკიცა აფხაზეთის საეკლესიო კრების დადგენილება. ამასთან მიტროპოლიტ ამბროსის დაევალა დროებით ჭყონდიდის ეპარქიის მართვა, ახალი მღვდელმთავრის არჩევამდე.

ფაქტიურად ბოლო ეღებოდა საქართველოში ეროვნული ნიშნით ეკლესიის დაყოფას, რომ შეუძლებელი გამხდარიყო გარეშე ძალების მიერ პოლიტიკური და ანტისახელმწიფოებრივი მიზნებისათვის ეკლესიის გამოყენება. რაშიც მიტროპოლიტ ამბროსის დიდი ღვაწლი მიუძღვოდა. სასიხარულო იყო ამბროსისათვის ის, რომ ანამ, მისმა უმცროსმა ქალიშვილმა, ფოთის პორტში ფრანგულის თარჯიმნად დაიწყო საქმიანობა.

ამბროსი უფალს მადლობას სწირავდა, რომ არგუნა ცხოვრება და მოღვაწეობა თავისუფალ საქართველოში, საკუთარ შვილებთან, შვილიშვილთან, საყვარელ საქმესთან.

ალექსანდრე სოხუმში საყვარელ საქმეს დიდ ენერგიას ახმარდა და წარმატებაც მალე მოვიდა.

ნინო შვილის აღზრდითა და მამის მზრუნველობით იყო დაკავებული. ბუნებით მშვიდი და ღვთისმოშიში, სრულებით შეეგუა საფრანგეთიდან წამოსვლას.

მიტროპოლიტი რთული, დამქანცველი დღის შემდეგ ფიზიკურ და სულიერ სიმშვიდეს შინ ჰპოვებდა. მისი ავტორიტეტი თანდათან გაიზარდა. ეკლესიის ერთიანობისთვის გაწეულმა შრომამ გამოიღო შედეგი. თუმცა სეპარატისტები არ ცხრებოდნენ და ცალკეულ მათ გამოსვლებში ფიქსირდებოდა უკმაყოფილება, რომელთაც ეპისკოპოსი სერგი აგულიანებდა შორიდან.

ეპისკოპოსი ამბროსი ყველაზე რთულ, მხარეში, ყველაზე დაძაბულ ჟამს, თავგამოდებით ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს.

ეს სჩანს 1919 წლის 19 დეკემბერს მის მიერ გამოგზავნილ წერილში კათოლიკოს-პატრიარქისადმი: **„თუმცა ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრები და ძმანი სათანადო პატივით დახვდნენ თქვენს უწმინდესობას, მაგრამ, როგორც ბოლო დროს აღნიშნულ მინისტრის წარმომადგენელმა განმიცხადა, წინამძღვარი და ძმანი მონასტრისა ცნობენ თავის თავს უხერხულ მდგომარეობაში, რადგან მათ არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ რუსეთის ეკლესიის დროებით მმართველობის განკარგულებებს, ამასთან კი მათ არ სურთ საქართველოს ეკლესიასთან შეწყვიტონ კავშირი. სხვა მონასტრები კი ჩემთან ამგვარ დამოკიდებულებაში არიან, ხოლო სოხუმის საკათერო ტაძრის ყოფილმა რუსმა კრებულმა პირდაპირ განმიცხადა, რომ მას არ შეუძლია დაემორჩილოს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს, რადგან ეს მას, კრებულს, აკრძალული აქვს რუსეთის ეკლესიის დროებითი მმართველის მიერ.**

**რომ ყველაფერ ზემოხსენებულს ბოლო მოეღოს და ამიერკავკასიის ყველა ნაწილში აღდგენილ იქნას საქართველოს ტერიტორიული ეკლესია, როგორც ამას მოითხოვს საეკლესიო კანონები, ამისთვის საჭიროა, რათა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ცნობილ იქნას აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ, ხოლო ეს რომ მოხდეს, აუცილებელი საკითხია გაიგზავნოს აღმოსავლეთში საგანგებო დელეგაცია"**.

აშკარად ჩანს, რომ მიტროპოლიტი ამბროსი ეროვნული მოღვაწეა, ფართე დიაპაზონის მღვდელმსახური, ფიქრობს არა მხოლოდ აფხაზეთში არსებულ ეკლესია-ტაძრების მომავალ ბედზე, არამედ მთლიანად საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებაზე. იგი გრძნობს, რომ უფრო მეტი აქტიურობის გამოჩენაა საჭირო საერთაშორისო აღიარების მოპოვებისათვის.

ამიტომ სთხოვს პატრიარქს ამ მიმართულებით ყურადღების გამახვილებას, რადგან ეკლესია ეროვნული ღირსების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ლეონიდეს კი ოპოზიცია მოსვენებას არ აძლევს. იგი დაბნეული არა, მაგრამ გარკვეულ წნეხს გრძნობს. მისი ლტოლვა გამხდარიყო საქართველოს პატრიარქი თავიდანვე აშკარად სჩანდა და ამას რომ მიაღწია ეკლესიის დებულებათა დარღვევით, არ პატიობდნენ.

ამბროსი არ ჩამდგარა პატრიარქის ოპოზიციაში. არ თვლიდა საჭიროდ დაპირისპირების გაღრმავებას. პირიქით თვლიდა, რომ შიდა და საგარეო ავტორიტეტის ამაღლება იყო საჭირო, ამიტომ ყველას გასაგონად ხმამაღლა განაცხადა: **„როგორც აღდგენილი სახელმწიფოს ცნობაა საჭირო სხვა სახელმწიფოთა მიერ, ისე საჭიროა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენის ცნობა სხვა ავტოკეფალური ეკლესიათა მიერ, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ და ეს არ მოხდება შიდა დაპირსპირებებით"**.

ცხადია რუსეთის სინოდი ყოველმხრივ ცდილობდა საკუთარი **„ფესვები"** შეენარჩუნებინა საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში – აფხაზეთში. ეს იყო იმპერიული ზრახვა, რასაც მიტროპოლიტი გრძნობდა, განიცდიდა და მუდმივად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ერთიანობისა და სიმტკიცის წინააღმდეგ ყოველგვარ გამოვლინებებს.

**ბორის დავითაია,**
სენაკი

(გაგრძელება იქნება)

# სააკაშვილის "მაგარი კალმოსნები"

აშკარაა, რომ სააკაშვილის დიქტატორულ რეჟიმს დამორჩილებულ საზოგადოებრივ მაუწყებელში, შესაშურად იღვწიან კანონიერებისა და მართლი სიტყვის ჩამქოლავი **"კალმოსნების"** შესარჩევ-დასამუშავებლად. არჩევანი კი მართლაც სასურველია და ყველანაირად ხელსაყრელი. საოცნებო საშოვარს გამოკიდებული, სირცხვილ-ნამუსდაკარგული შერჩეული გოგო-ბიჭებიც, კმაყოფილები და თანახმანი არიან ყველანაირი დავალებისა თუ მოთხოვნის შესასრულებლად.

2009 წლის აპრილში დაწყებული მასობრივი აქციებისთვის, სააკაშვილსა და მისი გუნდის წევრებს, ნიკა ავალიანისა და მისნაირებისთვის, ბევრი იაფფასიანი და პრიმიტიული პროვოკაციისა თუ გამოხდომის მოწყობა ჰქონდათ გამზადებული.

ერთი ასეთი დავალება, საზოგადოებრივი მაუწყებლის რიგით ტიკინა-სათამაშო **"კალმოსან"** გიგა მაქარაშვილს დაეკისრა.

ეტყობა, შეპირებული საჩუქრის გადმოგდების მომლოდინე თმააწეწილ არსებას, მაყურებლისათვის რაც შეიძლება იოლად მოსატყუებელ-დასაჯერებლად, დიდხანს ამეცადინებდნენ და აზუთხვინებდნენ **"თავსგადამხდარის"** მოყოლას. სამარცხვინო იყო და გულისამრევი, საცოდაობა იყო, **"დაზაფრულ სახე-ხმიანი"** გიგას მონაყოლის მოსმენა: ქუჩაში გამოსული, შემხვედრმა **"ოპოზიციონერმა"** უცნობმა, იძულებით რომ ჩატენა რომელიღაც ავტომანქანაში და შექმნილი ვითარების გამო, ტელევიზიის ხელმძღვანელობისთვის პროტესტის გამოთქმით, სამსახურიდან წამოსვლა მოსთხოვა. მსხვერპლის გაღების სანაცვლოდ კი ხელშეუხებლობა, პარლამენტარობა და მინისტრის მოადგილის მოვალეობა შესთავაზა; თანაც, რატომღაც, მხოლოდ ორი წლით...

წარმოუდგენელი **"საფრთხე-საშიშროებაქმნილი ტელეკალმოსნის"** მონაყოლით **"შეძრულმა"** ხელმძღვანელებმა, უმალ მიიღეს უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები – **"დატერორებულ"** გიგას, სიცოცხლის შესანარჩუნებლად, სახელმწიფო დაცვა დაუნიშნეს და მდგომარეობიდან **"გამოსასვლელად"**, მოულოდნელი **"პადარკაც"** უბოძეს – იუდას გზაზე მოსიარულე, კანის კინოფესტივალზე დასწრებითა და ლაჟვარდოვან სანაპიროზე **"გულაობით"** დაასაჩუქრეს.

მას შემდეგ გიგა მაქარაშვილისათვის თვალი აღარავის მოუკრავს. შესაძლოა, იმ **"ოპოზიციონერი ტერორისტისგან"** შეპირებული მინისტრის მოადგილეობის შეუსრულებლობა პატრონებმა თუ აღუსრულეს. და ეხლა, თანამდებობამორგებული, თვითონ თხზავს და იგონებს მრავალნაირი ზიანის მომტან დავალებებს; ამგვარ საქმეთა კეთებაში **"დასპეცებული"**, დაუშურვებლადა წვრთნის და გეშავს ახალფეხადგმულ კომკავშირელ-კმარელ კოლეგებს.

თქმა არ უნდა, **"ბეწვზე გადარჩენილ"** გიგას უმალ გამოეხმაურნენ სათანადო ნიშანმიცემული კოლეგები და ტრადიციული ჟივილ-ხივილითა და ხმაურიანი განცხადებებით მოითხოვეს მისი **"ოპოზიციონერი ტერორისტებისგან"** დაცვა. თუმცა, ჟურნალისტთა უფლებების **"თავგამოდებულმა დამცველებმა",** კრინტი არ დასძრეს, მართლაც პროტესტის ნიშნად, საზოგადოებრივი მაუწყებლიდან წასულების დასაცავად. ისინი, ამას, არაფრად იზამდნენ, რადგან ხმის ამოღების შემთხვევაში, ყველას ქუჩაში გაყრიდნენ. ამიტომაც იყუჩეს მდაბიური, შეკვეთილი კამპანიების მონაწილე-შემსრულებლებმა და უსირცხვილოდ, მონური მაამებლობით და ლიქნით გააგრძელეს პატრონების გულისამრევი ლაქუცი.

და საერთოდ, საკუთარ უფლებათა დამცველი გამძვინვარებული **"კალმოსნები":** ზ. უდუმაშვილი, თ. გოგოტიშვილი, პ. იაკობაშვილი, დ. პაიჭაძე, გ. დონაძე, ლ. ჯავახიშვილი, ნ. მელაძე, ლ. ხარაზიშვილი, თ. ბაღაშვილი, ნ. შუბლაძე, ე. კვესიტაძე, ნ. გომართელი, ე. ხოფერია, ი. მაისურაძე, ი. გრიგოლია, მ. მანჯგალაძე, დ. ტრაპაიძე, ლ. ბერაია, ნ. გოქსაძე, ი. ანთაძე, ი. ნადირაშვილი, თ. ურუშაძე, ნ. კაკაბაძე, ქ. იგნატოვა, ნ. მახვილაძე და სხვა მათი კოლეგები; უპირველესად კი ვახტანგ სანაია, რატომ არიან ჩუმად და დაჟინებით არ ითხოვენ გიორგი სანაიას გასაიდუმლოებული მკვლელობის გამოძიებას, მისი დამკვეთისა და ნამდვილი შემსრულებლის გამოვლენასა და დასჯას?

სამარცხვინოდ და დასაძრახად დადუმებულები, რატომ არ ითხოვენ ტელეკომპანია **"იმედის"** ბარბაროსული დარბევის ბრძანების გამცემის გამოაშკარავებას? რატომ უმკაცრესი პროტესტი არ გამოთქვეს იქაური კოლეგების არაადამიანურად შეურაცხყოფის, ღირსებისა და პატივის აყრა-შელახვის გამო?

**ელისო კილაძე**, ჟურნალისტი: **"იმედის" ე.წ. ჟურნალისტები გივი თარგამაძესთან პარლამენტში საშვის გარეშე ადიოდნენ და იქ მიდიოდა მოლაპარაკებები, ვის რამდენს მისცემდნენ, ვის რა კრედიტს დაუფარავდნენ, ვის რა მანქანას უყიდდნენ, ოღონდ კი "იმედიდან" წამოსულიყვნენ. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია" ("ქრონიკა"**, 2010 წელი. №23).

აი, თურმე, რატომ დამუნჯდნენ და რისთვის დაიშრიტეს მზერა **"ნაციონალმა კალმოსნებმა"**. მათთვის მართლაც ძნელი იქნებოდა ასეთი საცთუნებლისაგან თავის შეკავება. და, სულგაყიდულებმა, კიდევ ერთხელ, დამშვიდებულებმა ჩაიჩხრიალეს ოცდაათი ვერცხლი.

რატომ არ აყვირდნენ, მიხეილ სააკაშვილისგან დაბა ბაკურიანში, უამრავი ადამიანისა და ტელეკამერების თვალწინ, ჟურნალისტი გოგონას უხეშად შეურაცხყოფისა და ლამის ფიზიკური ანგარიშსწორების მომსწრეებმა?

რატომ ხმა არ გაიღეს და არ მოითხოვეს, იმერეთის ყოფილი გუბერნატორისაგან ჟურნალისტი ვაჟის ცემის გამო, ჭკუასუსტი მოხელისათვის კანონით რგებული სასჯელის მიგება?

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევებზე **"ნაციონალი კალმოსნებისაგან"** პირის ამოკერვა და თვალებზე ლიბრის გადაკვრა, სავსებით გასაგებია, რომ ოდნავი უკმაყოფილებაც კი, რეჟიმისა და პატრონებისადმი პროტესტის გამოთქმად აღიქმებოდა, რაც ისევ და ისევ, მათი სამსახურიდან გამოპანღურებით დასრულდებოდა. ჰოდა, ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, ზურაბ ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძისა და ასამდე სადისტურად დახოცილი ადამიანების სისხლში გავლებული ლარიანი თუ დოლარებიანი ხელფასებისა და უცხოეთში მუქთად წოწიალის დაკარგვა არავის აძლევდა ხელს...

ზემოთხსენებული აქციების თანმოყოლილი ნიკა ავალიანისა და გიგა მაქარაშვილის **"უფლებათა ხელყოფის"** შემთხვევები, **"ნაციონალების"** რეჟიმთან და მათს პატრონებთან დაპირისპირებულ; ოპოზიციურ ძალებთან გახლდნენ დაკავშირებული და ამიტომაც გამოიღეს ხელი, იძალეს და იყვირეს **"პროტესტანტებმა"**.

ასეა, **"ნაციონალ კალმოსნებს"**, სიმართლის თქმას, ისევ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მონური და დანაშაულებრივი მსახურება ურჩევნიათ!

**გოგა ხაინდრავა**, კინორეჟისორი: **"ესენი ჟურნალისტები კი არა, სპეცრაზმის წევრები არიან.**

**კამერებს და მიკროფონებს იყენებენ ქართველი ხალხის დასარბევად! ასე რომ, მაგათ ჟურნალისტებს ნუ უწოდებთ"** (**"ასავალ-დასავალი"**, 2011 წელი, №23).

**ალბათ, უფრო ზუსტი და უკეთესი შეფასება, არა გვგონია, მჯობნი რამე გამოიძებნოს.**

გვეგონა, სააკაშვილის ჟურნალისტურ ამქარში, ყველა მართლა სპეცრაზმელები, **"კაგებეშნიკ-კაგებეშნიკები"** თუ სხვა რაიმე საიდუმლო-სადამსჯელო დაჯგუფებების წევრები იყვნენ და მართლაც მონურ მსახურებას გახლდნენ შეგუებულები. თურმე კი არა, მათშიც გამორეულან განსხვავებულები და სხვანაირად მომქმედ-მეტყველები. ისიც ხომ ცნობილია, რომ ზოგჯერ მონებშიც იხუვლებს ხოლმე პროტესტის, თავის გამოჩენის სურვილი და ზოგჯერ, არც თუ უშედეგოდ.

2008 წლის აგვისტოს ორდღიანი ომის დასრულების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის **"კალმოსანი" თამარ ურუშაძე**, ნაომარი ადგილიდან რეპორტაჟის გასაკეთებლად გაგზავნეს. გორის მისადგომებთან მიკროფონში მოლაპარაკეს, ვიღაც თავზეხელაღებულისაგან გასროლილმა ტყვიამ, თურმე ხელი გაუკაწრა. მაგრამ სავალალო შედეგს გადარჩენილი ახალგაზრდა ქალი არ შედრკა და დაწყებული რეპორტაჟი ბოლომდე მიიყვანა. ამით აღფრთოვანებულმა მიხეილმა, მისი ქმედება გმირობად შეაფასა, რომელიღაც ორდენიც ჩამოკიდა და სამსახურეობრივადაც დააწინაურა. ეხლა, საინფორმაციო გადაცემის წამყვანად მოვლენილი თამუნია, ურცხვად აფრქვევს ეკრანიდან ნაირგვარ **"ნაციონალურ"** ტყუილსა და არაკს.

ვფიქრობთ, ორდენოსანი წამყვანის ასეთმა აღიარებამ, ბევრი მისი კოლეგა დაზაფრა და შურის თვალით დაუწყეს ყურება აღზევებულსა და პატივმიგებულს. იქიდან მოყოლებული, გულგაგოროზებულები, ჩასაფრებულები დაელოდნენ, გმირობის მოსაპოვებელი ქმედების ჩადენას.

ამის შესაძლებლობა, 2011 წლის 1 ნოემბერს, ქართულ პოლიტიკაში ახალფეხშედგმული **ბიძინა ივანიშვილის** რეზიდენციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მიეცათ.

უნდა ითქვას, რომ გმირობის მაძიებელმა რამდენიმე **"ნაციონალმა კალმოსანმა"** მართლაც ჩაიდინა გმირობა – წარმოუდგენელი უვიცობის, თავხედობისა და უზრდელობის ყოველგვარ ზღვარს გადასულებმა, უზუსტესად და უნაკლოდ წარმოაჩინეს, სააკაშვილს დამორჩილებული პრესისა და რადიო-ტელევიზიის პრიმიტიულობა, პროვინციალობა და შემაშფოთებელი აგრესიულობა. აშკარად გამოჩნდა, რომ რამდენიმე დღით ადრე, სათანადოდ დამუშავებულებსა და მასპინძლის **"ჩასაჭრელ-გამოსაჭერი"** შეკითხვებჩამორიგებულებს, ერთადერთი დავალება მიეცათ – ყველაფერი ეღონათ შეხვედრის ჩასაშლელად! შემსრულებლებიც უშეცდომოდ შეარჩიეს – საზოგადოებრივი მაუწყებლის, **"რუსთავი-2"**-ისა და **"იმედი"**-ს რჩეულებს – **ნინო გომართელს, დიანა ტრაპაიძეს** და **ლიკა ბერაიას**, ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ იმ ბინძური და ჭუჭყიანი, სამარცხვინო და თავის მოსაჭრელი მისიის აღსრულება.

მით უფრო, ალბათ, პატრონები, გვარიან პრემიებსა და **"პრეზენტებსაც"** თუ შეპირდნენ.

გამძვინვარებულ-გაალმასებულმა და არნახულად დაგეშილმა ახალგაზრდა დიაცებმა, იქ მისულ ორასამდე ქართველსა და უცხოელ მონაწილეს, თითქმის არავის მისცეს საშუალება და არ დააცადეს შეკითხვის დასმა თუ მოსაზრების გამოთქმა. მიკროფონის ხელთმოგდებულები, გაავებულები გაჰკიოდნენ პატრონებისაგან შედგენილ-შეკოწიწებულ, მასპინძლის შეურაცხმყოფელ-**"გასაშავებელ"** შეკითხვებს. სახეშეშლილები, თავგადაკლულები არა თმობდნენ მიკროფონს და წესრიგის დამცველი ბიჭები, გაჭირვებით გლეჯდნენ ხელიდან.

პრეს-კონფერენციის მსვლელობისას, სკამებზე ვერაფრით დამჯდრებმა და ფეხზე მდგომმა გაკაპასებულმა ნინიკომ, ნათუშამ და ლიკუნამ, წარმოუდგენელი მცდელობისა და თავგანწირვის მიუხედავად, მაინც ვერ შეასრულეს დავალება – ვერანაირად ვერ მოახერხეს აურზაურის ატეხვა და შეხვედრის ჩაშლა-ჩაფუშვა. პრეს-კონფერენციის დაწყებამდე, მასპინძლის დაცვისაგან **"შეურაცხყოფილად გაჩხრეკილები",** პირში ჩალაგამოვლებულები გაეცალნენ იქაურობას.

სიბრალულის ღიმილისა და გულწრფელი შეცოდების მომგვრელი იყო, საღამოს, მშობლიურ ტელეეკრანებზე მათი ხილვა და მოსმენა, ხელმოცარულები და ნირწამხდრები, შესაბრალისად რომ ცდილობდნენ პატრონების წინაშე თავის მართლებას.

გვჯერა, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ იმ სამარცხვინო დღეს, სააკაშვილის **"მაგარმა კალმოსნებმა",** ის კი მართლა გააკეთეს და აშკარად კარგად გამოუვიდათ, რომ დაუფარავად და გაშიშვლებული დაგვანახეს რეჟიმს დამონებული საინფორმაციო საშუალებების პრიმიტიულ-მდაბიური, პროვინციული და შავრაზმული სახე. ამიტომაც, ძალზე დამაფიქრებელია და შემაშფოთებელი ის არის, რომ დღევანდელი ქართველი **"კალმოსნების"** უდიდესი ნაწილი წარმოუდგენელმა უვიცობამ და აგრესიულობამ, სიცრუისა და ტყუილის დაუსრულებელმა ფრქვევამ წალეკა საინფორმაციო საშუალებები.

**დავით ჭიჭინაძე**, 26 მაისის სისხლიანი დარბევის მონაწილე: **"ყველა ე.წ. ჟურნალისტი საკუთარი სინდისით აგებს პასუხს მომავალში ერის წინაშე, რომ წამლავენ ადამიანებს. და ესენი არიან ჟურნალისტები?"** (**"ასავალ-დასავალი"**, 2011 წელი. №23).

და, დღე, პასუხისგებისა და განკითხვისა, კარს არის მომდგარი.

**"ყოველი უქმი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები, ისინი პასუხს აგებენ სამსჯავროს დღეს".**

**"მოვა ძე კაცისა თავისი მამის იდეებით, და მაშინ მიუზღავს თითოეულ კაცს მათი ნამოქმედარის მიხედვით".**

**"უფლის დღე ისე მოვა, როგორც ღამე ქურდი".**

დარწმუნებული ვართ, უპირველესად საკითხავ წიგნში ჩაწერილი ეს ჭეშმარიტება, **"ნაციონალ-კალმოსნებისათვის"** ისევე უცხოა და მიუღებელი, როგორც სამშობლოსა და ერისათვის თავდადება, მათთვის კეთილსინდისიერად, გულწრფელად და უანგაროდ სამსახური.

ბოლოს კი გულწრფელად უნდა გითხრათ აუცილებლად სათქმელი: ნუ გეგონებათ უცხოტომელ მიხეილის **"მაგარ კალმოსნებს"**, დავიწყებას იყოს მიცემული თქვენგან ნათქვამ-ნამოქმედარი. არამც და არამც. სააკაშვილის რეჟიმის მამხილებელ და ამსახველ პუბლიკაციებსა თუ ვიდეოჩანაწერებში, დაწყებული ე.წ. **"რევოლუციიდან"** დღემდე, მისხალ-მისხალ გახლავთ აღნუსხული საქართველოს მომთხრელი **"ნაციონალების"** ავკაცობისა და შემაძრწუნებელი დანაშაულებებისადმი გამოხატული თქვენი აშკარად დანაშაულებრივი მხარდაჭერა და თანადგომა!

საინტერესოა, მოახლოებული სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენა-დამყარების მერე, როგორ და რითი აპირებთ მართალი ქართველებისთვის პასუხის გაცემასა და თავის გამართლებას?

თქვენი სიმართლისა და პატიოსნობის, კანონიერების მრისხანე მტრებო, მოშიშარნო და ჩამქოლავნო!

თქვენი დღევანდელობის შავი ლაქა და სირცხვილი ხართ!

**ბელა ჯიღაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად მუშაობენ და რა ქონება აქვთ სახელმწიფო მოხელეთა ცოლებს



ბოლო ხანს თვალში საცემია რიგი პოლიტიკოსების მეუღლეების აქტიურობა, მეტიც, ზოგი მათგანი თავისი საქმიანობის სფეროს გასცდა და საზოგადოებას დიდაქტიკოსადაც კი მოევლინა.

ჩვენმა სახელმწიფო მოხელეებმა ბოლოს 2011 წლის გაზაფხულზე შეავსეს ქონებრივი დეკლარაციები, სადაც მათი და მათი ოჯახის წევრების 2010 წლის ქონებრივი მდგომარეობაა ასახული. სწორედ ამ მონაცემების მიხედვით გთავაზობთ მასალას.

პოლიტიკოსთა მეორე ნახევრების საქმიანობის არეალი საკმაოდ ფართოა, ისინი დასაქმებულნი არიან როგორც სახელმწიფო უწყებებში, ასევე კერძო ბიზნესში, მასმედიასა თუ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში და გვარიან ანაზღაურებასაც იღებენ. რა თქმა უნდა, ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანს თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის შესაბამისად უნდა ჰქონდეს დასაქმებისა და კარიერის აწყობის უფლებაც და საშუალებაც, იმის მიუხედავად, ვისი მეუღლეა.

თუმცა აქვე ვიტყვით, რომ ვიღაცისთვის ჩინოსანთა ახლობლობა და მეუღლეობა არ უნდა ხდებოდეს წარმატების საფუძველი, მით უფრო, ქვეყანაში, სადაც უმუშევრობა მასშტაბურია. ამ სტატიის მომზადების ერთ-ერთი ინსპირატორი უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას ჟურნალისტი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი იყო, რომლის ბოლოდროინდელი აქტიურობა სასიკეთოდ არ ადგება მისი პოლიტიკოსი მეუღლის იმიჯს (იხ. სტატია **„ჩერგოლეიშვილის „ტაბულა რაზა", „ყველა სიახლე"** №48). ამიტომაც საუბარს სწორედ მის ქონებაზე დავიწყებთ:

გიგა ბოკერიას 2010 წლის დეკლარაციაში ვკითხულობთ, რომ თამარ ჩერგოლეიშვილი ყოველკვირეულ ჟურნალ **„ტაბულას"** დირექტორია, თუმცა ამ საქმიდან შემოსავალი არა აქვს.

ის ამავე ჟურნალის რედაქტორიც არის და ამ თანამდებობაზე მისი წლიური შემოსავალი 132.000 ლარია. მას ასევე უმუშავია ევროპის საბჭოს პროექტის მენეჯერად, 36.000 ევროს ანაზაურებით.

უნდა ითქვას, რომ ჩერგოლეიშვილის შემოსავალი, იმავე დეკლარაციის მიხედვით, მეუღლის შემოსავალს გვარიანად აღემატება. ჰყავს ავტომანქანა **BMW 120** და რამდენიმე ბანკში გახსნილი აქვს ანგარიში.

გიგა ბოკერიას დეკლარაციაში ვკითხულობთ, რომ თამარ ჩერგოლეიშვილის ქალიშვილის სწავლასა და შენახვაში გადახდილია 10.000 ევრო. საინტერესოა ერთი დეტალიც, იმავე წლის დეკლარაციაში ბოკერია აღნიშნავს, რომ საჩუქრად მიიღო 75. 000 ამერიკული დოლარი, საჩუქრის გამცემის გრაფაში წერია **„მშობელი."**

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი 2010 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით არსად მუშაობს, თუმცა აქვს ბინა თბილისში, ბარნოვის №9-ში, აგრეთვე, ამავე მისამართზე რეგისტრირებული მანსარდი, გახსნილი აქვს რამდენიმე საბანკო ანგარიში.

**„თი-ბი-სი ბანკში"** მის ანაბარზე დეკლარაციის შევსებისას 21.000 დოლარი იყო, **ING BAN**-ში (ტერნეუზენი. ჰოლანდია) – 85.000 ევრო, **„საქართველოს ბანკში"** გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე კი თანხა 2.000 ლარს შეადგენდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველი თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში მთავარ სპეციალისტად მუშაობს და მისი წლიური შემოსავალი 2010 წელს 14.922 ლარი იყო. ის ასევე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას მოდის სფეროში, იყო LLC Fashion Group-ისა და **C Georgian Fashion Company**-ის პარტნიორი და **NNIP Fashion Association**-ის გამგეობის წევრი, თუმცა აქედან მისი შემოსავალი შესაბამის გრაფებში ნულებითაა აღნიშნული.

იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის მეუღლე მაია მესხიშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წამყვან სპეციალისტად მუშაობს და მისი წლიური შემოსავალი 2010 წელს 26.211 ლარი ყოფილა.

ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურის მეუღლე ნინო ლაშხია კი საქართველოს წყალმომარაგებისა და ენერგეტიკის ეროვნულ კომისიაში მუშაობს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად და მისი წლიური შემოსავალი, მეუღლის დეკლარაციის მიხედვით, 41.976 ლარია.

შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციაში შეხვედრების კოორდინატორად მუშაობს და მისი შემოსავალი 12.800 ლარია. 2010 წელს მას ანგარიში გახსნილი ჰქონდა ბანკ **„ქართუში"** და მის ანაბარზე 33.044 ლარი იყო. მოკრძალებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინის რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადში დაბადებული მეუღლის, ანნა შაშკინას ქონებაც. ის თბილისში მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის მფლობელია. მისი სამსახურის თაობაზე დეკლარაციაში არაფერი წერია, ასევე არ ჩანს ინფორმაცია მისი საბანკო ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის მეუღლე სოფიო ქლენტი, როგორც ირკვევა, **„აიეტი-ტვ"**-ში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად მუშაობს და მისი ანაზღაურება 6.000 ლარია. ჰყავს ავტომანქანა **Wolkswagen-Tiguan**(2009), ფლობს 901 კვმ მიწის ფართობს სოფელ წავკისში.

პარლამენტის თავდაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გივი თარგამაძის მეუღლე ნინო მუშკუდიანი არსად მუშაობს და არც ქონება აქვს, გარდა ავტომანქანისა **BMW 5 grand turizmo** ( 2009, ნომრით: **CHC**-707), რომელშიც 2010 წელს 60.000 დოლარი გადაიხადა.

პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, აკაკი მინაშვილის მეუღლე ქეთევან კობიაშვილი სახელმწიფო უწყებებშია დასაქმებული. 2010 წლის დეკლარაციის მიხედვით, მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ, სადაც მისმა ანაზღაურებამ 7.540 ლარი შეადგინა, მის სამუშაო ადგილად მითითებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროც, სადაც ადმინისტრაციის საპროტოკოლო სამმართველოს მთავარ სპეციალისტად უმუშავია, წლიური ანაზღაურებით – 11.898 ლარი.

ბოლო ხანს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ესა თუ ის საკანონმდებლო ინიციატივა ძირითადად სულ რამდენიმე დეპუტატის მიერაა ინიცირებული, ესენი არიან: ლაშა თორდია, კახა ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა. მათი დეკლარაციებითაც დავინტერესდით. როგორც აღმოჩნდა, ლაშა თორდიას მეუღლე მაია ირემაშვილი იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში ადმინისტრაციის უფროსად მუშაობს და მისი შემოსავალი 15.000 ლარია. კახა ანჯაფარიძის მეუღლე მაია ნიკოლეიშვილი სახელმწიფო უწყებაში, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მინისტრის აპარატის უფროსად მუშაობს და მისი ანაზღაურება 9.190 ლარია. ზვიად კუკავას მეუღლის დალი კორკელიას სამუშაო ადგილისა და შემოსავლების შესახებ მისი მეუღლის დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი.

დეპუტატ დავით დარჩიაშვილის მეუღლე ლელა ცქიტიშვილი კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთავარი სპეციალისტია და მისი წლიური შემოსავალი ამ სამსახურიდან 12.825 ლარს შეადგენს. 2010 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, დარჩიაშვილის მეუღლის შემოსავლად დასახელებულია გრანტი 106.000 ლარის ოდენობით. ლელა ცქიტიშვილის ჰყავს ავტომანქანა **HYUNDAY TUCSON (2008, MIW 337)**.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, **„ნაციონალური მოძრაობის"** გენერალური მდივნის, ზურაბ მელიქიშვილის მეუღლის, ნატო ბლუაშვილის საკუთრებაშია 3060 კვმ მიწის ნაკვეთი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში. აქვს ბინა (მშენებარე სასტუმროს ტიპის საცხოვრებელ სახლში) დაბა ბაკურიანში. ნატო ბლუაშვილს ჰყავს ავტომანქანა **Toyota RAV-4** (2002). 2010 წლის დეკლარაციაში მისი შემოსავლის შესახებ არაფერია ნათქვამი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის მეუღლე, ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილი თბილისში – საცხოვრებელი სახლის, მოსკოვში კი ბინის მფლობელია. ჰყავს ორი ავტომანქანა: **Toyota RAV-4** და **Toyota Landcruiser**. წინანდალში მიწის ნაკვეთს ფლობს. მეპატრონეა კომპანიისა – **„ვაშაძე და ძმები"**, თუმცა დეკლარაციის მიხედვით, ამ საქმიდან შემოსავალი არა აქვს. როგორც იცით, ის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელია. 2010 წელს მისმა წლიურმა შემოსავალმა ამ თანამდებობაზე 89.600 ლარი შეადგინა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩინოსანთა მეუღლეები არიან მედიასაშუალებებშიც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის, შოთა უტიაშვილის მეუღლე ეკა კვესიტაძე რუსთავში მიწის ორი ნაკვეთის მფლობელია. მუშაობს **„საზოგადოებრივი მაუწყებლის"** პირველ არხზე ჟურნალისტად და მისი წლიური შემოსავალი 2010 წელს 37.200 ლარი ყოფილა.

ტელეკომპანია **„პირველი კავკასიურის"** მთავარი პროდიუსერია **აშშ**-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, თემურ იაკობაშვილის მეუღლე იანა ფრემერი. იაკობაშვილის დეკლარაციის მიხედვით, მისმა წლიურმა შემოსავალმა 75.000 ლარი შეადგინა.

დეპუტატ გიორგი მელაძის მეუღლე მაკა ლაჩაშვილი კი **„ჯი-პი-აი ჰოლდინგში"** მენეჯერად მუშაობს და მისი წლიური შემოსავალი 35.835 ლარია. ამ ცოლ-ქმრის ქონება საკმაოდ შთამბეჭდავია. მაკა ლაჩაშვილს აქვს ბინა თბილისში, ის თბილისშივე კიდევ ორი ბინის და არასაცხოვრებელი ფართობის თანამფლობელია. ჰყავს ავტომანქანა **Mitsubishi** (2008), გახსნილი აქვს რამდენიმე საბანკო ანგარიში. 2010 წლის დეკლარაციის მიხედვით, ფლობდა ნაღდ ფულს 10.000 ლარის ოდენობით. არანაკლებია მისი მეუღლის შემოსავალიც. შეგახსენებთ, ეს ის გიორგი მელაძეა, რომელსაც 2008 წელს დასახმარებლად თბილისის ბიუჯეტიდან 9.277 ლარი გამოუყვეს. სპეციალურად გადავხედე გიორგი მელაძის წინა წლების დეკლარაციებსაც, უნდა გითხრათ, რომ ამ წყვილის ქონებრივი მდგომარეობა ამ დეკლარაციების მიხედვითაც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება.

თბილისის მერის, გიგი უგულავას მეუღლე ლელა კილაძე **„უსახლკარო"** მეუღლისგან განსხვავებით, დედაქალაქში ბინის მფლობელია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კულტურული ღონისძიებების სამსახურის უფროსად მუშაობს და მისი შემოსავალი 40.023 ლარია. 2010 წლის დეკლარაციის მიხედვით, **„საქართველოს ბანკში"** გახსნილ ანგარიშზე 14.000 ლარი ერიცხება.

აი, ბოლო ხანს **„სიმინდის პრინცად"** გამოცხადებული აკაკი ბობოხიძის მეუღლე ნანა გოდერძიშვილი კი თურმე სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს. 2010 წელს ამ პროდუქციის რეალიზაციიდან 38.000 ლარის შემოსავალი ჰქონია. ამ ქალბატონს საგარეჯოს რაიონში აქვს საცხოვრებელი სახლი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ჰყავს ავტომანქანა **Toyota RAV-4**.

ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ძმებ კუბლაშვილებს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილის მეუღლე მარინა მესხი თბილისში მიწის ნაკვეთისა და ბინის მფლობელია, ასევე მისია მიწის ნაკვეთი ოზურგეთის რაიონში. ქალბატონი მარინა **„ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის"** დირექტორად მუშაობს და მისი წლიური შემოსავალი 39.512 ლარია. დეკლარაციაში მითითებულია ისიც, რომ ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მუშაობს ლექტორად, ანაზღაურებით – 1.500 ლარი. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, პავლე კუბლაშვილის მეუღლე თამილა აბუთიძე კი მცხეთის რაიონში მიწის ნაკვეთის მფლობელია. ჰყავს ავტომანქანა **Toyota Prado** (2008). პავლე კუბლაშვილის მეუღლე **„ტაოპრივატბანკში"** მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების უფროსია და მისი წლიური შემოსავალი 48.554 ლარს შეადგენს.

ქვემო ქართლის გუბერნატორის, დავით კირკიტაძის მეუღლე სალომე წაქაძე კომპანია **„ბარამბოს"** საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად მუშაობს და მისი შემოსავალი 18.000 ლარია. ჰყავს ავტომანქანა **Wolskwagen-Tiguan** (2010). დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის მეუღლე ელისო ნიჟარაძე შპს **„სკოლა-ლიცეუმ რიტორის"** დირექტორია და მისი წლიური შემოსავალი 14.400 ლარია.

სახელმწიფო მოხელეთა დეკლარაციების შესწავლისას ერთი ტენდენცია აღმოვაჩინე. ჩინოსანთა მეუღლეების ნაწილს ძალიან მოსწონს, როდესაც მათ ძვირად ღირებულ მანქანებს ასევე ძვირად ღირებული სანომრე ნიშნები ამშვენებს. მაგალითად, დეპუტატ ვახტანგ ბალავაძის მეუღლის, ანა ხომერიკის ავტომანქანა **BMW** 320-ის ნომერი ასეთია: **ANY**-001, პავლე კუბლაშვილის მეუღლის, თამილა აბუთიძის მანქანის ნომერია – **TNS** 999, კაკო ბობოხიძის მეუღლის, ნანა გოდერძიშვილის ავტომანქანის კი **MBA** 555 , გიორგი მელაძის ცოლის მაკა ლაჩაშვილის ავტომანქანის ნომერია **TIV**-777, ზურაბ მელიქიშვილის მეუღლის, ნატო ბლუაშვილის ძვირად ღირებული მანქანის სანომრე ნიშანზე კი – **BUT** 800-ს ამოიკითხავთ და ა.შ. (შეგახსენებთ, საქართველოში ფასიანი სანომრე ნიშნების ღირებულება 150 ლარიდან 10.000 ლარამდე მერყეობს – ნ.დ.).

**P.S.** ეს მხოლოდ ნაწილია ჩინოსანთა იმ ცოლების ქონებრივი მდგომარეობისა, რომლებიც ქმრებს ტოლს არ უდებენ და წარმატებას ხან მართლაც დამოუკიდებლად, ხანაც კიდევ ძლიერი მეორე ნახევრების დახმარებით აღწევენ. მერე კიდევ გიკვირთ, **"ნაციონალები"** ასე ენერგიულად რატომ ებღაუჭებიან ძალაუფლებასო.

სხვა შემთხვევაში, ვინ დაასაქმებდა მათ ცოლებს, რომელთა უმეტესობა მაინცადამაინც მაღალი ინტელექტით ვერ დაიკვეხნის, ზოგიერთის ლექსიკა (თუნდაც ჩერგოლეიშვილის) კი ქუჩაში აღზრდილ და **"დავაჟკაცებულ"** მაწანწალასაც კი გააოცებს!

**P.P.S.** **„შერშე ლა ფამ"** ფრანგული გამოთქმაა და ნიშნავს: ეძებე ქალი!

ნ. დოლიძე



# ფრანგი გენეტიკოსი: ნაპოლეონი კავკასიელია



ალბათ, ჩვენი წარსულის ამაგდარს, სახელგანთქმულ ქართველ მეცნიერს, ბატონ კლიმენტი შელიას არ ჰყოლია იმდენი მოწინააღმდეგე, რამდენიც თავად ნაპოლეონ ბონაპარტეს ჰყავდა. განსხვავება კი, მათ შორის, მხოლოდ ისაა, რომ კორსიკელი გენიოსი რეალური ბრძოლის ველზე უპირისპირდებოდა მეტოქეებს, კლიმენტი შელიას კი ბუჩქებიდან ებრძვიან ის არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც ვერასგზით ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ მსოფლიო ცივილიზაცია კოლხეთიდან იღებს დასაბამს, და რომ ეს დასაბამი ხმელთაშუა ზღვის აუზში იშვა. სწორედ ბატონმა კლიმენტი შელიამ გააჟღერა პირველად მოსაზრება ნაპოლეონის კოლხური წარმოშობის თაობაზე, რასაც მეცნიერებაში მოკალათებულ ურწმუნოთა ქირქილი მოჰყვა. არგუმენტი კი ქართველ მეცნიერს მეტად მყარი ჰქონდა – ნაპოლეონმა, დიდების ზენიტში ყოფნისას, პირად მცველად აიყვანა ფრანგების მიერ ეგვიპტის სამხედრო ექსპედიციისას ტყვედ ჩავარდნილი ქართული წარმოშობის მქონე მამელუქი რუსტან რაზმაძე, რომელმაც სიკვდილამდე უერთგულა საფრანგეთის იმპერატორს.

ასევე ცინიკური ქირქილით შეგებნენ ქართველებად წოდებული არარაობები ქართველი მეცნიერის გია კვაშილავას გენიალურ მიგნებას, რომელმაც სპეციალური ალგორითმის გამოყენებით მოახერხა "ფესტოსის დისკოდ" წოდებული თიხის ფრიფიტაზე დატანილი ტექსტის ფაშიფვრას მეგრული ენის გამოყენებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერთ დროს, შუამდინარეთი, კოლხური კულტურის აკვანს წარმოაგენდა და ამ კულტურამ გარკვეული კატაკლიზმების შედეგად გადმოინაცვლა დღევანდელი კოლხეთის (სამეგრელოს) ტერიტორიაზე. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც ლამის ასი პროცენტით ეთნიკური სომხებით და გაქართველებული სომხებითაა დაკომპლექტებული, სრულიადაც არ აძლევს ხელს საქართველოს ძირძველი მხარის – კოლხეთის დიდების აღიარება, რაც საშუალებას აძლევს უღღეურ ქართველ "მოღვაწეებს" და მათ ამფსონ მანქურთებს, ხმამაღლა იძახონ, რომ კოლხეთის ცივილიზაცია არასოდეს არ არსებობდა, მეგრული ენა კი მხოლოდ კუთხური დიალექტია და სხვა არაფერი! **სწორედ ამ მკრეხელური აზრის გასაცამტვერებლად ვთავაზობთ მკითხველს წერილს ნაპოლეონის კავკასიური ფესვების თაობაზე, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ ნაპოლეონი სწორედაც რომ კოლხური წარმოშობისა გახლდათ!**

მოკლედ, საფრანგეთის იმპერატორი, ნაპოლეონ ბონაპარტი რომ კავკასიური წარმოშობის ყოფილა, ამ დასკვნამდე მივიდა ფრანგი გენეტიკოსი, ჟერარ ლუკოტი, რომელმაც იმპერატორისა და ბონაპარტთა შთამომავლების დნმ გამოიკვლია.

ლუკოტი ნაპოლეონის დნმ-ის ნიმუშებზე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა. როგორც მან გამოცემა **Figaro**-ს განუცხადა, თავდაპირველად კვლევა მუზეუმში დაცულ იმპერატორის თმის კულულზე ჩატარდა. ნიმუშის მიტოქონდიული დნმ-ის ანალიზისა და იგრეკ-ქრომოსომას პროფილის გამოვლენის შემდეგ, მეცნიერის ხელში ნაპოლეონის შთამომავალი ქალებისა და მამაკაცების გენეტიკური ინფორმაცია შეგროვდა.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ნაპოლეონის ჰაპლოჯგუფი ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი. ეს ადასტურებს თავად ნაპოლეონის მოსაზრებას, რომელიც თავის წინაპრად ფრანჩესკო ბონაპარტეს ასახელებდა. ადამიანს, რომელიც წარმოშობით ქალაქ სარცანადან იყო. ეს ქალაქი კი არაერთხელ გამხდარა არაბ მუსლიმთა თავდასხმის მსხვერპლი. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ნაპოლეონის არაბი წინაპრები იტალიაში ისლამის გასავრცელებლად ჩავიდნენ.

კვლევის პერიოდში მეცნიერს იმპერატორის ძმის, ჟერომ ბონაპარტის შთამომავალი, 60 წლის შარლ ნაპოლეონი დაუკავშირდა და საკვლევ მასალად საკუთარი დნმ შესთავაზა. მისი **„იგრეკ-ქრომოსომები“** სახელოვანი წინაპრის მონაცემების იდენტური აღმოჩნდა, რითაც ლუკოტმა დაამტკიცა, რომ შარლი ნამდვილად ნაპოლეონის შთამომავალი იყო. ამის შემდეგ მისი დნმ-ის დეტალურ შესწავლას შეუდგა.

**„ჰაპლოჯგუფი უფრო დიდი სიზუსტით განვსაზღვრეთ და აღმოჩნდა, რომ ნაპოლეონი არა არაბი, არამედ კავკასიელი იყო“,** – აცხადებს ფრანგი გენეტიკოსი. ნაპოლეონის ჰაპლოჯგუფი კავკასიელი ხალხის გენოტიპს უფრო ენათესავება.

მის კოლეგებს შესრულებული სამუშაოს სიზუსტეში ეჭვი არ ეპარებათ, თუმცა მიიჩნევენ, რომ ეს შედეგი სხვა ლაბორატორიებშიც უნდა გადამოწმდეს. მათ აეჭვებთ, რატომ მუშაობდა ლუკოტი მარტო.

ნაპოლეონის შთამომავლის დნმ-ის კიდევ უფრო დეტალური შესწავლა მეცნიერებს ნაპოლეონის სიკვდილის მიზეზის დადგენაშიც დაეხმარება. მათში შესაძლოა, რაიმე დაავადების კვალი აღმოჩნდეს.

ახალი კვლევის შედეგები შესაძლოა, სხვა სენსაციური მოვლენების მიზეზიც გახდეს – ის კიდევ მეტ საფუძველს შესძენს მეცნიერთა ჯგუფის მოთხოვნას, რომლებიც იმპერატორის კუბოს გახსნას და მისი ნაშთების შესწავლას ითხოვენ. მკვლევარებს სურთ, ერთხელ და სამუდამოდ დაუსვან წერტილი მითქმა-მოთქმას, რომ ნაპოლეონის სარკოფაგი ცარიელია, ან მასში სხვისი სხეული დევს. დღემდე საფრანგეთის ხელისუფლება ამ მოთხოვნას უარით პასუხობს. სარკოფაგის გახსნას შარლ ნაპოლეონიც ითხოვს.

# ნახველ შუადღეს...

**(მარინა ჯანაშიას მონატრება)**

...თებერვლის დასაწყისი შენი მიწიერი ცხოვრების დასასრული აღმოჩნდა, მარინა!

შენი ამქვეყნიდან წასვლით კიდევ ერთხელ დაიკარგა ულამაზესი გაგრა, ჩანაცრისფრდა ჩვენი უაფხაზეთო, ისედაც უფერული ცხოვრება...

მიწასაც ეტკინა იმ დღეს ჭრილობა, საკინძეშეხსნილ თბილისის მიწას, გულში რომ ჩაიკრა საიაფხაზეთო ანაბარი...

მას შემდეგ წელიწადი გასრულდა, ძვირფასო!

იცრემლება შენი თბილისური საცხოვრისი, სველია კედლები, რომელსაც შენ მოულოდნელად და სამუდამოდ განეშორე...

ვერ შველის გამონაგონი ნუგეში თემურს, შენს მოსიყვარულე მეუღლეს, ცრემლთამდინარება – ჩვენთვის უცნობი, უჩუმარი კავშირია ორთა-თქვენთა შორის, მარი!..

მდუღარე ცრემლებში იხრჩობა დრემდე შენი და – ნაზი, კაცურად, უჩუმრად გოდებს ძმა – ოთარი, ღრმად წუხან იმის გამო, რომ დედმამიშვილებში ყველაზე უმცროსი გაუდექ საიმქვეყნო გზას...

გვაკლიხარ ჩვენც – შენს მეგობარ-ახლობლებს, იმათ, ვისაც შენი თბილისური, თბილი კერა აფხაზეთზე სასაუბრო ადგილად მიგვაჩნდა.

მუდამ ღიმილიანი, ხალისიანი, მხოლოდ ვიზუალი იყო, უსამშობლობის შიგ ჩაბრუნებული ტკივილი მოსვენებას გიკარგავდა, სულს გიღრღნიდა. გაგრა – დაკარგული სამოთხე იყო, რომლის სადარი, სხვა კუთხეში, თვალს ვერაფერი აერეკლა. დაკარგულ აფხაზეთს, მეგობრებთან, თანაკურსელებთან ურთიერთობებში ეძებდი და... პოულობდი კიდეც! ყოველი თქვენი თავშეყრა აფხაზეთის დაკარგული ფერების, მისი მისა და მიწის ძიების დაუოკებელი სურვილი იყო... ერთმანეთის ნახვით შვებამოგვრილები, ცოტა ხანს კარგად ვგრძნობდით თავს... მორიგ თავშეყრამდე!..

ასე იყო წლობით!..

ჭირსა და ლხინში თანამდგომი, დაუზარელი, მოსიყვარულე და ხალისიანი – ასე გიგონებენ შენი კორპუსელი მეზობლები, უჭირთ სევდით დამძიმებულ სახლში შესვლა, მაგრამ არ ტოვებენ მარტოობაში თემურს... ვერ გელევიან მარადისობისათვის და ისევ შენზე საუბრობენ, გიგონებენ, გესიყვარულებიან...

ასე გაგრძელდება შენი შეწყვეტილი სიცოცხლე ხსოვნაში, შენს მიერვე დატოვებული სიყვარულით, მარი, რომელიც ძალიან დიდხანს გაგვათბობს აქ დარჩენილთ.

იძინე მშვიდად ჩვენო კეთილო და თბილო მეგობარო!

უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი!

**მეგობრების სახელით – სვეტლანა კვიკვინია, ჟურნალისტი**



# ღამურა – სცენაზე



სცენაზე უცებ ღამურა შემოფრინდა. ოღონდ არც 1874 წელი იდგა და არც ვენის **„ან დერ ვინის“** თეატრში თამაშდებოდა იოჰან შტრაუს უმცროსის ოპერეტა **„ღამურას“** პრემიერა. წელი იყო 2012. დღე იყო და 8 იანვარი. თბილისში, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე, უკვე მერამდენედ უჩვენებდნენ სააკაშვილის ხელდასხმულ მიუზიკლ **„ქეთო და კოტეს“**.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო, იმისა არ იყოს, ამ უნიჭო და უგემოვნო მიუზიკლს, რომელსაც ხალხი **„ქეთო და კუტუს“** ეძახის, ერთი ღამურაღა აკლდა და 8 იანვარს ისიც გამოფრინდა კულისებიდან სცენაზე.

ღამურა მიუზიკლის მთელი პირველი მოქმედების განმავლობაში დაფრინავდა ხან სცენაზე მდგარი მსახიობების, ხან კი – პარტერში მსხდომი მაყურებლის თავზე.

იმ წამსვე გამახსენდა სააკაშვილის ხელისუფლების ჰებელსის – გიგა ბოკერიას ცოლის – ჩერგოლეიშვილის სიტყვები, რომელიც მან მაშინ წამოისისინა, როცა დიდი მაესტრო რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლეს.

– მერჩივნა, სტურუა სიცოცხლის ბოლომდე დარჩენილიყო თეატრში, რომ სულ ღამურებს ეფრინათ! – იცინიკოსა ჩერგოლეიშვილმა.

რობერტ სტურუას ადგილი რუსთაველის თეატრში არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, რუსთაველის თეატრში აღმოჩნდა ადგილი დოიაშვილისთვის, მისი **„ქეთო და კუტუსთვის“,** და ღამურასთვის, როგორც ერთადერთი ერთგული მაყურებლისთვის, რომელიც ამ იაფფასიან წარმოდგენას შემორჩება!

შენცა, ედუარდ?

## შევარდნაძე უკმაყოფილოა: საქართველოში ბევრი აზერბაიჯანელი და სომეხია!

ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა: ის მიიჩნევს, რომ **„ქართველი ერი გადაშენების ზღვარზეა“** და ხელისუფლება **„არაფერს აკეთებს მრავალშვილიანი ოჯახების წასახალისებლად“.**

შევარდნაძეს მიაჩნია, რომ საქართველო ახლა სწორედ ისეთ დღეშია, როგორშიც იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა **„საქართველოში ქართველები უფრო ცოტანი იყვნენ, ვიდრე სომხები და აზერბაიჯანელები“.**

**„მაშინ კომპარტიის პირველი მდივანი გახდა კანდიდ ჩარკვიანი, რომელმაც დაიწყო ზრუნვა დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ნაციონალიზმში დასდეს ბრალი და თანამდებობიდან გადააყენეს. დღევანდელი ხელისუფლება კი, შევარდნაძის თქმით, ძალაუნებურად და გაუცნობიერებლად ატარებს პოლიტიკას „საქართველო ქართველების გარეშე“.**

ექს-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ **„საქართველოს მეზობლები მრავლდებიან და ქვეყნის ტერიტორიის მიტაცებას იწყებენ“.**

ამ სიტუაციიდან გამოსავალი, შევარდნაძის აზრით, ხელისუფლების სათავეში ქართველი მილიარდერის ბიძინა ივანიშვილის მოსვლაა. **„ის თხემით ტერფამდე ქართველია და საკუთარ ხალხზე იზრუნებს“,**– დასძენს ექს-პრეზიდენტი.

ეჰ, ედუარდ, ედუარდ! არ ჯობდა, ამაზე მანამდე გეფიქრა, ვიდრე სომეხ სააკაშვილს გადაულოცავდი საქართველოს?

ახლა ამგვარი მონანიებები ნამდვილად ვეღარ გიშველის, რადგან ქართველი ხალხი მწარედ მოგთხოვს პასუხს საქართველოს გაყიდვისათვის!

**ბატონო ედუარდ! დაბერდი კაცი და მაინც ვერ მიეჩვიე სიმართლის თქმას! ყველაფერი, რასაც შენ ჩარკვიანს მიაწერ, ბერიას გაკეთებულია, რომელიც 1938 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს. სწორედ მან მოახდინა გასომხებული თბილისის და აფხაზეთის გაქართველება, ააშენა ფაბრიკა-ქარხნები, შექმნა სამუშაო ადგილები. ერთადერთი, რაც ჩარკვიანმა გააკეთა, იყო ის, რომ შენ ჩამოგთესლა ლანჩხუთიდან ქუთაისში და კომკავშირში დაგასაქმა, რაც შემდეგ უბედურებად ექცა საქართველოს, რადგან სწორედ შენი მეორე მმართველობის ჟამს გადაივსო საქართველო სომხებითა და აზერბაიჯანელებით და სხვა არაქართველებით!**



ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge